ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 21 ნოემბერი 2000 №225 (1247) | ფასი 50 თეთრი



კახი ასათიანმა პორტფელი ჩაალაგა

## შევარდნაძემ ასათიანი შესვენებაზე გაუშვა

„დავიღალე. ამდენი წელიწადია, საზოგადოე-
ბრივ საქმიანობას ვეწევი და ხომ მაქვს უფლე-
ბა, დავისვენო?! მუშაობის დაწყებას ჯერ არსად
ვაპირებ, არც „ეარ ზენაში“, როგორც ამბობენ —
გვითხრა გუშინდლამდე სპორტის დეპარტამენ-
ტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა და დაგვი-
დასტურა, რომ გუშინ ქვეყნის პრეზიდენტმა
ედუარდ შევარდნაძემ დააკმაყოფილა მისი თხო-
ვნა გადადგომის თაობაზე.

ასათიანის წასვლაზე დიდი ხანია, ლაპარაკო-
ბენ. წასვლის სურვილს არც თვითონ მალავდა
და განცხადებაც დაწერა, მაგრამ შევარდნაძე
რეზოლუციის დადებას არ ჩქარობდა, რადგან
სიდნეის ოლიმპიური თამაშები წინ იყო.

ახლა კი ასათიანის მოვალეობას დროებით
მისი მოადგილე ლერი ხაბელოვი ასრულებს.

# კალაძე მსოფლიოს ქართველია!

## არიგო საკი და ალექს ფერგიუსონი: არჩევანი და არადანი

**კიევის** „დინამოს“ ქართველი ფეხბურთელი კახა კალაძე მსოფლიოს ნაკრებში ითამაშებს.

ეს ამბავი ორიოდ დღის წინ გაცხადდა — კიევის „დინამომ“ ფიფასგან ფაქსი მიიღო. ცნობილი იტალიელი მწვრთნელი არიგო საკი ჩვენებურს 3 იანვარს ტოკიოში იწვევს მსოფლიოსა და კორეა-იაპონიის ნაკრებთა ამხანაგურ მატჩში სამონაწილეოდ:

— ჩემთვის დიდი პატივია მსოფლიოს გუნდში, თანაც არიგო საკის ხელმძღვანელობით თამაში. 3 იანვარს ტოკიოში მელიან და თუ ქვეყანა არ დაიქცა, აუცილებლად გავემგზავრები. როგორც კი მოწვევა მოვიდა, კიეველებმა იმ წამსვე მახარეს. ეს ამბავი ხომ კლუბისთვისაც საამაყოა. ალბათ 3 იანვარსვე გადაწყდება, სად გავაგრძელებ კარიერას, ყოველ შემთხვევაში, ასე მეუბნებიან — გვითხრა კახა კალაძემ გუშინ, კიევში რომ დავუკავშირდით.

ამასობაში კი ერთ-ერთმა ბრიტანულმა სააგენტომ მეტად საინტერესო ცნობა გაავრცელა: „მანჩესტერ იუნაიტედი“ მოწადინებულია, კიევის „დინამოს“ ქართველი მცველი კახა კალაძე გადაიბიროს და მის სანაცვლოდ 8 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. კახა კალაძემ იმდენად კარგად ითამაშა ჩემპიონთა ლიგაში, რომ ალექს ფერგიუსონისთვის 35 წლის დენის ირვინის იდეალური შემცვლელი იქნება“.

აქვე იტალიის „მილანის“ თავდამსხმელ ანდრეი შევჩენკოს სიტყვებიცაა: „ძალიან მსურს, კალაძემ „მილანში“, ჩემს გვერდით ითამაშოს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მას „მანჩესტერ იუნაიტედი“ ეპატიჟება.“

ყოველივე გუშინ კახა კალაძემაც დაგვიდასტურა: „დიახ, ვიცი რომ ჩემით „მანჩესტერ იუნაიტედიც“ არის დაინტერესებული და სულაც არაა გამორიცხული, თამაში ინგლისში გავაგრძელო“.

ჩვენ კი ცოტაც მოვიცადოთ. ნაახალწლევს გაირკვევა, სად გადაბარგდება კახა კალაძე.

**ძოწბა ინასარიძე**



ათწლეულების მერე: კახა კალაძე მსოფლიოს ნაკრების ქართველი წევრია

# შვილი ზურაბი: ხალხო, სადამდე?!



ზურაბ ხიზანიშვილი

— „არსენალში“ ჩემი გადასვლის ვარიანტი, ვფიქრობ, გამოირიცხა. მე პირადად ამის იმედი აღარ მაქვს, თანაც ჩემმა აგენტმაც მითხრა, „არსენალის“ მთავარი სკაუტის სტივ როულის თბილისში ჩამოსვლას რა აზრი აქვსო. როცა ლონდონში ვიყავი და ჩემს სატრანსფერო თანხაზე ლაპარაკი დაიწყო, მივხვდი, რომ „არსენალში“ გადასვლის შანსი გამინახევრდა — გვითხრა გუშინ თბილისის „ლოკომოტივისა“ და საქართველოს ნაკრების მცველმა ზურაბ ხიზანიშვილმა, რომელიც, მართლაც, ცალი ფეხით „არსენალის“ ფეხბურთელი იყო, ლონდონურ კლუბშიც ვარჯიშობდა და ჩვენთვის მოულოდნელად ერთ კვირაში უკანვე დაბრუნდა.

რატომ? რა არის ზურას „არსენალში“ ვერგადასვლის მიზეზი, ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით? ვინ და რამ შეუშალა მას ხელი?

აი, კითხვები, ამ ბოლო დროს ფეხბურთის მოყვარული ხშირად რომ გაიგებს და თითქმის ყველას პირზე აკერია. ვეცდებით, ნაწილობრივ მაინც გიპასუხოთ.

ისევ ზურაბ ხიზანიშვილის ნათქვამი:

— პირადად ჩემთან ფულზე არავის ულაპარაკია, მაგრამ ეს ნაღდია, ტრანსფერი ფულის გამო არ შედგა. მე არ ვიცი, ჩემს სანაცვლოდ ვინ რამდენი მოითხოვა და რომც ვიცოდე, მაინც არ ვიტყვი, ეს მის სინდისზე იყოს. „არსენალზე“ უკვე აღარც ვფიქრობ, გუშინ ჩემი აგენტი დამიკავშირდა და მითხრა, ნუ ინერვიულებ, პრემიერლიგის რამდენიმე გუნდიც არის შენით დაინტერესებული და მალე ყველაფერს უფრო კონკრეტულად გეტყვიო.

ეს მომავლის საქმეა და მართლაც კარგი იქნება, ხიზანიშვილი კარიერას პრემიერლიგაში თუ გააგრძელებს, ჩვენ კი ისევ „არსენალს“ დავუბრუნდეთ.

კიდევ ერთი კითხვა: რატომ არ ჩამოვიდა თბილისში „არსენალის“ მთავარი სკაუტი სტივ როული? აქამდე ხომ არაერთხელ უთქვამთ, როული ხიზანიშვილის თამაშს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩისას დააკვირდებაო. რკინიგზელთა თქმით, ინგლისელი თბილისში ჯერ კიდევ 11 ნოემბერს უნდა ჩამოსულიყო, მერე მას 18-სთვის ელოდნენ. როული არსად ჩანდა.

რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე და საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი აკაკი ჩხაიძე:

— როული თბილისში წამოსასვლელად მზად იყო, გერმანიიდან უნდა ჩამოფრენილიყო, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრა, დაგვირეკა და მოგვიბოდიშა — თბილისში საპროტესტო აქციები ყოფილა და საქართველოს ჩემპიონატის შემდეგი ტურისთვის ჩამოვალო. შემდეგი ტური 25 ნოემბერსაა, ჩვენ ქუთაისში „ტორპედოს“ ვეთამაშებით და როულსაც იქ ველით.

თითქმის იგივე განგვიცხადა „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმაც.

ახლა კი, მთავარი — ფული.

აკაკი ჩხაიძემ არაფერი დაგვიკონკრეტა, თუმცა როცა ვკითხეთ, ჩვენი ინფორმაციით ხიზანიშვილის ტრანსფერი 7 მილიონ დოლარად ყოფილა შეფასებულიო, მან გვითხრა:

— ზუსტ თანხას ვერ დაგისახელებთ, რადგანაც არ ვიცი. ყველაფერი მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული. შესაძლოა, თანხა 7 მილიონიც იყოს, შესაძლოა, მეტიც ან ნაკლებიც. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული იყავით, ჩვენ, „ლოკომოტივი“, ზურა ხიზანიშვილს „არსენალში“ გადასვლაში ხელს არ შევუშლით, პირიქით, ოღონდ წავიდეს.

და მაინც, თუ გადაწყვეტაა, როდის გადაწყდება ზურაბის „არსენალში“ წასვლა?

— 25 ნოემბერს სტივ როული თბილისში უნდა ჩამოვიდეს და საბოლოოდ მაშინ მოვილაპარაკებთ. და თუ როული ამ შაბათს არ გვესტუმრა, მაშინ ჩათვალეთ, რომ ზურაბ ხიზანიშვილის ტრანსფერი „არსენალში“ მართლაც ჩაშლილია — განგვიცხადა გუშინ აკაკი ჩხაიძემ.

ჩვენ კი რაღა დაგვრჩენია?

ამ ტრანსფერის ირგვლივ მოტრიალე ხალხს მივმართოთ — თუ რამ შანსი კიდევ არის, ქართული ფეხბურთის ამაგდარის, ნოდარ ხიზანიშვილის ვაჟი „არსენალში“ გადავიდეს, წინ ნუ გადაელობებით.

**ძოწბა ინასარიძე**

საქართველოს 12 ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — მეორე წრე — 14 ტური

# ქვის ხანა და მაჩაღობა ქართულ ფეხბურთში

## ვინ გააჩერებს დინამოს?



ვიტელთა მეკარე მირზა მერლანმა ბურთი მერანის უკრაინელ ნიკოლაი პოდლესნის არ დაანება

**აიწყვიტა** ყოფილმა ჩემპიონმა. გზად შემხვედრი არ გაახარა. ჯერ იყო და, ორი კვირის წინ ბეჭებზე დასცა ჩემპიონი „ტორპედო", გასულ პარასკევს ბოლნისური „სიონი" ისტუმრა და თამაშის ხალისი პირველივე ტაიმში დაუკარგა მეტოქეს.

ზედიზედ ოთხი ურთულესი მატჩი მოელის „დინამოს". 25 ნოემბერს „ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლებს, მერე „ბათუმს" ესტუმრება, „ეროვნულზე" „ლოკომოტივს" ეთამაშება და იმ მატჩში მხოლოდ პირობითად იქნება მასპინძელი. შემდეგი „კოლხეთი" და „ფაზისია".

რომელ მათგანს შეუძლია „დინამოს" შეჩერება? თეორიულად ოთხივეს, მაგრამ უფრო დიდი შანსი ამათგან „ლოკომოტივს" და „კოლხეთს" აქვს. რკინიგზელთა თავკაცი აუცილებლად ჩაიფიქრებდა რამე ისეთს, რაც რევაზ არველაძემ ჯერ არ იცის, ხოლო ფოთში თამაში „დინამოს" მუდამ უჭირდა.

გემრიელი ლუკმა არც „ბათუმია" და მით უმეტეს, „ვიტ ჯორჯია". მათ „დინამოს" გამწარება უკვე მოუსწრიათ და არც მომავალში აპირებენ უკან დახევას. თუ რევაზ არველაძის გუნდმა მომდევნო ოთხი თამაშიც მოიგო, მაშინ გამხდარა „დინამო" ჩემპიონი და ეგაა.

„სიონთან" თუ აჩვენეს ათგზის პირველებმა ჩემპიონური თამაში? საბოლოო დასკვნის გაკეთება ძნელი საქმეა. ძალიან მოდუნებული და უსუსური იყო სპარტაკ არჩვაძის გუნდი. „დინამომ" მეტოქეს ერთი, უმნიშვნელო შანსიც არ დაუტოვა, უხეშად რომ ვთქვათ, გადაურბინა.

ჰეთ თრიქი შეასრულა ზირაქიშვილმა და ბომბარდირთა დავაშიც დაწინაურდა. ამდენჯერვე შეარხია სტუმართა კარის ბადე შეცვლაზე შემოსულმა მიქაძემ, ამისთვის ფორვარდმა 32 წუთი იმყოფინა. დუბლი გაჩარხა დათვაძემ, ხოლო „სიონის" ნგრევა „ტორპედო" — „დინამოს" მატჩის გმირმა გაღელიამ დაიწყო.

ქუთაისის „ტორპედო" მიყოლებით მეორე თამაშს არ წააგებსო, ვიწინასწარმეტყველეთ და ისე ყველაფერი კარგად აგიხდეთ, როგორც ნათქვამი აგვისრულდა. რიონისპირელებმა სამი ქულა ისე ჩაიჯიბეს, რომ სტუმართა გამარჯვებაში ეჭვი მასპინძლებსაც არ შეჰპარვიათ.

დავით ყიფიანს თამაშამდე ერთი პრობლემა შეექმნა. ვარჯიშზე ძირითადის მეკარე ზოიძე დაუშავდა და მწვრთნელმაც ჭანტურიაზე შეაჩერა არჩევანი. სიურპრიზიც მოუმზადა სტუმართა თავკაცმა მასპინძელ კოლეგას. თურმანიძე და იმედაძე სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ, ხოლო გუჩუას და შალამბერიძეს იქაც ვერ მოჰკრავდით თვალს.

მოულოდნელი იყო ძირითადში გაბიდაურის გამოჩენაც, მაგრამ ამ ცვლილებებმა „ტორპედოზე" დადებითად იმოქმედა. გამარჯვება ძალების დაზოგვით გამოიძერწა. ძალა და ენერგია კი ქუთაისელებს მომდევნო ორ ტურში აუცილებლად დასჭირდებათ. ჯერ „ლოკომოტივია" მისალები, მერე „კოლხეთთანაა" საჭიდაო „ფაზისზე".

როგორც გავიგეთ, ზოიძის ტრავმა არ ყოფილა სერიოზული, ალბათ, გუჩუაც და შალამბერიძეც გამოჩნდებიან და...

„ბათუმში" გამარჯვებას კი იონანიძემ ჩაუყარა საძირკველი. რაც უნდა მოხდეს, ზურაბი სულ ფორმაშია. გაიტანა ტრავმამოშუშებულმა დავით ჯანაშიამ და ჩხეტიანმაც გაიხსენა ჯარიმიდან თავისი საფირმო დარტყმა.

მცხეთაში იყო თითქმის განახევრებული „ვიტ ჯორჯია" და ჩვენთვის ჯერაც გაურკვეველი პრობლემებით დამძიმებული „მერანი". კიდევ იყო არბიტრი ავთო შალამბერიძე, რომელიც სპეციალისტთა აზრით, კარგად ართმევდა თავს დავალებას.

ვიტელებმა დასაწყისშივე გაიტანეს. დანარჩენი დრო საკუთარი კარის უსაფრთოებას მოანდომეს და სასურველი შედეგიც მოიმკეს.

„მერანი" ბევრს უტევდა. საგოლე მომენტიც არაერთი ჰქონდა, მაგრამ ხან ავჭალელები სცოდავდნენ, ხანაც მასპინძელთა მეკარე მერლანი ყოჩაღობდა.

მაინც მსაჯების მისამართით გამოთქვამდნენ სტუმრები უკმაყოფილებას. თამაშის შემდეგ გამოთქმული პრეტენზიებით თითქოს კონფლიქტიც ამოიწურა, მაგრამ ყველაფერი თურმე წინ იყო.

გზად თბილისისკენ მიმავალ შალამბერიძეს „მერანის" ვიცე-პრეზიდენტი ანზორ მამალაძე გადაუდგა თანმხლებთან ერთად და... როგორც გავიგეთ, საქმე ფიზიკურ შეურაცხყოფამდე არ მისულა. კონფლიქტი მატჩის დელეგატმა მალხაზ ლაცაბიძემ და „ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელებმა (კიდევ კარგი, ესენი შემთხვევით შეესწრნენ ინციდენტს) გაანელეს.

დაუშვებელია, მიუღებელია კლუბის ერთ-ერთი თავკაცის ამგვარი ქმედება. 21-ე საუკუნე იწყება და ზოგიერთი თავისი სიმართლის თუ უპირატესობის დამტკიცებას ისევ ყაჩაღური მეთოდებით ცდილობს.

კი მაგრამ, იყო სიმართლე მამალაძის მხარეს? რატომღაც არა გვგონია. მართალი კაცი თავის უპირატესობას სხვაგვარად წარმოაჩენდა. გუშინ „მერანის" პრეზიდენტი დავით ფურცელაძე და ანზორ მამალაძე ფედერაციაში იყვნენ. კარგა ხანს უკამათიათ საშეჯიბრო კომიტეტში. სასჯელს ვერ ასცდება ავჭალური კლუბი. ამათ საქმეს სადისციპლინო კომიტეტი, ალბათ, ოთხშაბათის სხდომაზე გაარჩევს.

ერთადერთი წყვილი, სადაც სარბიელისეულმა პროგნოზმა არ გაჭრა, „კოლხეთი" — „გორდას" დაპირისპირება იყო. რაღა „სარბიელი", ფოთიდან ქულის წამოღებაზე თავად რუსთაველებიც ვეღარ ბედავდნენ ოცნებას, მაგრამ ივაუკაცეს იასონ ალადაშვილის ბიჭებმა, თუმც ბოლოსწინა ადგილზე მაინც ჩამოქვეითდნენ.

„კოლხეთი" თითქმის მთელი 90 წუთი უტევდა, საგოლე მომენტიც არაერთი გააცუდა, ბოლოსკენ კი თავის გადასარჩენად გაუხდა საქმე, ჯერ ივეჩიანმა ააცილა ხელსაყრელი მდგომარეობიდან, ხოლო კიტეიშვილს მამუკა გვასალიამ არ გაატანინა.

პრესკონფერენციაზე ორივე მწვრთნელმა თავისი თქვა. სოსო ფილიამ, ცუდად ვითამაშეთო, იასონ ალადაშვილმა, ბოლოსკენ რომ გაგვეტანა, „კოლხეთი" ნამდვილად ცოდო იქნებოდაო. მერე მასპინძელთა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ ქოიავამ ჟურნალისტებს დაუცაცხანა და თუ თქვენებურად გააგრძელებთ, საერთოდ არ შემოგიშვებთ „ფაზისზეო".

გორის „დილამ" გამარჯვების გემო გაიხსენა. ისევ დამარცხდა მრავალტანჯული „იბერია". მასპინძელმა კოტორაშვილმა და სტუმარმა სანიკიძემ ერთმანეთისთვის მუშტებიც არ დაიშურეს და წამში გაწითლდნენ კიდეც. თანამსაჯ ჯვარიძეს თავში ქვა მოხვდა, სხვა მსაჯებს არაფერი დაშავებიათ და ეჯოშვილის გოლიც ერთადერთი გამოდგა მატჩში.

არ ჩამოვიდა ინგლისელი. საქართველოში გაჩაღებულმა პიკეტობანამ შეაშინა როული, ასე აგვიხსნეს „არსენალის" მთავარი სკაუტის ჩამოუსვლელობის მიზეზი. ეს უკვე არასერიოზულია და არც არავინ დაიჯერებს. ჩვენ აუცილებლად ვიტყვით სიმართლეს, ქვეყანაც გაიგებს თითქმის გაჩარხული ტრანსფერის ჩაშლის მიზეზს, მანამდე კი ზურაბ ხიზანიშვილია დაღონებული და ფსიქოლოგიურად დათრგუნული.

მე თქვენ გეტყვით და სტივ როული ჩემს გაყინულ, იტალიურ ეზოში ნაქირავებ ოთახში მოდიოდა, რამის რომ შეშინებოდა. ჩამოვიდოდა კაცი, სასტუმრო „შერატონში" დაბინავდებოდა, სადაც შუქიც ავტონომიურია და გათბობაც. არ უნდა „არსენალს" ჩვენთან საქმის დაჭერა, სიმართლეც ესაა.

ვნახოთ, 25 ნოემბერს ჩამოვაო როული, აიმედებენ ზურაბს. ღმერთმა ინებოს, მაგრამ გვეეჭვება, ასე მოხდეს.

„ლოკომოტივმა" კი თსუ-ს მოუგო. გოლები მეორე ტაიმში გავიდა. გოგიჩაიშვილმა პენალტი გამოიყენა და პარამონოვის დარტყმული და მცველისგან ასხლეტილი ბურთიც მოხვდა მიზანში. დიდი ვერაფერი თამაში გამოდგა. კიდევ კარგი, ინგლისელი სტუმარი ლოჟაში არსად იჯდა.

მეთოთხმეტე მასპინძლის ტურად მოინათლა, მხოლოდ „ტორპედომ" იმარჯვა სტუმრად და „გორდამ" გამოიყოლა ქულა. 16 გოლი კი გვარიანია, თუმც ამასაც „დინამოს" ვუმადლოდეთ, თორემ დავრჩებოდით მწირგოლიანები.

მეთხუთმეტე ტური კი მართლა ტურია, ბატონებო. „ტორპედო" — „ლოკომოტივი", „დინამო" — „ვიტ ჯორჯია", „სიონი" — „ბათუმი", „გორდა" — „დილა" და თსუ — „კოლხეთი". არა, მოსაწყენად სად გვცალია, იმედი ჯერაც არის.

**მამუკა ძგანტალიანი**



ზაზა ზირაქიშვილმა (მარცხნივ) თემურ დიმიტრიშვილს დაასწრო და ბურთი თავით მეტოქის კარისკენ გაგზავნა

### ინგლისი

XIV ტური

ძოვენთრი 0:1 იფსვიჩი

ჩ0 უილნისი (90)

### იტალია

სერია B

XII ტური

მონცა 1:1 პიაჩენცა

### გერმანია

II ბუნდესლიგა

XIII ტური

ზაარბრიუკენი 3:3 ვალდჰოფი

ჰანოვერი 4:2 არმინია

საქართველოს 12 ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა მეორე წრე

# 14 ტური სტატისტიკა



ლოკომოტიველმა კახა გოგიჩაიშვილმა თსუ-ს მეკარე დავით მამარდაშვილი მოატყუა და პენალტით ანგარიში გახსნა

## ჩემპიონატის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 14 |
| მატჩი | 83 |
| გოლი | 197 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,37 |
| მასპინძელთა მოგება | 42 (50%) |
| ფრეები | 15 (18%) |
| სტუმართა მოგება | 26 (32%) |
| საერთო დასწრება | 121 800 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 1 467 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | XIII: 12 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | VII: 50 |

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 115 | 19,15 |
| სტუმარი | 92 | 15,35 |
| სულ | 207 | 34,50 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 39 | 6,50 |
| სტუმარი | 23 | 3,85 |
| სულ | 62 | 10,35 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 40 | 6,65 |
| სტუმარი | 28 | 4,65 |
| სულ | 68 | 11,30 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 36 | 6,00 |
| სტუმარი | 15 | 2,50 |
| სულ | 51 | 8,50 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 15 | 2,50 |
| სტუმარი | 28 | 4,65 |
| სულ | 43 | 7,15 |

სემ - საშუალოდ ერთ მატჩში

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 9 - ზირაქიშვილი | დინამო |
| 8 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| იონანიძე | ტორპედო |
| 6 - გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| რუსია | ლოკომოტივი |
| აფხაზავა | ბათუმი |
| 5 - ა. მუჯირი | ბათუმი |
| წუწუნავა | თსუ |
| გიორგი ქორიძე | ვიტ ჯორჯია |
| გადელია | დინამო |
| გ. გ. მიქაძე | დინამო |

### დინამო 9:0 სიონი

| | | |
|---|---|---|
| 28 | დაჯარიმდა | 12 |
| 12 | კუთხური | 3 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 11 | კარში დარტყმა | 2 |
| 3 | თამაშგარე | 4 |

### ბათუმი 0:3 ტორპედო

| | | |
|---|---|---|
| 23 | დაჯარიმდა | 15 |
| 3 | კუთხური | 6 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 1 | კარში დარტყმა | 5 |
| 2 | თამაშგარე | 3 |

### ვიტ ჯორჯია 1:0 მერანი

| | | |
|---|---|---|
| 17 | დაჯარიმდა | 18 |
| 1 | კუთხური | 6 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 10 |
| 4 | კარში დარტყმა | 3 |
| 1 | თამაშგარე | 3 |

### კოლხეთი 0:0 გორდა

| | | |
|---|---|---|
| 14 | დაჯარიმდა | 21 |
| 9 | კუთხური | 1 |
| 11 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 9 | კარში დარტყმა | 2 |
| 4 | თამაშგარე | 11 |

### დილა 1:0 იბერია

| | | |
|---|---|---|
| 22 | დაჯარიმდა | 19 |
| 6 | კუთხური | 3 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 6 | კარში დარტყმა | 2 |
| 3 | თამაშგარე | 6 |

### ლოკომოტივი 2:0 თსუ

| | | |
|---|---|---|
| 11 | დაჯარიმდა | 7 |
| 8 | კუთხური | 4 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 5 | კარში დარტყმა | 1 |
| 2 | თამაშგარე | 1 |



ინამოელი გიგა გადელია თავით ველარ შესწვდა და ბურთს ხელით წაატანა

თბილისი
17 ნოემბერი
15 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 70 900)

## დინამო 9:0 სიონი

1:0 გადელია (13), 2:0, 3:0, 4:0 ზირაქიშვილი (27, 29, 37), 5:0 მიქაძე (73), 6:0, 7:0 დათვაძე (77, 79), 8:0, 9:0 მიქაძე (82, 87)

**დინამო:** გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, ა. სახვაძე (ბურდული 54), შაშიაშვილი, ზამთარაძე, დათვაძე, სიჭინავა (გ. გ. მიქაძე 58), გადელია (რუხაძე 70), ზირაქიშვილი, ჯინჭარაძე

სათადარიგონი: ჩიხრაძე, კანდელაკი, კ. გოგოლაძე, მაზიაშვილი

**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, მინდიაშვილი, მოსეშვილი, ისიანი (ჩაგელიშვილი 62), ბარნოვი, წივწივაძე (დიმიტრიშვილი 46), კ. მეტრეველი, მ. გოგოლაძე (გამცემლიძე 46)

სათადარიგონი: დალაქიშვილი, ჯაფარიძე, სამხარაძე

**გაფრთხილება:** სახვაძე (62), დიმიტრიშვილი (73)

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

ბათუმი
17 ნოემბერი
15 საათი
დინამო
8 000 (ტევადობა 18 000)

## ბათუმი 0:3 ტორპედო

0:1 იონანიძე (45), 0:2 ჯანაშია (82), 0:3 ჩხეტიანი (30)

**ბათუმი:** ბედიაშვილი, ო. გველესიანი (ყულეჯიშვილი 57), მინდაძე, პაპიძე, ჩიჩუა, გელა ქორიძე, ლლონტი, დარჩიძე (ბეჟანიძე 38), რომანაძე, აფხაზავა, ა. მუჯირი

სათადარიგონი: ჯაში; ქაცარავა, თედორაძე, სიამაშვილი, სიხარულიძე

**ტორპედო:** ქანტურია, ახვლედიანი, მახვილაძე, ხვადაგიანი, ზ. არჩვაძე, ჩხეტიანი, კვეტენაძე, გაბიდაური, ასათიანი (შევრილაძე 83), ჯანაშია, იონანიძე (მ. ბობოხიძე 89)

სათადარიგონი: ტოგონიძე, თურმანიძე, ვაჩიბერაძე, იმედაძე

**გაფრთხილება:** არჩვაძე (53), მუჯირი (54), ასათიანი (56)

**მსაჯები:** დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. ანიაშვილი (გორი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

მცხეთა
17 ნოემბერი
15 საათი
„არმაზი"
1 500 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 1:0 მერანი

1:0 ქორიძე (3)

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, დ. დოლიძე, ქანკოტაძე, კობიაშვილი, იწკირველი, ლ. ნოზაძე, დოლმელაშვილი, გიორგი ქორიძე, თაყაძე, ვ. გოგიაშვილი (მოშიაშვილი 88), სულთანიშვილი (ზ. გვაზავა 42)

სათადარიგონი: სტურუა; იაკობიძე

**მერანი:** დევაძე, ილურიძე, გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი (თოლორდავა 65), დევიძე, პოდლესნი, მუხინი (ბაჟელიძე 46), კოშკაძე (როსტიაშვილი 35), ქინქარაული, მინაშვილი, ბოლქვაძე

სათადარიგონი: ნაჭყებია; კვეტენაძე, კაკუბავა, ივანიშვილი

**გაფრთხილება:** პოდლესნი (21), მუხინი (35), დოლიძე (43), თაყაძე (68), ქორიძე (84)

**გაძევება:** ქორიძე (84)

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსაიშვილი (ყველა ქუთაისი); მ. მალალურაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

ფოთი
17 ნოემბერი
15 საათი
ფაზისი
1 000 (ტევადობა 6 500)

## კოლხეთი 0:0 გორდა

**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, ქუნთელია (ხუბუა 54), ფანჩულიძე, კიკლიაშვილი, კვირკველია (მაჯგულიძე 68), ახალკაცი (კრასოვსკი 54), გოგიაშვილი, ლალანიძე, ე. გვასალია

სათადარიგონი: ჩემია; პაპავა, თედევევი, მალხაკელიძე

**გორდა:** ნიკურაძე, ბერიძე, გაბელაია, ბექაური, ლაშა სილაგაძე, ბუკია (ბაჩილავა 45), მელაძე, კიტეიშვილი, ივერიანი, მიშველიძე, კ. ალადაშვილი

სათადარიგონი: გონგაძე; მ. სახვაძე, კაპანაძე, გ. გ. მიქაძე, ფოჩხუა, პატარიძე

**გაფრთხილება:** ფანჩულიძე (36), გოროზია (43), მელაძე (70), ბაჩილავა (86)

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. მენთეშაშვილი, ა. მეშკოვი (ორივე თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

გორი
17 ნოემბერი
15 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

## დილა 1:0 იბერია

1:0 ეჯოშვილი (78)

**დილა:** ილურიძე, აკოფიანი, გრიგალაშვილი, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, ეჯოშვილი (ტულუში 87), ფეზუაშვილი, კოტორაშვილი, რევაზიშვილი, ხორგუაშვილი (გაგნიძე 79), ა. ხმალაძე (დ. მაისურაძე 85)

სათადარიგონი: მდივანი; ხოხობაშვილი, ციცქიშვილი, ოლღესაშვილი

**იბერია:** ჩომახიძე, ყვანია, ნოზაძე, სანიკიძე, მიქელთაძე, გიორგაძე (ონიანი 29), ლ. ხმალაძე, ყურაშვილი, ოდიკაძე (ზ. მეტრეველი 39), ბინაძე (ჩიმაკაძე 88), მუმლაძე

სათადარიგონი: ვარდანიძე, ქოლაძე

**გაფრთხილება:** ეჯოშვილი (67), ყურაშვილი (68), ლ. ხმალაძე (70), რევაზიშვილი (86), ტულუში (90)

**გაძევება:** კოტორაშვილი (65), სანიკიძე (65)

**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი, ზ. ჯავარიძე, ა. შილაკაძე (ყველა თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

თბილისი
18 ნოემბერი
15 საათი
ეროვნული
450 (ტევადობა 70 900)

## ლოკომოტივი 2:0 თსუ

1:0 გოგიჩაიშვილი (67პ), 2:0 პარამონოვი (74)

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, აბრამიძე (აფციაური 85), ხიზანიშვილი, კვარაცხელია, ქიქვიშვილი, გოგიჩაიშვილი (ხუროძე 76), გ. შენგელია (გილაური 54), გოჩაროვი, პარამონოვი

სათადარიგონი: ასლანაძე, დ. არჩვაძე, ნაროუშვილი

**თსუ:** მამარდაშვილი, ებრალიძე, არეშიძე, წუწუნავა, გოცირიძე, სვანაძე, მესხი, მორჩილაძე, ვადაჭკორია, კვიციანი, ადამია

სათადარიგონი: გუგუნავა, ბოკერია

**გაფრთხილება:** კვარაცხელია (43), ვადაჭკორია (61)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე, ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე; ა. კრიჟაშვილი (ყველა თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. კობიაშვილი

### სიმბოლური ნაკრები

- გიორგი მიქაძე — დინამო
- ზაზა ზირაქიშვილი — დინამო
- კახა ალადაშვილი — გორდა
- მალხაზ ასათიანი — ტორპედო
- ზურაბ იონანიძე — ტორპედო
- დავით დათვაძე — დინამო
- გიორგი ბალაშვილი — ლოკომოტივი
- ლაშა ნოზაძე — ვიტ ჯორჯია
- ლაშა სილაგაძე — გორდა
- გიორგი რევაზიშვილი — დილა
- მირზა მერლანი — ვიტ ჯორჯია

გუნდი: დინამო

მწვრთნელი: რევაზ არველაძე

| უმაღლესი ლიგა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლოკომოტივი | 14 | 12 | 0 | 2 | 30:7 | 23 | 36 | 7 | 6 | 0 | 1 | 18:3 | 15 | 18 | 7 | 6 | 0 | 1 | 12:4 | 8 | 18 |
| 2 | ტორპედო | 14 | 11 | 2 | 1 | 23:5 | 18 | 35 | 7 | 5 | 1 | 1 | 10:4 | 6 | 16 | 7 | 6 | 1 | 0 | 13:1 | 12 | 19 |
| 3 | დინამო | 14 | 10 | 1 | 3 | 35:13 | 22 | 31 | 7 | 6 | 0 | 1 | 24:6 | 18 | 18 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:7 | 4 | 13 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 14 | 8 | 4 | 2 | 21:7 | 14 | 28 | 7 | 5 | 0 | 2 | 7:2 | 5 | 15 | 7 | 3 | 4 | 0 | 14:5 | 9 | 13 |
| 5 | კოლხეთი | 14 | 6 | 2 | 6 | 14:14 | 0 | 20 | 7 | 4 | 2 | 1 | 7:4 | 3 | 14 | 7 | 2 | 0 | 5 | 7:10 | -3 | 6 |
| 6 | ბათუმი | 14 | 6 | 1 | 7 | 17:18 | -1 | 19 | 7 | 5 | 0 | 2 | 13:7 | 6 | 15 | 7 | 1 | 1 | 5 | 4:11 | -7 | 4 |
| 7 | მერანი | 14 | 3 | 6 | 5 | 12:17 | -5 | 15 | 7 | 3 | 4 | 0 | 8:4 | 4 | 13 | 7 | 0 | 2 | 5 | 4:13 | -9 | 2 |
| 8 | სიონი | 14 | 4 | 3 | 7 | 11:21 | -10 | 15 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:7 | 0 | 8 | 7 | 2 | 1 | 4 | 4:14 | -10 | 7 |
| 9 | თსუ | 14 | 4 | 1 | 9 | 15:27 | -12 | 13 | 7 | 2 | 0 | 5 | 7:14 | -7 | 6 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:13 | -5 | 7 |
| 10 | გორდა | 14 | 2 | 6 | 6 | 10:20 | -10 | 12 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:7 | 1 | 9 | 7 | 0 | 3 | 4 | 2:13 | -11 | 3 |
| 11 | დილა | 14 | 3 | 3 | 8 | 9:22 | -13 | 12 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:10 | -3 | 8 | 7 | 1 | 1 | 5 | 2:12 | -10 | 4 |
| 12 | იბერია | 14 | 0 | 1 | 13 | 3:29 | -26 | 1 | 7 | 0 | 1 | 6 | 1:15 | -14 | 1 | 7 | 0 | 0 | 7 | 2:14 | -12 | 0 |

საქართველოს უმაღლესი ლიგა 12 ჩემპიონატი მეორე წრე

# 14 ტური

# მაგრამ...

თბილისი
18 ნოემბერი
15 საათი
ეროვნული
450 (ტევადობა 70 900)

**ლოკომოტივი 2:0 თსუ**

1:0 გოგიჩაიშვილი (67პ), 2:0 პარამონოვი (74)
ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, აბრამიძე (აფციაური 85), ხიზანიშვილი, კვარაცხელია, ქიქველიშვილი, გოგიჩაიშვილი (ხუროძე 76), შენგელია (გილაური 54), გოჩაროვი, პარამონოვი
სათადარიგონი: ძალანაძე, დ. არჩვაძე, ნაროუშვილი
თსუ: მამარდაშვილი, ებრალიძე, არეშიძე, წუწუნავა, გოცირიძე, სვანაძე, მესხი, მორჩილაძე, ვადაჭკორია, კვიციანი, ადამია
სათადარიგონი: გუგუნავა, ბოკერია
გაფრთხილება: კვარაცხელია (43), ვადაჭკორია (61)
მსაჯები: ა. შილაკაძე, ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე, ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი

**დავით თათვართქილაძე**

**67 წუთი** თავი არ დააჯაბნინეს სტუდენტებმა რკინიგზელებს და შეხვედრასაც თავიდან მცირე სენსაციის სუნი ასდიოდა.

მატჩის შემდეგ კი თსუ-ს თავკაცმა თენგიზ კაციამ დანანებით აღნიშნა:

— გავიფიქრე, ღმერთი ჩვენს მხარეს არის-მეთქი, მაგრამ საეჭვო თერთმეტმეტრიანმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. არ მსურს, კვლავ მსაჯების თემას შევეხო, წაგებასაც არ ვაბრალებ მათ, მაგრამ...

სტუმართა ერთ-ერთი მცველის ხელი ნამდვილად კი გადაელობა უმეკარეოდ დარჩენილი კარისკენ მიმავალ ბურთს, თუმცა მეტოქე იმ მომენტში ლამის ორივე ხელით დასწოლოდა მას ზურგზე.

— სწორედ ამაზე ჩიოდა თენგიზ კაცია. სხვათა შორის, „ლოკომოტივის" დამრიგებელმა რევაზ ძოძუაშვილმაც აღნიშნა, პენალტით გატანილმა გოლმა ჩემს გუნდს სულზე მოუსწრო, თორემ მერე თამაში უფრო დაიძაბებოდა და ვინ იცის, რა მოხდებოდაო.

კახა გოგიჩაიშვილის ზუსტად შესრულებული თერთმეტმეტრიანის შემდეგ კი მართლაც ყოველივე ლოგიკურად განვითარდა და ჩამთავრდა.

„ლოკომოტივი" ერთობ თავდაჯერებულად გამოიყურებოდა, დინჯად აკონტროლებდა ბურთს და უკვე ლამის ტრადიციად ქცეული პატარ-პატარა აფეთქებებით ცდილობდა მეტოქის გატეხას. რკინიგზელთა გუნდი დროდადრო ახორციელებდა მწვავე შეტევებს, რაც თსუ-ს საქმეს უადვილებდა. სტუმრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნეს, თუმცა 90 წუთის განმავლობაში ერთი რეალური საგოლე მომენტიც ვერ შექმნეს ლომაიას კართან. სხვა საქმეა, რომ მინდვრის ცენტრში თენგიზ კაციას ბიჭები ერთ გოჯსაც არ თმობდნენ უბრძოლველად. ისინი საკმაოდ სხარტად მოქმედებდნენ, მაგრამ ათლეტიზმში რევაზ ძოძუაშვილის შეგირდები ნაღდად სჯობდნენ. „ლოკომოტივს" უფრო ზორბა და ღონიერი ჰავაბეკები ჰყავს და მესხის, ვადაჭკორიასა და ახალაძის აქტიურობა თსუ-ს შეტევებს მაინც ვერ მატებდა იმ ძალას, რომელსაც რკინიგზელთა გუნდის დამცავი ეშელონი უნდა გაერღვია. თავი იჩინა იმ ფაქტორმაც, რომ თსუ მთლიანად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული, „ლოკომოტივში" კი გამოცდილებიც არიან და შედარებით ახალბედებიც. თანაც სტუდენტებს ოთხი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი აკლდათ, ზოგიც 18-წლამდელთა ნაკრებშია გამოძახებული და გუნდიც მხოლოდ 13 მოთამაშის ამარა ეწვია „ეროვნულს". „ლოკომოტივს" კი მხოლოდ 3 ფეხბურთელი არ ჰყავდა, მაგრამ უფრო მეტიც რომ ყოფილიყო დანაკლისი, მაინც შთამბეჭდავი გამარჯვება მართებდა თსუ-სთან. სტუდენტთა მედგარ წინააღმდეგობაზე უკვე ითქვა, გარდა ამისა, რევაზ ძოძუაშვილის გუნდს, ალბათ, იმანაც წაუხდინა ხასიათი, რომ პირველ ტაიმში 3-4 აშკარა საგოლე მომენტი გაუცუდდა — ლოკომოტიველები ახლო მანძილიდან სამიზნეს ვერ ასწორებდნენ. სტუმართა მეკარე დავით მამარდაშვილსაც ერთადერთხელ, მეორე ტაიმში მოუხდა თავისი ოსტატობის ჩვენება, როცა აქვსენტი გილაურს მეტად რთული ბურთი აუღო. ასე იყო თუ ისე, „ლოკომოტივმა" თავისი საქმე პირნათლად შეასრულა — ერთი დღით დაკარგული ლიდერობა დაიბრუნა, მაგრამ ცხრილის სათავეში მყოფ გუნდს უფრო საინტერესო, ლაღი და ხარისხიანი თამაში მოეთხოვება, თავად რევაზ ძოძუაშვილმა ასე განმარტა ყოველივე: „შეხვედრა ნამდვილად საბრძოლო ვითარებაში წარიმართა, მეტოქე დიდი თავდადებით გვეთამაშა და კიდევ ერთხელ დავინახეთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს ფაქტორი თანამედროვე ფეხბურთში".

# დაბრუნება მოსკოვსა და ელიტაში?

**ესენბეს** თასის საგაისო გათამაშებაში (20-28 იანვარი) პირველად ჩაერთვება საქართველოს ახალი ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო" — ეს გუშინ ქუთაისელთა თავკაცმა დავით ყიფიანმაც დაგვიდასტურა.

აწ უკვე ექსჩემპიონ თბილისის „დინამოსგან" ნაბოძები მემკვიდრეობით ქუთაისელები პოსტსაბჭოეთის არაელიტარულ ჯგუფში ითამაშებენ. „ტორპედოს" მიზანი, ცხადია, ამ უკიდეგანო სივრცეში, დედამიწის ერთ მეექვსედში ჩაკარგული ქართული ფეხბურთისთვის ჩვეული ადგილის დაბრუნება იქნება.

შარშანდელი შედეგებით 8 უძლიერესი გუნდი მოსკოვში გასამართი ესენგეს მეცხრე თასის წილისყრამ ორ ჯგუფად გაანაწილა, ისევე როგორც შედარებით სუსტი 8.

ყოფილი სსრკ-ს 15 ქვეყანას ტრადიციულად ჩემპიონები წარმოადგენენ, მათ კენტ რაოდენობას კი დიდრუსეთის პატარა ნაკრები (უკონკურსო და ახალგაზრდული) ამრგვალებს.

„ტორპედოს", C ქვეჯგუფში მეზობელი აზერბაიჯანის და ორი შუააზიური ქვეყნის, უზბეკეთის და ყირგიზეთის ჩემპიონებიც ითამაშებენ.

აზერბაიჯანის ჩემპიონი უკვე ცნობილია. „შამქირი" საამიროების მეორე ლიგის ლიდერ „დუბაიში" გასხვისებული ბადრი კვარაცხელიას გარეშე ჩავა მოსკოვს.

უზბეკთა ჩემპიონი ამ ცოტა ხანში უნდა გაირკვეს. ლიდერთა სამეული ასეთია: ტაშკენტის ოლქის „დუსტლიკი", ქარშის „ნასაფი" და ფერღანის „ნეფთჩი", რომელმაც 1994 წლის ნახევარფინალში თბილისის „დინამო" დაამარცხა.

რომელი ყირგიზული კლუბი იქნება 20 იანვრის სადებიუტო მატჩში ტორპედოელთა მეტოქე, ჯერჯერობით ძნელი სავარაუდოა, მაგრამ საეჭვოა, ეს იყოს ბიშკეკის „დინამო", რომელიც ბოლოხანს ტაჯიკური ფეხბურთის უცვლელი ფლაგმანი გახლდათ.

მეორე ტურში, 21 იანვარს „ტორპედო" „შამქირს" ეთამაშება, ბოლოს, 23-ში კი უზბეკებს. ამ ჯგუფის გამარჯვებული D ჯგუფის ლიდერის მსგავსად, 2002 წლისთვის A-ს და B-ს მაჩანჩალებს გაუცვლის ადგილს.

ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის გზაზე შედგომის შემდეგ ქუთაისელები პირველად სტუმრობენ მოსკოვს. იმედია, ტორპედოელები რუსეთის დედაქალაქსა და ელიტას ერთად დაუბრუნდებიან.

**ვახტანგ ბზიკაძე**

# საუკეთესო შუახაზში და მეორე ლატვიაში

**ვინ** არის წლეულს ლატვიის საუკეთესო ფეხბურთელი? ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ ლატვიასა თუ ინგლისში როდი გაუადვილდება ფეხბურთის ბარემ ორ მოყვარულს. საქართველოშიც ლამის უკვე ბავშვმაც კი იცის, ვინ არის „საუთჰემპტონის" თავდამსხმელი მარიან პახარსი.

მაგრამ ვინ არის ლატვიის წლის № 2 მოთამაშე? ბალტიისპირელებმა ასეთად რიგის „სკონტოს" 26 წლის ქართველი ნახევარმცველი ალექსანდრე რეხვიაშვილი მიიჩნიეს.

გარდა ამისა, რეხვიაშვილი საუკეთესოდ დასახელდა ევროპის ჩემპიონატის წინა შესარჩევი ციკლიდან ჩვენთვის ნაცნობი ქვეყნის ნახევარმცველებს შორის. ამ ნომინაციაში ჩვენებურმა თანაკლუბელი ანდრეის რუბინსი ჩამოიტოვა.

რეხვიაშვილის ასეთი წარმატება მოულოდნელი და გასაკვირი არ იქნება, თუ გავიხსენებთ, როგორ ჩაატარა მან საქართველოს ნაკრების ბოლო ორი მატჩი ლიტვასა და იტალიასთან. თუმცა აღსანიშნი ერთიცაა — ალეკოს დისკვალიფიკაციის გამო თითქმის თვე გაუცდა შუა ლატვიის ჩემპიონატში, მაგრამ, ჩანს, სეზონის დანარჩენი ნაწილი იმდენად შთამბეჭდავად ჩაატარა, აღიარებაში ამას ხელი არ შეუშლია.

ალბათ, მოგეხსენებათ, ალექსანდრე რეხვიაშვილს კარიერის ინგლისში გაგრძელების კარგი შანსი აქვს.

დაგვეთანხმებით, ესეც აღიარების დასტურია.

**ვახტანგ ბზიკაძე**



ალექსანდრე რეხვიაშვილი

# ვისთვის წვიმდა პორაჩში?

**საქართველოს** 18-წლამდელთა ნაკრებმა გუშინ ხორვატიაში ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი მატჩი ჩაატარა მასპინძელ თანატოლებთან და 0:2 დამარცხდა.

თამაში, ქალაქ პორაჩში, თურმე, თავსხმაში მიმდინარეობდა და, იქ მყოფთა თქმით, უფრო წყალბურთს წააგავდა. მწვრთნელ შოთა ჭეიშვილსაც მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სწორედ ამაზე გაუმახვილებია ყურადღება, წაგების უმთავრესი მიზეზი ცუდი ამინდი იყოო, უთქვამს და დაუმატებია, ბიჭები მოედნის შუაში ბურთს ვერ აგორებდნენო.

ორივე გოლი ხორვატებს პირველ ტაიმში გაუტანიათ, ორივე რიკოშეტით. შესვენების შემდეგ ქართველებს მეტოქის კართან რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი შეუქმნიათ, მაგრამ მასპინძელთა მეკარეს უყოჩაღია, ნოზაძეს და სამხარაძეს კი დარტყმები გასცუდებიათ.

18-წლამდელებმა გუშინ ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

*ივარდავა, ზვ. ლაბაძე (ძაძაშვილი 46), მანჩხავა, ამისულაშვილი, სახურია, ჩივაძე, ქარდავა, სამხარაძე, ქოქიაშვილი, ჯოჯუა, დ. სტურუა (ბ. ნოზაძე 46)*

შემდეგ მატჩს ქართველები ხვალ ესპანელთა წინააღმდეგ ჩაატარებენ, 24 ნოემბერს კი ხორვატია ესპანეთს გაეჯიბრება.

ჭეიშვილის შეგირდებს თუ ევროპის ჩემპიონატზე თამაში სურთ, ესპანელები აუცილებლად უნდა დაამარცხონ, ხორვატებმა კი ესპანელებთან უნდა წააგონ. ამის მერეც ჯგუფის გამარჯვებულის ვინაობა ბურთების სხვაობაზე იქნება დამოკიდებული. ისე საკითხავი ერთია, გუშინდელ მატჩისას ხორვატი 18-წლამდელებისთვის არ წვიმდა?..

**კობა ინასარიძე**

## საქართველოს თასი

მერვედფინალის საპასუხო მატჩები

მცხეთა. „არმაზი". 21 ნოემბერი. 14 საათი

**თსუ — სამგურალი**

პირველი მატჩი 0:2

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ქელიძე

ზესტაფონი. „მეტალურგი". 21 ნოემბერი. 14 საათი

**მეტალურგი — კოლხეთი**

პირველი მატჩი 0:6

მსაჯები: ლ. რაზმაძე (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. ზეინკლიშვილი

ბათუმი. „დინამო". 21 ნოემბერი. 14 საათი

**ბათუმი — ტორპედო**

პირველი მატჩი 0:2

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

რუსთავი. „ფოლადი". 21 ნოემბერი. 14 საათი

**გორდა — დილა**

პირველი მატჩი 0:2

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. თანანაშვილი

ბოლნისი. „თემურ სტეფანია". 21 ნოემბერი. 14 საათი

**სიონი — დინამო**

პირველი მატჩი 0:4

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი

ზუგდიდი. „ცენტრალური". 21 ნოემბერი. 14 საათი

**ზუგდიდი — ვიტ ჯორჯია**

პირველი მატჩი 0:3

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. გრეკოვი

თბილისი. „ეროვნული". 21 ნოემბერი. 14 საათი

**ლოკომოტივი — გურია**

პირველი მატჩი 0:1

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. ჯანელიძე

თბილისი. „ხინათლე". 21 ნოემბერი. 14 საათი

**მერანი — თბილისი**

პირველი მატჩი 0:1

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

საქართველოს პირველი ლიგა 12 ჩემპიონატი მეორე წრე

# 15 ტური

18 ნოემბერი, შაბათი

**ხობი 0:1 გურია**
**ოკეანე 1:2 მეტალურგი**
**მილანი 1:0 თორი**
**შუქურა 1:0 სამგურალი**
**ცხინვალი 2:1 იბერია**
**ზუგდიდი 2:0 თბილისი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 15 | 10 | 1 | 4 | 40:17 | 31 |
| გურია | 15 | 9 | 4 | 2 | 22:18 | 31 |
| მილანი | 15 | 9 | 3 | 3 | 22:10 | 30 |
| შუქურა | 15 | 8 | 3 | 4 | 20:12 | 27 |
| მეტალურგი | 15 | 7 | 5 | 3 | 23:15 | 26 |
| სამგურალი | 15 | 7 | 3 | 5 | 23:12 | 24 |
| ზუგდიდი | 15 | 7 | 3 | 5 | 23:21 | 24 |
| თორი | 15 | 6 | 2 | 7 | 14:14 | 20 |
| ხობი | 15 | 3 | 5 | 7 | 9:17 | 14 |
| ოკეანე | 15 | 2 | 3 | 10 | 13:31 | 9 |
| იბერია | 15 | 2 | 3 | 10 | 8:27 | 9 |
| თბილისი | 15 | 2 | 1 | 12 | 5:28 | 7 |

ტურის მიმოხილვა იხილეთ ხვალინდელ „სარბიელში"

## ინგლისი

XIV ტური

### დერბი ქაუნთი 2:0 ბრედფორდი

1:0 კრისტი (55), 2:0 დელაპი (68)
დერბი ქაუნთი: პოომი, ვესტი, კარბონარი, პაუელი, დელაპი, ს. ჯონსონი, მარტინი, რიგოტი, ერანიო (მორისი 65), ძინძლაძე, კრისტი (სტარიჯი 90)
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
ბრედფორდი: კლარკი, ნოლანი, ვეზეროლი (ობრაიენი 39), უოლი, ლოურესი, უორდი, ბიგრი (შარპი 76), უინდასი (სონდერსი 71), აზერტონი, პეტრესკუ, კოლიმორი
მწვრთნელი: სტიუარტ მაკკოლი
გაფრთხილება: კარბონარი, ძინძლაძე, უინდასი
31 614 მაყურებელი

### ტოტენჰემი 2:1 ლივერპული

0:1 ფაულერი (18), 1:1 ფერდინანდი (32), 2:1 შერვუდი (41)
ტოტენჰემი: სალივანი, კარი, იანგი, პერი, შერვუდი (ფროინდი 85), კინგი, ტილველი, ანდერტონი, კლემენსი, ლ. ფერდინანდი, რებროვი (კ. არმსტრონგი 84)
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
ლივერპული: ვესტერფელდი, ენჩოსი, ბაბელი, ჰიიპია, ტრაორე (ჯერარდი 65), მერფი (კარაგერი 79), ჰამანი, შმიცერი (ბარმბი 61), ოუენი, მაკალისტერი, ფაულერი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ანდერტონი, შმიცერი, ბაბელი
36 036 მაყურებელი

### ჩარლტონი 2:0 ჩელსი

1:0 იოჰანსონი (35), 2:0 პრინგლი (90)
ჩარლტონი: კიელი, კიშიშევი, სტიუარტი, პაუელი, რუფუსი, კინსელა, იენსენი (კონჩესკი 84), იოჰანსონი, სვენსონი (პრინგლი 70), სალაკო (ტოლდო 78), ფიში
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ჩელსი: დე გუი, ბაბაიარო, ლებეფი, დესაი, მელხიოტი, უაიზი, მორისი, ჰასელბაინკი (იოკანოვიჩი 74), დალა ბონა (ფლო 46), პოიეტი (გუდიონსენი 46), ძოლა
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: კიშიშევი, სალაკო, დესაი, ლებეფი, უაიზი
20 043 მაყურებელი

### ევერტონი 2:0 არსენალი

1:0 კადამარტერი (54), 2:0 კემპბელი (73)
ევერტონი: ჟერარი, კლილენდი, ნეისმიტი, ვეირი, ბოლი, პემბრიჯი, ს. ჰიუზი, ჯემილი, ტალი (მაკლეოდი 72), კადამარტერი, კ. კემპბელი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
არსენალი: მანინგერი, დიქსონი (აპსონი 79), კიოუნი, ლუჟნი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი, ბერხკამპი, პარლოუ, პირესი, კანუ, ვილტორდი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ჯემილი, ტალი, მაკლეოდი, დიქსონი
33 106 მაყურებელი

### ლიდსი 0:1 ვესტ ჰემი

0:1 უინტერბერნი (45)
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, ჰარტი, რადებე, მილსი, ბოიერი, ბაკე (ჰაკერბი 46), დაკური, მატეო, ა. სმიტი, ვიდუკა
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ი. პირსი (პოტსი 72), რ. ფერდინანდი, ს. პირსი, ტ. სინკლერი, ლამპარდი, ლომასი, კარიკი, უინტერბერნი, დიავარა, კანო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: მილსი, ლომასი
40 005 მაყურებელი

### სიტი 0:1 მანჩესტერი

0:1 ბექემი (2)
მანჩესტერ სიტი: ვიავერი, ჰაალანდი, ჰაუი, პრიორი, ვიკენსი (ბიშოპი 46), ტიატო, შარვე, უიტლი, რაიტ-ფილიპსი, დიკოვი, კენედი (გოტერი 46)
მწვრთნელი: ჯო როილი
იუნაიტედი: ბარტეზი, გ. ნევილი, ირვინი, ფ. ნევილი, ბექემი, ბათი, კინი, სქოულზი, უ. ბრაუნი, შერინგემი (გიგზი 76), იორკი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი (თანაშემწე)
გაფრთხილება: ტიატო, პრიორი, დიკოვი, ბათი
34 429 მაყურებელი



ევერტონი — არსენალი 2:0. ყოფილ მეთოფე კევინ კემპბელს (მარცხნივ) ოლეგ ლუჟნიმ ვერაფერი დააკლო

# ბურთი გიოს, ჩხირი კედელს

### მიდლსბრო 0:3 ლესტერი

0:1 იზეტი (83), 0:2 ბენჟამინი (13), 0:3 იდი (57)
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, გორდონი, ვიკერსი, კარამბუ (ფესტა 76), დინი, ბოკშიჩი, ჟობი (მარინელი 67), ეჰიოგუ, სტამპი (მასტო 66), ველანი
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
ლესტერი: ფლაუერსი (როისი 76), როუეტი, დავიდსონი (იდი 54), ფ. სინკლერი, მ. ელიოტი, ტაგატი, ლენონი, სევიჯი, ბენჟამინი (ჯილკრისტი 81), იზეტი, აკინბი
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
გაფრთხილება: სტამპი, ფლემინგი, როუეტი, ლენონი
27 965 მაყურებელი

### ნიუკასლი 1:2 სანდერლენდი

1:0 სპიდი (4), 1:1 ჰათჩისონი (68), 1:2 ქუინი (76)
ნიუკასლი: გივენი, კოლდუელი, ლი, დომი, ა. ჰიუზი, სოლანო, ბასედასი (ლუა ლუა 57), აკუნია (უ. ბარტონი 78), სპიდი, დაიერი, შირერი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი (არკა 67), გრეი, ტომე, კრადოკი, რაე, ჰათჩისონი, უილიამსი, კილბეინი, ნ. ქუინი (დიჩიო 85), ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: ლი, ტომე, ჰათჩისონი, გრეი
52 030 მაყურებელი

### საუთჰემპტონი 2:0 ასტონ ვილა

1:0, 2:0 ბიტი (22, 24)
საუთჰემპტონი: ჯოუნსი, დოდი, ლუნდეკვამი, ოკლი, რიჩარდსი, დევისი (დრეიპერი 73), ბიტი, პახარსი (გიბენსი 89), ბრიჯი, ტესემი, კაჩლული
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ვილა: ჯეიმსი, სტოუნი (დილანი 47), ა. რაიტი, საუთგეიტი, ბერი (ჟინოლა 63), ალფაი, ბოატენგი, ტეილორი, დაბლინი, ჯოუჩიმი, მერსონი (ლ. ჰენდრი 50)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
14 979 მაყურებელი

### ქოვენთრი — იფსვიჩი

*ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

ამასაც მოვესწარით — „დერბი ქაუნთიმ" მოიგო და არათუ „ბრედფორდს" გადაასწრო, თვით მრავალმილიონიან „მიდლსბროსაც" კი დაეწია.

უმწვრთნელოდ დარჩენილი „ბრედფორდი" ცხრილში მეზობელს განწირული ეწვია. გასულ შაბათამდე ამ გუნდს ექვს გასვლით შეხვედრაში ერთი კინკილა ქულა ჰქონდა მოპოვებული და რაღა „პრაიდ პარკზე" აიშვებდა. ასეც მოხდა: მხოლოდ ერთხელ, თუმცა კი 0:0-ზე შეეძლოთ სტუმრებს პოომის კარის აღება, მაგრამ სტენ კოლიმორის დარტყმული ესტონელმა მოიგერია. მეორე ტაიმში კი ჩვენებური ათამაშდა: პირველი გოლი ქინქლაძის პასით გავიდა, მეორე კი — მისი დაწყებული შეტევიდან.

აი, გიოს ყოფილმა კლუბმა კი მეტოქის უმთავარმწვრთნელობა ვერ გამოიყენა და სეზონის უპრინციპულესი შეხვედრა დათმო. შორეულ კეიპტაუნში ალბათ ჯერ თამადის სადღეგრძელო არ იყო შესმული, როცა „სიტის" ნორვეგიელმა კაპიტანმა ალფ ინგე ჰაალანდმა უხეშად ითამაშა, დევიდ ბექემმა კი 30 მეტრიდან საფირმო ჩაახვია — მანჩესტერული დერბი 96 წამის დაწყებული გახლდათ. დარჩენილ საათნახევარში იყო დიდი ბრძოლა, ყვითლების ფრიალი, სიტელთა ავსტრალიელის დენი ტიატოს ზღვარსგადასული უხეშობა, ერთი კაცური გაწევ-გამოწევაც და პოლ სქოულზის მიერ ძელისთვის გარტყმული ბურთი. „მეინ როუდის" მასპინძლებს გასათანაბრებლად ორიოდ შანსი თუ მიეცათ, ალისფერებს კი ტრინიდადელი დუაიტ იორკი რომ ფორმაში ჰყოლოდათ, მეტით მოგებაც არ გაუჭირდებოდათ. თუმცა დერბი დერბია და იქ მინიმალური გამარჯვებაც საქმეა. მოკლედ, ასე მიულოცეს „იუნაიტედის" ფეხბურთელებმა ალექს ფერგიუსონს, რომელიც იმ დროს სამხრეთაფრიკულ კეიპტაუნში საკუთარი ვაჟის მარკისა და ქალბატონ ფიონა სტენლის შეუღლებისას გეახლებოდათ.

სამშობლოში დაბრუნებულ სერ ალექსს მანჩესტერში ბერძნული „პანათინაიკოსი" (ვისაც დღეს უნდა ეთამაშოს) და „არსენალთან" ხუთქულიანი უპირატესობა დახვდება. დიახ, ლონდონელთა თორმეტმატჩიანი წაუგებელი სერია შაბათს ლივერპულის „გუდისონ პარკზე" შეწყდა. არსენ ვენგერის გუნდს კი ჰქონდა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ ეს მისია თავის თავზე მასპინძელმა დენი კადამარტერიმ აიღო, მოგვიანებით კი კევინ კემპბელმა, ვისაც შორეულ 1994-ში „არსენალთან" ერთად თასების თასი მოუგია, თავისი ყოფილი გუნდის ავსტრიელ მეკარე მანინგერს მეორეც გაუტანა და „ევერტონი" სახიფათო ზონას ოდნავ დააშორა.

თქვენ წარმოიდგინეთ, ამ გამარჯვებით უოლტერ სმიტის გუნდმა კლაუდიო რანიერისასაც კი გადაასწრო: იტალიელის „ჩელსიმ" ხომ თანაქალაქელ „ჩარლტონთან" წააგო და ამ სეზონის უსიამოვნო სერია — არცერთი მოგება სტუმრად — კიდევ ერთი მატჩით გააგრძელა. არადა, ლონდონურ მასშტაბებზე თუ თვალს დავხუჭავთ, რა სტუმრად თამაში ეს იყო: უბრალოდ, ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილიდან სამხრეთ-აღმოსავლეთში გადაინაცვლა, თუმცა „ჩელსის" არც მშობლიურ „სტამფორდ ბრიჯზე" მისდის საქმეები (შვიდი ქულა დაკარგა) გადასარევად. იმიტომაცაა მე-14 ადგილზე.

არადა, შაბათს ყველაფერი კარგად დაიწყო — ძოლამ ბურთი ძელს გაარტყა, მალე კი შუა კვირაში სევილიაში გაძევებულმა ჰოლანდიელმა ჰასელბაინკმა ააცილა მცირედით. მოკლედ, გოლი მწიფდებოდა და ასეც მოხდა: ჯონათან იოჰანსონმა დააჯახა აულებელი, ანუ გოლი... „ჩელსის" კარში გავიდა. ჩარლტონელთა ფინელის სეზონში მეექვსე გოლს ბოლო წუთზე შვედმა მარტინ პრინგლმა კიდევ ერთიც დაუმატა.

ჩელსელთა დარად, აქამდე არც „სანდერლენდს" გაემარჯვა მეტოქის მინდორზე, თუმცა 18 ნოემბერს არასრულფასოვანი სტუმრის კომპლექსი მოიხსნა. თან სად, მეზობელ ნიუკასლში! ამ გუნდების ჩრდილო-აღმოსავლური დერბი მართლაც რომ ყოველთვის დრამატულად ტარდება და ასე მოხდა ახლაც. დასაწყისშივე მასპინძლები უელსელი გარი სპიდის გოლით დაწინაურდნენ, მაგრამ მეორე ტაიმის რვაწუთიან მონაკვეთში შოტლანდიელი დონ ჰათჩისონის და ირლანდიელი ნაილ ქუინის ზუსტი დარტყმებით წინ უკვე „სანდერლენდი" გავიდა. კარის აღებასთან ახლოს ერთი ინგლისელიც იყო, თუმცა მატჩის მიწურულს მის მიერ შესრულებული პენალტი სტუმართა მეკარემ მოიგერია. ჰო, მართლა — ის ინგლისელი ალან შირერი გახლდათ.

სამაგიეროდ, აბორიგენის დარტყმამ ლიდსის შეხვედრის ბედი გადაწყვიტა. არადა, იმ მატჩში სახიფათო მომენტები ძირითადად ფრანგებს ჰქონდათ: ლიდსელ ოლივიე დაკურსა და ვესტჰემელ კაბა დიავარას, მაგრამ, როგორც ვთქვით, ერთადერთი გოლი წმინდა ინგლისური გამოვიდა — ტრევორ სინკლერმა ჩააწოდა, ვეტერანმა ნაიჯელ უინტერბერნმა კი შედეგიანად უთავა. „ძნელია, პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში ერთდროულად წარმატებული თამაში, როცა გუნდში სულ 12-13 ჯანმრთელი ფეხბურთელი გყავს" — დაიჩივლა დევიდ ოლირიმ, ვისაც ხვალ დელ ბოსკეს „რეალთან" ჯახი ელის.

და რაღა ვთქვათ „მიდლსბროზე"? ბრაიან რობსონის გუნდმა ზედიზედ მეშვიდე (!) თამაში წააგო, ამ შეხვედრაში გამარჯვებული „ლესტერი" კი მესამე ადგილზე გადავიდა.

პიტერ ტეილორის გუნდის გადასწრება კვირას „ლივერპულს" შეეძლო. კარგადაც დაიწყო ჟერარ ულიეს გუნდმა, როცა ფაულერმა გასული დეკემბრის მერე თავისი პირველი პრემიერლიგური გოლი შეაგდო, მაგრამ პირველივე ტაიმში ერთ დროს თბილისში შერცხვენილი რეი კლემენსის ვაჟმა სტეფენმა მარცხნიდან ორჯერ ჩააწოდა — დაბალს ლეს ფერდინანდი ჩაუწვა, მაღალს კი კაპიტანმა შერვუდმა შეაგება თავი. ორჯერვე გოლი გავიდა.

და ისევ აუტსაიდერებზე. მომავალ შაბათს „მიდლსბრო" ბრედფორდში ჩადის (ჰო, ჰო!), სადაც იქაური კლუბი ახალი მწვრთნელით დახვდება: კვირას იორკშირულ გუნდს სათავეში სქოთური „ჰართსიდან" ორიოდ კვირის წინ ფინანსური პრობლემების გამო გათავისუფლებული ჯიმ ჯეფერისი ჩაუდგა. ამ კაცს ორი წლის წინ „ჰართსისთვის" შოტლანდიის თასიც კი მოუგია, ასე რომ იმედი ბრედფორდშიც გაუჩნდათ.

**გიგა ქობახიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 14 | 10 | 3 | 1 | 36:10 | 26 | 33 | 7 | 6 | 1 | 0 | 24:4 | 20 | 19 | 7 | 4 | 2 | 1 | 12:6 | 6 | 14 |
| 2 | არსენალი | 14 | 8 | 4 | 2 | 23:12 | 11 | 28 | 7 | 6 | 1 | 0 | 16:4 | 12 | 19 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:8 | –1 | 9 |
| 3 | ლესტერი | 14 | 7 | 5 | 2 | 14:8 | 6 | 26 | 7 | 3 | 3 | 1 | 7:7 | 0 | 12 | 7 | 4 | 2 | 1 | 7:1 | 6 | 14 |
| 4 | ლივერპული | 14 | 7 | 3 | 4 | 28:21 | 7 | 24 | 7 | 6 | 1 | 0 | 16:6 | 10 | 19 | 7 | 1 | 2 | 4 | 12:15 | –3 | 5 |
| 5 | ასტონ ვილა | 13 | 6 | 4 | 3 | 16:11 | 5 | 22 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:3 | 8 | 14 | 7 | 2 | 2 | 3 | 5:8 | –3 | 8 |
| 6 | იფსვიჩი | 13 | 6 | 3 | 4 | 19:14 | 5 | 21 | 7 | 3 | 3 | 1 | 9:6 | 3 | 12 | 6 | 3 | 0 | 3 | 10:8 | 2 | 9 |
| 7 | ჩარლტონი | 14 | 6 | 3 | 5 | 21:20 | 1 | 21 | 7 | 5 | 2 | 0 | 13:3 | 10 | 17 | 7 | 1 | 1 | 5 | 8:17 | –9 | 4 |
| 8 | ნიუკასლი | 14 | 6 | 2 | 6 | 15:14 | 1 | 20 | 7 | 3 | 1 | 3 | 8:7 | 1 | 10 | 7 | 3 | 1 | 3 | 7:7 | 0 | 10 |
| 9 | ტოტენჰემი | 14 | 6 | 2 | 6 | 19:21 | –2 | 20 | 7 | 6 | 1 | 0 | 14:6 | 8 | 19 | 7 | 0 | 1 | 6 | 5:15 | –10 | 1 |
| 10 | სანდერლენდი | 14 | 5 | 5 | 4 | 14:16 | –2 | 20 | 7 | 4 | 3 | 0 | 8:4 | 4 | 15 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:12 | –6 | 5 |
| 11 | ლიდსი | 13 | 5 | 4 | 4 | 20:19 | 1 | 19 | 7 | 4 | 0 | 3 | 15:12 | 3 | 12 | 6 | 1 | 4 | 1 | 5:7 | –2 | 7 |
| 12 | ვესტ ჰემი | 14 | 4 | 6 | 4 | 18:15 | 3 | 18 | 7 | 2 | 3 | 2 | 10:8 | 2 | 9 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:7 | 1 | 9 |
| 13 | ევერტონი | 14 | 5 | 3 | 6 | 17:20 | –3 | 18 | 7 | 2 | 2 | 3 | 9:10 | –1 | 8 | 7 | 3 | 1 | 3 | 8:10 | –2 | 10 |
| 14 | ჩელსი | 14 | 4 | 5 | 5 | 25:20 | 5 | 17 | 7 | 4 | 2 | 1 | 19:8 | 11 | 14 | 7 | 0 | 3 | 4 | 6:12 | –6 | 3 |
| 15 | საუთჰემპტონი | 14 | 4 | 5 | 5 | 19:24 | –5 | 17 | 7 | 3 | 1 | 3 | 12:12 | 0 | 10 | 7 | 1 | 4 | 2 | 7:12 | –5 | 7 |
| 16 | სიტი | 14 | 4 | 2 | 8 | 15:25 | –10 | 14 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:8 | 0 | 7 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:17 | –10 | 7 |
| 17 | ქოვენთრი | 13 | 3 | 2 | 8 | 13:28 | –15 | 11 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:11 | –7 | 4 | 7 | 2 | 1 | 4 | 9:17 | –8 | 7 |
| 18 | მიდლსბრო | 14 | 2 | 4 | 8 | 17:24 | –7 | 10 | 7 | 0 | 2 | 5 | 5:13 | –8 | 2 | 7 | 2 | 2 | 3 | 12:11 | 1 | 8 |
| 19 | დერბი ქაუნთი | 14 | 1 | 7 | 6 | 18:28 | –10 | 10 | 7 | 1 | 5 | 1 | 10:12 | –2 | 8 | 7 | 0 | 2 | 5 | 8:16 | –8 | 2 |
| 20 | ბრედფორდი | 14 | 1 | 4 | 9 | 5:22 | –17 | 7 | 7 | 1 | 3 | 3 | 4:6 | –2 | 6 | 7 | 0 | 1 | 6 | 1:16 | –15 | 1 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 10 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 10 |
| შერინგემი (მანჩესტერი) | 9 |
| ანრი (არსენალი) | 9 |
| ჰესკი (ლივერპული) | 8 |

## XV ტური

25 ნოემბერი
ჩარლტონი — სანდერლენდი
ქოვენთრი — ასტონ ვილა
დერბი ქაუნთი — მანჩესტერი
ევერტონი — ჩელსი
სიტი — იფსვიჩი
მიდლსბრო — ბრედფორდი
საუთჰემპტონი — ვესტ ჰემი
ტოტენჰემი — ლესტერი
26 ნოემბერი
ნიუკასლი — ლივერპული
ლიდსი — არსენალი

## პირველი დივიზიონი

XIX ტური

### ბლექბერნი 1:0 ვულვერჰემპტონი

1:0 დანი (64პ)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ნეილორი, ემბლენი (კამარა 87), პოლეტი, რობინსონი, ბაზელი, დინინგი, ბატლერი, ნდა, ბრენჩი (პრუდლოკი 76)
მწვრთნელი: კოლინ ლი
20 380 მაყურებელი

### ბარნსლი 1:0 შეფილდ უენსდი

1:0 დიერი (24)

### ბირმინგემი 3:2 ბარნლი

1:0 ადებოლა (48), 2:0 ოკონორი (50), 2:1 კოქსი (61), 3:1 ბერჩილი (86), 3:2 ველერი (90)

### ქრიუ 1:2 სტოკპორტი

0:1 ტოდი (24), 0:2 კლარკი (70), 1:2 ჰალსი (78)

### კრ. პალასი 3:2 ტრანმერი

0:1 კუმასი (12), 1:1 სტონტონი (15), 1:2 ჰილი (26), 2:2 პოლოკი (83), 3:2 კ. მორისონი (86)

### ფულემი 3:1 პორტსმუთი

1:0 ჰეილსი (11), 1:1 კლარიჯი (44), 2:1 ჰეილსი (69), 3:1 კლარკი (80)

### ნორვიჩი 0:2 ბოლტონი

0:1 რიკეტსი (58), 0:2 ბერგსონი (74)

### ნოტინგემი 1:2 უიმბლდონი

0:1 იუელი (13), 1:1 ვუგანი (90), 1:2 ანდერსენი (90)

### ქუინზ პარკი 1:1 ჰადერსფილდი

0:1 გალენი (8), 1:1 კონოლი (30)

### შეფილდ იუნ. 3:2 გრიმსბი

1:0 სანტუში (44), 1:1 ლივინგსტონი (48), 2:1, 3:1 მ. ბენტი (50, 59), 3:2 ნილსენი (74)

### უოტფორდი 2:3 პრესტონი

0:1 მაკენი (31), 1:1 მუნი (38), 1:2 რანკინი (41), 2:2 პალმერი (45), 2:3 ანდერსონი (54)

### ვესტ ბრომვიჩი 3:1 ჯილინგემი

1:0, 2:0, 3:0 ჰიუზი (2, 38, 62), 3:1 კინგი (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 17 | 14 | 2 | 1 | 43:11 | 44 |
| უოტფორდი | 18 | 12 | 3 | 3 | 37:19 | 39 |
| ბოლტონი | 19 | 10 | 6 | 3 | 31:19 | 36 |
| ბირმინგემი | 18 | 10 | 4 | 4 | 28:16 | 34 |
| ბლექბერნი | 18 | 10 | 4 | 4 | 29:19 | 34 |
| პრესტონი | 18 | 10 | 4 | 4 | 24:17 | 34 |
| ვესტ ბრომვიჩი | 19 | 10 | 4 | 5 | 24:20 | 34 |
| ბარნლი | 18 | 9 | 5 | 4 | 21:20 | 32 |
| ნოტინგემი | 17 | 9 | 3 | 5 | 26:20 | 30 |
| შეფილდ იუნ. | 17 | 8 | 3 | 6 | 20:19 | 27 |
| უიმბლდონი | 17 | 6 | 6 | 5 | 24:18 | 24 |
| პორტსმუთი | 19 | 5 | 8 | 6 | 22:25 | 23 |
| ბარნსლი | 19 | 6 | 4 | 9 | 25:30 | 22 |
| ნორვიჩი | 17 | 5 | 5 | 7 | 17:21 | 20 |
| ტრანმერი | 19 | 5 | 4 | 10 | 22:29 | 19 |
| ჯილინგემი | 19 | 4 | 7 | 8 | 22:30 | 19 |
| კრ. პალასი | 18 | 5 | 3 | 10 | 23:28 | 18 |
| ქრიუ | 19 | 5 | 3 | 11 | 14:24 | 18 |
| უენსდი | 19 | 5 | 3 | 11 | 21:35 | 18 |
| გრიმსბი | 16 | 5 | 2 | 9 | 13:22 | 17 |
| ვულვზი | 18 | 3 | 7 | 8 | 16:21 | 16 |
| ქუინზ პარკი | 18 | 2 | 9 | 7 | 19:28 | 15 |
| სტოკპორტი | 19 | 3 | 6 | 10 | 22:35 | 15 |
| ჰადერსფილდი | 18 | 1 | 5 | 12 | 11:28 | 8 |

## ასოციაციის თასი

I ეტაპი

ქანვეი — პორტვეილი 4:4; კარდიფი — ბრისტოლ როვერსი 5:1; ლი — მილუოლი 0:3; რადკლიფი — იორკი 1:4; ალდერშოთი — ბრაიტონი 2:6; ბარნეტი — რიჩმონდ ბორო 2:1; ბაროუ — ლეიტონ ორიენტი 0:2; ბლექპული — ტელფორდი 3:1; ბორნმუთი — სუონსი 2:0; ბრენტფორდი — კინგსტონიანი 1:3; ბერი — ნორვიჩ ვიქტორია 1:1; კემბრიჯი — როჩდეილი 2:1; კარლაილი — ვოკინგი 5:1; ჩელტენემი — შრიუსბერი 4:1; ჩესტერი — პლიმუთი 1:1; ჩესტერფილდი — ბრისტოლ სიტი 0:1; დაგენჰემი — ჰეისი 3:1; დარლინგტონი — სუდბერი 6:1; ფორესტ გრინი — მორკამბი 0:3; ჰალიფაქსი — გეითშედი 0:2; ჰავანტი — სოთპორტი 1:2; ჰედნესფორდი — ოლდემი 2:4; კეტერინგი — ჰალი 0:0; კიდერმინსტერი — ბარტონ ალბიონი 0:0; ლინკოლნი — ბლექნელ თაუნი 4:1; მაკლსფილდი — ოქსფორდი 0:1; მენსფილდი — პიტერბრო 1:1; ნორთჰემპტონი — ფრიკლი 4:0; რედინგი — გრეისი 4:0; სკანთორპი — ჰარტლპული 3:1; სტოკი — ნოუტონი 0:0; სუინდონი — ილკესტონი 4:1; ტორკი — საუთენდი 1:1; უოლსოლი — ექსეტერი 4:0; უიგანი — დორჩესტერი 0:1; უიკომბი — ჰაროუ ბორო 3:1; იოვილი — კოლჩესტერი 5:1; ლუთონი — რაშდენ ენდ დაიმონდსი 1:0

## იტალია

VII ტური

### ნაპოლი 0:0 ატალანტა

ნაპოლი: მანჩინი, ტროისე, ფრეზი, კიროგა, მაგონი, პეკია (იანკულოვსკი 88), ხუსაინი (ჯიო ტედესკო 66), მატუზალემი, პინედა, ბელუჩი (სესა 66), ნ. ამორუზო
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
ატალანტა: პელიცოლი, სივილია, კარერა (ბელინი 73), პაგანინი, ზაური, კ. ძენონი, დ. ძენონი, დონატი (გალო 57), დონი, ვენტოლა (განცი 32), როსინი
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
გაფრთხილება: ბელუჩი, სივილია, ბელინი, განცი
35 000 მაყურებელი

### ბოლონია 2:1 პარმა

1:0 ნერვო (55), 1:1 სერჟიუ კონსეისაუ (61), 2:1 ხულიო კრუზი (84)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ბია (ბრიოსკი 79), კასტელინი, ტარანტინო, ნერვო, ოლივე, პიაჩენტინი (მარესკა 41), ლიმა, ხულიო კრუზი, ოლივეირა (ლოკატელი 54)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
პარმა: ბუფონი, ტურამი, ტორიზი, ფ. კანავარო, ფუზერი, ლამუში, ბოგოსიანი, ფალსინი, სერჟიუ კონსეისაუ, მიკუ, მილოშევიჩი (დი ვაიო 9; მონტანო 32)
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
გაფრთხილება: ტარანტინო, სერჟიუ კონსეისაუ, კანავარო, ნერვო, ხულიო კრუზი, ლიმა
25 000 მაყურებელი

### ვერონა 1:4 რომა

1:0 ოდო (43), 1:1 კანდელა (38), 1:2 ტოტი (45), 1:3, 1:4 ბატისტუტა (58, 90)
ვერონა: ფერონი, ოდო, გონელა, აპოლონი, ცვიტანოვიჩი, კამორანეზი, კოლუჩი, მაცოლა (ადაილტონი 59), სალვეტი (კოსატო 81), მუტუ (კაზეტი 27), ჯილარდინო
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
რომა: ანტონიოლი, ძაგო, სამუელი, ძებინა, კაფუ, ტომაზი, კ. ძანეტი, კანდელა, ტოტი (გიუგო 81), ბატისტუტა, დელვეკიო (მონტელა 72)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ანტონიოლი, მაცოლა, აპოლონი, ბატისტუტა, სამუელი, კამორანეზი
20 053 მაყურებელი

### ლაციო 1:1 მილანი

1:0 ბაჯო (3), 1:1 შევჩენკო (54)
ლაციო: პერუცი, ნეგრო (ფავალი 46), ნესტა, მიხაილოვიჩი, პანკარო, ლომბარდო, სტანკოვიჩი (სალასი 58), სიმეონე, დ. ბაჯო, ნედვედი, კრესპო (ს. ინძაგი 80)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
მილანი: აბიატი, შამოტი, კოსტაკურტა (ჟულიო სეზარი 45), მალდინი, გატუზო, ჯუნტი, ალბერტინი, კოკო (სერჟინიო 30), ბობანი (ჰელვეგი 76), ბირჰოფი, შევჩენკო
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: ალბერტინი, შამოტი, კოსტაკურტა, ნეგრო
60 000 მაყურებელი

### ინტერი 2:1 პერუჯა

1:0 რეკობა (9), 1:1 მატერაცი (29), 2:1 ვიერი (77)
ინტერი: ფრეი, ფერარი, ბლანი, კორდობა, ხ. ძანეტი, კოე (ვიერი 46), დი ბიაჯო, ფარინოსი, გრეშკო (სერენა 64), ჰაქან შუქური (სიმიჩი 90), რეკობა
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
პერუჯა: მაცანტინი, რივალტა, მატერაცი (გინაზუ 83), მონაკო, ზე მარია, ჯუზეპე ტედესკო, ბაიოკო, ლივერანი, პიერი (ბლაზი 71), ვრიზასი (ბუჩი 67), საუდატი
მწვრთნელი: სერსე კოსმი
გაფრთხილება: ბაიოკო, საუდატი, ფერარი, ვიერი
55 000 მაყურებელი

### ფიორენტინა 3:2 ვიჩენცა

1:0 ნუნუ გომეში (9), 1:1 ტონი (44), 1:2 კომოტო (45), 2:2 ნუნუ გომეში (52), 3:2 ადანი (72)
ფიორენტინა: ტოლდო, ლასისი (ვანოლი 70), ადანი, პიერინი (ტორიჩელი 46), მარკო როსი (ბრეშანი 59), კოისი, კ. ამორუზო, დი ლივიო, რუი კოშტა, ლეანდრო, ნუნუ გომეში
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
ვიჩენცა: სტერჩელე, კარდონე, მარკო აურელიო, დიკარა, სომეზე (კომოტო 39), ლონგო, კროვარი (ბერნარდინი 79), ძაული, დალ კანტო (ლუიზო 76), ტონი, კალონი
მწვრთნელი: ედუარდო რეია
გაფრთხილება: ლონგო, კომოტო, ლასისი, კროვარი, ძაული
26 000 მაყურებელი

### უდინეზე 3:0 რეჯინა

1:0 სოსა (36), 2:0 ფიორე (443), 3:0 სოსა (52)
ბოგდანიმ ვერ გაიტანა პენალტი (45, მეკარე)
უდინეზე: ტურჩი, ძამბონი, სოტილი, ბერტოტო, ალბერტო (პიზარო 71), ჯანიკედა, ფიორე (ბისგაარდი 62), იორგენსენი (ელგერა 63), დიასი, მარჯოტა, სოსა
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
რეჯინა: ტაიბი, ჟირანეკი, სტოვინი, ოშადოგანი, კანეირა, ბრევი (ბერნინი 54), ძანჩეტა (კოცა 71), მოცარტი, მორაბიტო, ბოგდანი, მარაზინა (და კოშტა 54)
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
გაფრთხილება: ტურჩი, ბრევი, ალბერტო, პიზარო
25 000 მაყურებელი

### ბრეშა 0:0 იუვენტუსი

ბრეშა: სრნიჩეკი, ბონერა, კალორი, ფ. გალი, დიანა, ილანა (ა. ფილიპინი 69), ბიზოლი, კოზმინსკი, რ. ბაჯო, თურქილმაზი (ე. ფილიპინი 75), უბნერი (მარინო 88)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა, მონტერო, ბირინდელი, კონტე (ძამბროტა 75), ტაკინარდი, დავიდსი, პესოტო, ზიდანი, ფ. ინძაგი (ტრეზეგე 77), დელ პიერო (კოვაჩევიჩი 46)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: კოზმინსკი, ა. ფილიპინი, ბიზოლი
25 000 მაყურებელი

### ლეჩე 2:0 ბარი

1:0, 2:0 ლუკარელი (23, 723)
ლეჩე: კიმენტი, ჟუარესი, ვიალი, სავინო, ბალერი (პივოტო 75), ჯორჯეტი (კოლონელო 81), პიანჯერელი, კონტიკიო, ტონეტო (ბედინი 79), კ. ლუკარელი, ვუგრინეცი
მწვრთნელი: ალბერტო კავასინი
ბარი: ჟილე, დე როსა, მაცარელი, ინოჩენტი, მადსენი (დე გრეგორიო 75), კოლაუტო (მარკოლინი 32), დ. ანდერსონი, პეროტა, ვალდესი (ანაკლერიო 46), მასინგა, ოსმანოვსკი
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაკეტი
გაფრთხილება: ჯორჯეტი, პეროტა, ლუკარელი
გაძევება: ინოჩენტი (87), კოლონელო (87)
19 922 მაყურებელი

# რომა ყველას გაუბრაზდა



ლაციო — მილანი 1:1. რომაელთა არგენტინელი დიეგო სიმეონე (№14) და მილანელთა ხორვატი ზვონიმირ ბობანი

„ატალანტას“ ვინმე არგენტინელი რომ ჰყავდეს, ორ გოლს გაიტანდა და სერია A-ს ზედა სამეულის გუნდებიდან მე-7 ტურში სამივე გამარჯვებას ჩაიწერდა, მაგრამ ვინაიდან ასეთი არავინ ჰყავს, ნეაპოლში უგოლო ფრეს დასჯერდა და ადრინდელ მარაგს მხოლოდ ერთი ქულა შემატა.

ამიტომაც, პირველ ადგილზე ორქულიანი უპირატესობით „რომა“ დამკვიდრდა — მისმა არგენტინელმა ვარსკვლავმა გაბრიელ ბატისტუტამ ორჯერ შეაგდო ბურთი „ვერონას“ კარში, მატჩის საბოლოო ანგარიში კი 4:1 გამოვიდა.

მეორე ადგილზე „უდინეზე“ დამკვიდრდა, რომელმაც „რეჯინას“ 3:0 აჯობა და ამ სამიდან ორი, რა ძნელი მისახვედრი ეს არის, არგენტინელმა, რობერტო სოსამ გაიტანა.

თუმცა „ატლანტას“ თავი იმით შეუძლია დაიმშვიდოს, რომ ჯერჯერობით არ წაუგია, ასეთი გუნდი კი იტალიაში სხვა არ არის.

მეოთხე ადგილზე „ბოლონია“ ახტა. საამისოდ მას „პარმას“ 2:1 დამარცხება მოუხდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ლიდერს, რომელმაც მორიგი ჩინებული თამაში შესთავაზა გულშემატკივარს და მეშვიდე შეხვედრაში მეექვსე გამარჯვება მოიპოვა. ამასთან, ეს გახლდათ ზედიზედ მეორე შეხვედრა, როდესაც რომაელებმა მოწინააღმდეგეს ოთხი გოლი გაუტანეს, ხოლო ბატისტუტამ ერთხელაც დაამტკიცა, რომ დედამიწის ზურგზე ერთ-ერთი უდიდესი ბომბარდირია.

არადა, თავიდან „ვერონა“ დაწინაურდა. ეს მოხდა მე-4 წუთზე, როდესაც დედაქალაქელთა მეკარემ ფრანჩესკო ანტონიოლიმ ალბერტო ჯილარდინო წააქცია და ამ დარღვევისთვის დანიშნული პენალტი მასიმო ოდომ გაიტანა. მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „რომამ“ ჩინებულად ითამაშა და პირველი ნახევრის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე ფრანგმა ვინსენტ კანდელამ გაქვითა ანგარიში, შემდეგ ფრანჩესკო ტოტიმ დააწინაურა თავისიანები — გოლი მარკო დელვეკიოს საუცხოო გარჯას მოჰყვა — ხოლო მეორე ტაიმში ბატისტუტამ, ჯერ მეტოქის კარიდან 25 მეტრში დანიშნული საჯარიმოდან, შემდეგ კი დამიანო ტომაზის დაბალი პასით კიდევ ორჯერ გაანაწყენა ვერონელთა გოლკიპერი ფაბრიციო ფერონი. აღსანიშნავია, რომ ბატისტუტა მიმდინარე სეზონში ექვსჯერ იყო ძირითად შემადგენლობაში და ამ ექვს შეხვედრაში რვაჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი.

— ჩვენ ამ თამაშის მოგება გვინდოდა და მოვიგეთ. ყოველმხრივ კმაყოფილიც დავრჩი, რადგან მეტოქის კართან მრავალი ხიფათი შევქმენით, ოთხი გოლიც გავიტანეთ, გაშვებით კი მხოლოდ ერთი გავუშვით. გასულ სეზონთან შედარებით დღეს თავდაჯერებულნიც გახლავართ. გუნდში ისეთი განწყობაა, რომ ყველა მეტოქის დამარცხება გვსურს და თითოეულ მატჩს სპორტული ბრაზით ვატარებთ — განაცხადა მატჩის შემდეგ „რომას“ მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ.

სხვათაშორის, თუ გახსოვთ, დაახლოებით წლისა და სამი-ოთხი თვის წინ, როდესაც კაპელომ რომაელთა გუნდი ჩაიბარა, განაცხადა, ეს სეზონი მოსაყინალებლად დამჭირდება, მომავალში კი უკვე საჩემპიონო ამბიციებით წარვსდგები გულშემატკივართა წინაშეო. როგორც ხედავთ, ის სიტყვის კაცია.

და მაინც, მე-7 ტურის მთავარი შეხვედრა შაბათს, რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ „ლაციოსა“ და „მილანს“ შორის გაიმართა — სტუმრები 0:1 მარცხისგან გოლების უკრაინელი დიდოსტატის, ანდრეი შევჩენკოს შედეგიანმა დარტყმამ იხსნა.

„ლაციომ“ ანგარიში 30-ე წუთზე, დინო ბაჯოს 30 მეტრიდან მაღალ კუთხეში გასროლილის წყალობით გახსნა და მყისიერად ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მასპინძლები ეფექტური წარმატების შემდეგ მატჩის სადავეებს ხელიდან არ გაუშვებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა — მილანელებმა დემეტრიო ალბერტინის გონივრული ხელმძღვანელობითა და შევჩენკოს წინ მუდმივი სიმწვავით ქულა წაიღეს.

შევჩენკომ, თუ გახსოვთ, გასულ სეზონში, იმავ „სტადიო ოლიმპიკოზე“, იმავ „ლაციოსთან“ ფრედ 4:4 დამთავრებულ შეხვედრაში ჰეთ-თრიკი შეასრულა, ხოლო ახლა დასაწყისშივე მიიპყრო ყურადღება, როდესაც მოწინაალმდეგის დაცვაში საკმარისი სივრცე აღმოაჩინა, რათა მარცხენა ფეხით დაერტყა ანჯელო პერუცის კარისკენ, ოღონდ ბურთი რამდენიმე სანტიმეტრით ააცილა მეკარისგან მარცხენა ძელს.

მილანელთა სასახელოდ იმის თქმაც შეიძლება, რომ მათ ტრავმათა გამო ალესანდრო კოსტაკურტასა და ფრანჩესკო კოკოს ბრაზილიელებით, ჟულიო სეზარითა და სერჟინიოთი შეცვლა მოუხდათ. ასე რომ, დაღლილთა გამოსაცვლელად ან ტაქტიკური გადახალისებისთვის ალბერტო ძაკერონის თადარიგში ფაქტობრივად აღარაფერი დარჩა, მაგრამ იმ საღამოს ყველაფერზე მთავარი შევჩენკოსთვის პასის მიწოდება გახლდათ. შესვენებიდან 9 წუთში უკრაინელი ჩინებულად გაუმკლავდა მეურვეს, ალესანდრო ნესტას და ბურთი მასპინძელთა კარის ბადეში შეაგდო.

მართალია, თამაშის მიწურულს, ბოლო 10 წუთის მანძილზე „ლაციომ“ სიჩქარეს მოუმატა და სამი ქულის შინ დასატოვებლად ყველა ღონეს მიმართა, მაგრამ მას „მილანის“ მეკარის კრისტიან აბიატის ოსტატობა გადაელობა.

**ბაბუნა ბედია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 რომა | 7 | 6 | 0 | 1 | 19:7 | 12 | 18 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 9 | 4 | 3 | 0 | 1 | 12:5 | 7 | 9 |
| 2 უდინეზე | 7 | 5 | 1 | 1 | 15:6 | 9 | 16 | 4 | 4 | 0 | 0 | 12:2 | 10 | 12 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | –1 | 4 |
| 3 ატალანტა | 7 | 4 | 3 | 0 | 14:6 | 8 | 15 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 5 | 7 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:4 | 3 | 8 |
| 4 ბოლონია | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | 4 | 13 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 10 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 3 |
| 5 ლაციო | 7 | 3 | 3 | 1 | 11:7 | 4 | 12 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 6 | 10 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | –2 | 2 |
| 6 იუვენტუსი | 7 | 3 | 3 | 1 | 10:6 | 4 | 12 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 8 |
| 7 პარმა | 7 | 3 | 2 | 2 | 9:7 | 2 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | –2 | 4 |
| 8 ლეჩე | 7 | 3 | 2 | 2 | 6:8 | –2 | 11 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | –2 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 7 |
| 9 ფიორენტინა | 7 | 2 | 4 | 1 | 14:13 | 1 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 10:9 | 1 | 7 | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 0 | 3 |
| 10 ინტერი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:10 | 0 | 10 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 4 | 9 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | –4 | 1 |
| 11 მილანი | 7 | 2 | 3 | 2 | 12:11 | 1 | 9 | 3 | 1 | 2 | 0 | 7:5 | 2 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | –1 | 4 |
| 12 პერუჯა | 7 | 2 | 2 | 3 | 10:12 | –2 | 8 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 2 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | –4 | 3 |
| 13 ვიჩენცა | 7 | 2 | 1 | 4 | 9:13 | –4 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | –4 | 3 |
| 14 ვერონა | 7 | 1 | 4 | 2 | 9:13 | –4 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | –1 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | –3 | 2 |
| 15 ბრეშა | 7 | 0 | 3 | 4 | 6:13 | –7 | 3 | 4 | 0 | 3 | 1 | 3:5 | –2 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | –5 | 0 |
| 16 ნაპოლი | 7 | 0 | 3 | 4 | 6:14 | –8 | 3 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | –6 | 1 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | –2 | 2 |
| 17 რეჯინა | 7 | 1 | 0 | 6 | 4:13 | –9 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | –2 | 3 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | –7 | 0 |
| 18 ბარი | 7 | 0 | 2 | 5 | 4:13 | –9 | 2 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | –5 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | –4 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (რომა) | 8 |
| შევჩენკო (მილანი) | 7 |
| სოსა (უდინეზე) | 6 |
| ლეანდრო (ფიორენტინა) | 5 |
| ტოტი (რომა) | 5 |

### VIII ტური

25 ნოემბერი
ატალანტა — ლეჩე
მილანი — ნაპოლი
26 ნოემბერი
ბარი — უდინეზე
იუვენტუსი — ვერონა
პარმა — ლაციო
პერუჯა — ბოლონია
რეჯინა — ბრეშა
რომა — ფიორენტინა
ვიჩენცა — ინტერი

## სერია B

XII ტური

### რავენა 2:2 ტერნანა

1:0 ჩომაკოვი (28ს.კ.), 1:1, 1:2 გრაბი (33, 58), 2:2 ვეკიოლა (90ს.კ.)

### ვენეცია 2:2 კალიარი

0:1 კამარატა (20), 1:1 ბეტარინი (21), 1:2 ლუჩენტი (26), 2:2 დი ნაპოლი (67)

### ტორინო 1:0 კროტონე

1:0 ფერანტე (21)

### სამპდორია 1:1 კიევო

1:0 კ. ესპოზიტო (28), 1:1 ფანტინი (59)

### პისტოიეზე 1:0 პესკარა

1:0 ლამბერტინი (87)

### ემპოლი 2:0 სიენა

1:0 მაკარონე (6), 2:0 დი ნატალე (88)

### კოზენცა 1:0 სალერნიტანა

1:0 სამპანა (90)

### ჩიტადელა 2:0 ტრევიზო

1:0 კავერძანი (343), 2:0 ჟირარდელო (71)

### ანკონა 1:0 ჯენოა

1:0 ე. ბაჯო (223)

### მონცა — პიაჩენცა

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოზენცა | 12 | 8 | 2 | 2 | 18:10 | 26 |
| ვენეცია | 12 | 5 | 7 | 0 | 19:12 | 22 |
| კიევო | 12 | 6 | 4 | 2 | 15:9 | 22 |
| კალიარი | 12 | 5 | 5 | 2 | 21:14 | 20 |
| სამპდორია | 12 | 5 | 5 | 2 | 17:12 | 20 |
| ანკონა | 12 | 6 | 2 | 4 | 16:13 | 20 |
| ემპოლი | 12 | 6 | 2 | 4 | 14:12 | 20 |
| ტერნანა | 12 | 5 | 4 | 3 | 16:14 | 19 |
| პიაჩენცა | 11 | 5 | 2 | 4 | 14:10 | 17 |
| კროტონე | 12 | 5 | 2 | 5 | 14:16 | 17 |
| სიენა | 12 | 4 | 4 | 4 | 18:17 | 16 |
| ჩიტადელა | 12 | 3 | 6 | 3 | 17:17 | 15 |
| პისტოიეზე | 12 | 4 | 3 | 5 | 14:15 | 15 |
| სალერნიტანა | 12 | 4 | 2 | 6 | 14:14 | 14 |
| ტორინო | 12 | 3 | 4 | 5 | 13:18 | 13 |
| ტრევიზო | 12 | 3 | 3 | 6 | 12:18 | 12 |
| ჯენოა | 12 | 2 | 5 | 5 | 10:13 | 11 |
| მონცა | 11 | 3 | 0 | 8 | 11:19 | 9 |
| პესკარა | 12 | 0 | 6 | 6 | 9:16 | 6 |
| რავენა | 12 | 0 | 6 | 6 | 12:25 | 6 |

## სერია C1/A

მე-11 ტური: ალბინოლეფე — სპალ 1:1; ალესანდრია — ლუმეცანე 0:2; ალძანო — ლეკო 1:3; კარარეზე — ვარეზე 1:1; ჩეზენა — სპეცია 1:1; კომო — მოდენა 1:0; ლივორნო — პიზა 3:0; ლუკეზე — არეცო 1:2; რეჯანა — ბრეშელო 2:1

## სერია C1/B

მე-11 ტური: კატანია — ლოდიჯანი 2:0; ასკოლი — ფერმანა 1:0; ფ. ანდრია — დი სანგრო 2:3; მესინა — ბენევენტო 3:1; ნოჩერინა — ატლეტიკო 2:3; პალერმო — ტორესი 1:1; პეზარო — აკილა 0:0; ვიტერბეზე — ჯულიანოვა 0:0. სავოია — აველინო წუხელ გვიან გაიმართა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

XIII ტური

### შტუტგარტი 2:2 მიუნხენი

1:0 ტიამი (19), 1:1 აგოსტინო (64), 2:1 განია (71), 2:2 ჰესლერი (80)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ტ. შნაიდერი, ბორდონი, მაისნერი, ტიამი (გლები 87), სოლდო, პინტუ (ზაიცი 88), გერბერი, ბალაკოვი (ლისტეში 82), დანდი, განია
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
მიუნხენი: იენჩი, შტრანცლი, ზელიჩი, რისეტი, კურცი, მიუკლანდი (ვინკლერი 76), ჩერნი, ტაისი (ბორიმიროვი 53), ჰესლერი, აგოსტინო, მაქსი (ბაიერლე 62)
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
გაფრთხილება: რისეტი, მაქსი
22 000 მაყურებელი

### ჰერტა 0:4 შალკე

0:1, 0:2 სანდი (4, 19), 0:3 ბიომე (80), 0:4 სანდი (86)
ჰერტა: კირალი, კონსტანტინიდისი, შმიდტი, სვერისონი, ვაიტი (როი 57), სანე (დარდაი 24), ტრეჩოკი, ჰარტმანი, ვოში, პრეეცი, ალვეში (დაეი 46)
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, ნემეცი (ბიუსკენსი 87), ლატალი (მიკოლაიჩაკი 88), ვან ჰუგდალემი, ბიომე, მიოლერი, სანდი, ასამოა (მულდერი 82)
მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი
გაფრთხილება: ჰარტმანი, ვოში, ლატალი
49 476 მაყურებელი

### კიოლნი 5:2 ჰანზა

1:0 კულმანი (9), 1:1 არვიდსონი (24), 1:2 ლანგე (29), 2:2 ლოტნერი (34), 3:2 კურტი (40), 4:2, 5:2 ტიმი (49, 71)
კიოლნი: პრიოლი, ჩიკონი (ბარანეკი 84), სიჩონე, ჟივიორი, კულმანი, ვოიგტი, შპრინგერი, ლოტნერი, შერცი, ტიმი (კროიცი 89), კურტი (ა. არველაძე 75)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
ჰანზა: პიკენჰაგენი, ბენკენი, იაკობსონი, შრიოდერი, ლანგე, ვიბრანი, ლანცი, ბრანდი, მაიაკი, არვიდსონი, აგალი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: ჩიკონი
გაძევება: მაიაკი (84)
27 000 მაყურებელი

### ვოლფსბურგი 1:1 ვერდერი

0:1 ბოდე (40), 1:1 მარიჩი (64)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ტომსენი, ჰენგენი, კრიგერი, ბილიშკოვი (გრაინერი 77), ნოვაკი (ტ. მარიჩი 46), აკონორი, ვაისერი, კუჰბაუერი, იუსკოვიაკი (რიშე 90), აკპობორი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
ვერდერი: როსტი, ფრინგსი, აილტსი, ფ. ბაუმანი, კრსტაიჩი, ფ. ერნსტი, ვიკი, ა. ჰერცოგი (სტალტერი 71), ბოდე, აილტონი (ბოგდანოვიჩი 76), პიზარო
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ნოვაკი, აკონორი, იუსკოვიაკი, ვიკი, კრსტაიჩი
15 860 მაყურებელი

### ბაიერნი 1:2 აინტრახტი

1:0 პაულო სერჟიო (13), 1:1 შური (38), 1:2 ფიორტოფტი (63)
ბაიერნი: კანი, სანიოლი (ციკლერი 78), კუფური, სფორცა, ტარნატი, იერემისი (იანკერი 64), ფინკი, ეფენბერგი (შოლი 64), სალიჰამიჯიჩი, პაულო სერჟიო, ელბერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
აინტრახტი: ჰაინენი, ხუბჩევი, პროისი (ბინდევალდი 60), კრახტი, ვიმერი, შური, ლიოში (რასიევსკი 46), ბრანკო, ჰელდტი, ფიორტოფტი, რაიხენბერგერი (სობოტჩიკი 85)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ელბერი, ტარნატი, კრახტი
47 000 მაყურებელი

### ლაუტერნი 0:2 ფრაიბურგი

0:1 სელიმი (14), 0:2 ცაიერი (90)
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, კომლიენოვიჩი, ჰ. კოხი, კლოსი, გრამოცისი, შტრასერი (ჯორკაეფი 46), ბუკი, პეტერსონი, დომინგუში (რაიხი 70), ხრისტოვი (ლოკვენცი 58), კლოსე
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე

# იაშვილმა იცოდა



ჰამბურგი — ლევერკუზენი 1:3. ანდრეი პანადიჩი და მისი „ჰამბურგი“ ლევერკუზენული კედლის გარღვევას ამაოდ ეცადნენ

ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, ჰერმელი, დიარა, კობიაშვილი, ვილი, კელი, ბაია (ა. ცაიერი 62), ვ. ბუტი (შუმანი 88), სელიმი, რამდანე (ვაისჰაუპტი 70)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: შტრასერი, კელი, ჰერმელი, სელიმი
39 383 მაყურებელი

### ჰამბურგი 1:3 ლევერკუზენი

0:1 რინკი (1), 1:1 პრეგერი (10), 1:2 რინკი (33), 1:3 ნოივილი (73)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰერჩი, ჰოოგმა, პანადიჩი, ტოფტინგი, სანდმანი, ჰოლერბახი (კეტელაერი 63), ბარბარესი, მაჰდავიკია, პრეგერი, იებოა
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
ლევერკუზენი: მატიშეკი, ოჯიგვე, ჟივკოვიჩი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, რამელო, ზე რობერტო, ვრანიეში (ბ. შნაიდერი 67), პონტე (ტ. ჰოფმანი 89), რინკი (კირსტენი 80), ნოივილი
მწვრთნელი: ბერტი ფოგტსი
გაფრთხილება: ჰოლერბახი, კოვაჩი, რამელო
49 000 მაყურებელი

### ბოხუმი 1:1 დორტმუნდი

1:0 დრინჩიჩი (75), 1:1 ჰაინრიხი (87)
ბოხუმი: ვან დუინოვენი, მამიჩი, ბემბენი, რისტაუ, მაიხელბეკი (ფარენჰორსტი 70), მანდრეკო (ფრაერი 57), შინდცილორცი, დიკჰაუტი, ბასტურკი, მ. მარიჩი, დრინჩიჩი
მწვრთნელი: რალფ ცუმდიკი
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, კოლერი, ევანილსონი, სტევიჩი, ნერლინგერი (კრონტირისი 83), ჰაინრიხი, რიკენი, ადო (ტანკო 78), რეინა, იკპება
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: რისტაუ, ბემბენი, ბასტურკი, დიკჰაუტი, რეინა, სტევიჩი
33 000 მაყურებელი

### უნტერჰახინგი 2:1 კოტბუსი

1:0 ბრაიტენრაიტერი (6), 2:0 ობერლაიტნერი (42), 2:1 ფრანკლინი (55)
უნტერჰახინგი: ტრემელი, შტრემელი, ჰ. ჰერცოგი (ბერგენი 81), ზაიფერტი, დ. შვარცი, მათიას ციმერმანი, ჰაბერი, შტრაუბე, ობერლაიტნერი (ზდრილიჩი 61), ბრაიტენრაიტერი, რაკლი (შპიზაკი 67)
მწვრთნელი: გიუნტერ-ლორანც კიოსტნერი

კოტბუსი: პიპლიცა, შებოკი, ჰუჯოროვიჩი, ბეეკი, აკპაროვიჩი, ტიელმანი (რიოდლუნდი 75), მატიუში, ვატა, მიჩევსკი (ლატუნდი 75), ლაბაკი (ჰელბიგი 46), ფრანკლინი
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: შტრაუბე, შტრემელი, ჰერცოგი, შპიზაკი, ჰელბიგი
10 500 მაყურებელი

მეცამეტე ტური გამორჩეული გამოდგა. ბევრი მოულოდნელობა მოხდა, ლიდერიც შეიცვალა. იმას არ იკითხავთ, ვინ მოკალათდა პირველ ადგილზე? „ლევერკუზენი“! ბერტი ფოგტსი ორწლიანი შესვენების შემდეგ ისევ დაბრუნდა სათადარიგოთა სკამზე და საკლუბო ფეხბურთში დებიუტი წარმატებით აღნიშნა. მისმა „ლევერკუზენმა“ სტუმრად „ჰამბურგს“ მოუგო და ცხრილს სათავეში მოექცა, თუმცა ამაში ლიდერთა სენსაციური მარცხებიც დაეხმარა.

განსაკუთრებით მიუნხენის „ბაიერნმა“ „ივაჟკაცა“. ბოლო წლებში ბავარიელებს ხუთი წაგება მთელ სეზონში არ უგროვდებოდათ, ახლა კი...

თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად იყო — „ბაიერნი“ უტევდა, „აინტრახტი“ თავს იცავდა, ისიც გაჭირვებით. მე-13 წუთზე ფრანკფურტელებს გოლი მაინც გაუტანეს — პაულო სერჟიომ ტარნატის გრძელი პასი მიიღო და საჯარიმოს გარედან ჰაინენს ცხრიანში დაურტყა. „აინტრახტი“ ერთიორჯერ ამის მერეც გადარჩა, ტაიმის მიწურულს კი იშვიათი კონტრშეტევა განახორციელა, რასაც ჰელდტის თავური პასი და შურის ასევე თავით ზუსტი დარტყმა მოჰყვა. ამის მიუხედავად, ტრიბუნაზე მყოფ 47 ათას ქომაგს „ბაიერნის“ გამარჯვების სჯეროდა, თუმცა 63-ე წუთზე სენსაციის სუნი იყნოსა, როცა ნორვეგიელმა იან აგე ფიორტოფტმა კანს მეორე და გადამწყვეტი ბურთი გაუტანა — 2:1 „აინტრახტის“ სასარგებლოდ. იანკერის, შოლისა და ციკლერის გამოსვლას „ბაიერნისთვის“ სახეირო არაფერი მოუტანია, შტეფან ეფენბერგს კი სასურველ ფორმამდე ჯერაც ბევრი უკლია.

ექვსი მატჩი და ექვსი გამარჯვება, ბურთები 21:4-თან — აი, ასეთი შედეგი ჰქონდა ლიდერ (ყოფილს) ბერლინის „ჰერტას“ საკუთარ მინდორზე შაბათამდე. ვინ იფიქრებდა ამის შემდეგ, რომ „ჰერტა“ კონკურენტ „შალკესთან“ კაპიტულაციას გამოაცხადებდა და წააგებდა? წაგებაცაა და წაგებაც — 0:4 მეტისმეტი გახლდათ. სტუმართა დანიელ ფორვარდ ებე სანდს „კიკერმა“ მაქსიმალური შეფასება, „ერთიანი“ დაუწერა. ამისი საფუძველი სანდის ჰეთ-თრიქი იყო. ტრავმირებული ბაინლიხისა და დაისლერის გარეშე მოთამაშე მასპინძლებს შაბათს არაფერი გამოსდიოდათ. „შალკე“ მეტოქეს აშკარად სჯობდა.

„დებიუტში გაშვებულმა ორმა ბურთმა გუნდი მოშალა. თამაშის აწყობა და შეტევაზე გადასვლა კი ვცადეთ, მაგრამ შედეგად კიდევ ორი გოლი მივიღეთ“ — ასე ახსნა მარცხი იურგენ რიობერმა, „ჰერტას“ მთავარმა მწვრთნელმა.

დავუბრუნდეთ „ლევერკუზენს“. „ჰამბურგი“ უკვე მე-80 წამზე აგებდა — სწორედ ამდენი დრო იყო გასული, როცა პაულო რინკმა რობსონ პონტეს ჩაწოდებული ბურთი გოლად აქცია. გოლმა მასპინძლები თითქოს არ გატეხა. თამაში ცენტრიდან განაახლეს თუ არა, უმალ იერიშზე გადავიდნენ და მალე წონასწორობაც აღადგინეს — მე-10 წუთზე პრეგერმა ტოფტინგის პასს თავით კარში მიუჩინა ადგილი. „ჰამბურგი“ ცოტა ხანს კიდევ უტევდა, მერე მინდორზე მოვლენები ძირითადად „ლევერკუზენის“ კარნახით განვითარდა. 33-ე წუთზე რინკმა ბუტის და ჰერჩის შეცდომით ისარგებლა და ბურთი ცარიელ კარში გადაგზავნა. ამას მასპინძელთა კართან რამდენიმე გაფუჭებული მომენტი და ნოივილის მესამე გოლი მოჰყვა.

წარმატებული სტარტის მერე ცოტა აერია საქმეები მათიას ზამერის „დორტმუნდს“, რომელიც აუტსაიდერებსაც ვეღარ ერევა. აი, ბოლო მაგალითი — „ბოხუმთან“ საგარეო შეხვედრაში მხოლოდ ქულას დასჯერდა, 87-ე წუთამდე კი ისიც სანატრელი ჰქონდა. არადა, სამართალი რომ ყოფილიყო, ზამერის შეგირდებს სამი ქულა ეკუთვნოდათ. ისინი მთელი შეხვედრის განმავლობაში აკონტროლებდნენ თამაშს, ვან დუინოვენიც გვარიანად ანერვიულეს, ძელებიც შეაწუხეს, თუმცა 75-ე წუთზე დრინჩიჩი გამოხტა და აქეთ გაუტანა.

„კარგია, სულ უქულოდ რომ არ დავრჩით. ვეცდებით, დღეს დაკარგული მომავალ შეხვედრებში ავინაზღაუროთ“ — თქვა ზამერმა ნამატჩევს.

„ფრაიბურგის“ თავკაცმა ფოლკერ ფინკემ კი სულ მთლად ნამუსზე აიღო ხელი: „ძალიან მიხარია, რომ მოვიგეთ, თუმცა მატჩის მსვლელობისას ძალიან გაბრაზებული ვიყავი, მეორე ბურთი უფრო ადრე უნდა გაგვეტანა“.

მეორე ბურთი უფრო ადრე უნდა გაგვეტანაო, კი თქვა ფინკემ, მაგრამ, აბა, ახლა მის კაიზერსლაუტერნელ კოლეგა ანდრეას ბრემეს მოვუსმინოთ: „მინდა, ქომაგებს პირველი ტაიმისთვის ბოდიში მოვუხადო, ცუდად ვითამაშეთ. მეორე ნახევარში კი ჩემი გუნდით კმაყოფილი ვარ. ყველაფერი ფოლცის ბრწყინვალე თამაშმა გადაწონა“.

„ფრაიბურგის“ მეკარე შაბათს შეუდარებელი გახლდათ. იგი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. სტუმართა შორის ქართველთაგან მხოლოდ ლევან კობიაშვილმა ითამაშა. ალექსანდრე იაშვილს და ლევან ცქიტიშვილის კუნთის ტრავმა ჰქონდათ. იმავე მიზეზით არ იყვნენ ვაისჰაუპტი და კულიბალი. კობიაშვილმა „კიკერისგან“ „ოთხიანი“ მიიღო. მისმა მოწინააღმდეგე შტრასერმა კი... „6“-იანი. მართალია, „კიკერის“ ყველაზე ცუდი შეფასება „5“-ია, მაგრამ ხშირად „5,5“-იც გამოუყენებია ამ პოპულარულ ჟურნალს. „ექვსიანი“ კი... როგორ ითამაშა შტრასერმა პირველი 45 წუთი, თავად განსაჯეთ.

მე-14 წუთი მიმდინარეობდა, როცა კელის პასით სტუმარმა სელიმიმ ანგარიში გახსნა და ნავსი გატეხა — მანამდე „ფრაიბურგს“ ზედიზედ სამ მატჩში ერთხელაც ვერ გაეტანა (ქულაზე აღარაფერს ვამბობთ). ამის მერე მხოლოდ ერთი გუნდი უტევდა და იგი „კაიზერსლაუტერნი“ გახლდათ. გოლცის კართან მომენტებს თვლა არ ჰქონდა, მაგრამ მეკარე შეუდარებელი იყო. ბოლო წუთზე „ფრაიბურგმა“ კონტრშეტევა განახორციელა და 2:0-იც მოიგო.

„მე იაშვილთან ერთად ვცხოვრობ. მან თამაშის წინ მითხრა, რომ დღეს აუცილებლად მოვიგებდით. ეს კაიზერსლაუტერნში კარგად გამოგვდისო. მან ყველაფერი იცოდა, ნამდვილი წინასწარმეტყველია“ — განუცხადა „ბადიშე ცაიტუნგს“ გუნდის ახალწვეულმა, რუსმა ვლადიმირ ბუტმა. ცნობისთვის: „ფრაიბურგმა“ ამ ქალაქში ზედიზედ მეოთხედ მოიგო.

შაბათს მინდორს არჩილ არველაძე დაუბრუნდა. ქართველ ფორვარდს ტრავმა აწუხებდა და ამის გამო ბევრი გაუცდა. „ჰანზასთან“ მატჩში იგი ლინენმა 75-ე წუთზე შეიყვანა მოედანზე. ამ დროისთვის ყველაფერი ცხადი იყო — „კიოლნი“ 5:2-ს იგებდა. პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, ჯერ ერთი გუნდი იყო წინ, მერე მეორე, 34-ე წუთიდან კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. კიოლნელებმა სტუმრებს მწარე მარცხი აგემეს და მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლევერკუზენი | 13 | 7 | 4 | 2 | 18:12 | 6 | 25 | 6 | 4 | 1 | 1 | 7:2 | 5 | 13 | 7 | 3 | 3 | 1 | 11:10 | 1 | 12 |
| 2 | შალკე | 13 | 7 | 3 | 3 | 29:13 | 16 | 24 | 6 | 4 | 2 | 0 | 13:4 | 9 | 14 | 7 | 3 | 1 | 3 | 16:9 | 7 | 10 |
| 3 | ჰერტა | 13 | 8 | 0 | 5 | 28:21 | 7 | 24 | 7 | 6 | 0 | 1 | 21:8 | 13 | 18 | 6 | 2 | 0 | 4 | 7:13 | –6 | 6 |
| 4 | ბაიერნი | 13 | 7 | 1 | 5 | 29:17 | 12 | 22 | 7 | 5 | 0 | 2 | 20:9 | 11 | 15 | 6 | 2 | 1 | 3 | 9:8 | 1 | 7 |
| 5 | აინტრახტი | 13 | 6 | 2 | 5 | 19:17 | 2 | 20 | 6 | 5 | 1 | 0 | 15:2 | 13 | 16 | 7 | 1 | 1 | 5 | 4:15 | –11 | 4 |
| 6 | ლაუტერნი | 13 | 6 | 2 | 5 | 17:16 | 1 | 20 | 7 | 4 | 1 | 2 | 10:7 | 3 | 13 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | –2 | 7 |
| 7 | დორტმუნდი | 13 | 6 | 2 | 5 | 20:23 | –3 | 20 | 6 | 3 | 0 | 3 | 7:9 | –2 | 9 | 7 | 3 | 2 | 2 | 14:13 | 1 | 11 |
| 8 | ვოლფსბურგი | 13 | 4 | 6 | 3 | 28:19 | 9 | 18 | 7 | 3 | 4 | 0 | 20:9 | 11 | 13 | 6 | 1 | 2 | 3 | 8:10 | –2 | 5 |
| 9 | ჰამბურგი | 13 | 5 | 3 | 5 | 30:26 | 4 | 18 | 7 | 4 | 1 | 2 | 16:9 | 7 | 13 | 6 | 1 | 2 | 3 | 14:17 | –3 | 5 |
| 10 | კიოლნი | 13 | 5 | 3 | 5 | 24:25 | –1 | 18 | 7 | 5 | 1 | 1 | 20:10 | 10 | 16 | 6 | 0 | 2 | 4 | 4:15 | –11 | 2 |
| 11 | ფრაიბურგი | 13 | 4 | 3 | 6 | 15:17 | –2 | 15 | 6 | 3 | 1 | 2 | 11:4 | 7 | 10 | 7 | 1 | 2 | 4 | 4:13 | –9 | 5 |
| 12 | მიუნხენი | 13 | 3 | 6 | 4 | 17:21 | –4 | 15 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:10 | –2 | 8 | 7 | 1 | 4 | 2 | 9:11 | –2 | 7 |
| 13 | ჰანზა | 13 | 4 | 3 | 6 | 11:22 | –11 | 15 | 6 | 1 | 3 | 2 | 4:9 | –5 | 6 | 7 | 3 | 0 | 4 | 7:13 | –6 | 9 |
| 14 | ვერდერი | 13 | 3 | 5 | 5 | 17:20 | –3 | 14 | 6 | 2 | 3 | 1 | 11:8 | 3 | 9 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:12 | –6 | 5 |
| 15 | შტუტგარტი | 13 | 3 | 5 | 5 | 20:24 | –4 | 14 | 7 | 3 | 4 | 0 | 15:10 | 5 | 13 | 6 | 0 | 1 | 5 | 5:14 | –9 | 1 |
| 16 | უნტერჰახინგი | 13 | 3 | 5 | 5 | 15:22 | –7 | 14 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:8 | 2 | 12 | 6 | 0 | 2 | 4 | 5:15 | –10 | 2 |
| 17 | კოტბუსი | 13 | 4 | 2 | 7 | 15:24 | –9 | 14 | 6 | 4 | 0 | 2 | 9:7 | 2 | 12 | 7 | 0 | 2 | 5 | 6:17 | –11 | 2 |
| 18 | ბოხუმი | 13 | 3 | 3 | 7 | 10:23 | –13 | 12 | 7 | 2 | 2 | 3 | 8:12 | –4 | 8 | 6 | 1 | 1 | 4 | 2:11 | –9 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სანდი (შალკე) | 11 |
| ბარბარესი (ჰამბურგი) | 9 |
| აგოსტინო (მიუნხენი) | 9 |
| ჰერლიხი (დორტმუნდი) | 7 |

### XIV ტური

24 ნოემბერი
შალკე — ბოხუმი
25 ნოემბერი
მიუნხენი — უნტერჰახინგი
ჰანზა — ჰამბურგი
ფრაიბურგი — ბაიერნი
დორტმუნდი — ვოლფსბურგი
კოტბუსი — კიოლნი
აინტრახტი — ჰერტა
26 ნოემბერი
ვერდერი — შტუტგარტი
ლევერკუზენი — ლაუტერნი

## მეორე ბუნდესლიგა

XIII ტური

### მაინცი 1:1 ალემანია

0:1 ზერნიკი (59), 1:1 ვორონინი (87)

### ობერჰაუზენი 2:3 ზანქტ პაული

0:1 კლასნიჩი (3), 1:1 ვაიერი (37), 2:1 იუდტი (40), 2:2 მეგლე (57), 2:3 პაჩინსკი (75)

### გლადბახი 1:1 დუისბურგი

0:1 ცაიერი (45), 1:1 ვან ლენტი (51)

### ულმი 0:1 ნიურნბერგი

0:1 მიოკელი (24)

### ოსნაბრუკი 1:1 ალენი

0:1 შუსტერი (38), 1:1 შირსანდი (75)

### ქემნიცი 1:3 როიტლინგენი

1:0 კრუპნიკოვიჩი (13), 1:1 ადუბე (7), 1:2 ლაპაჩინსკი (25), 1:3 დიაპა (79)

### ფიურტი 2:0 კიკერსი

1:0 რაიხელი (51), 2:0 ელბერფელდი (56)

### ზაარბრიუკენი — ვალდჰოფი
### ჰანოვერი — არმინია

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 13 | 10 | 3 | 0 | 27:9 | 33 |
| ზანქტ პაული | 13 | 7 | 3 | 3 | 32:21 | 24 |
| ჰანოვერი | 12 | 6 | 4 | 2 | 20:10 | 22 |
| როიტლინგენი | 13 | 6 | 3 | 4 | 26:25 | 21 |
| ობერჰაუზენი | 13 | 6 | 2 | 5 | 20:17 | 20 |
| ფიურტი | 13 | 5 | 4 | 4 | 22:16 | 19 |
| ალემანია | 13 | 5 | 4 | 4 | 19:17 | 19 |
| ზაარბრიუკენი | 12 | 5 | 3 | 4 | 18:19 | 18 |
| გლადბახი | 13 | 3 | 7 | 3 | 20:17 | 16 |
| არმინია | 12 | 4 | 4 | 4 | 16:14 | 16 |
| დუისბურგი | 13 | 4 | 4 | 5 | 18:17 | 16 |
| ვალდჰოფი | 12 | 4 | 4 | 4 | 15:18 | 16 |
| ალენი | 13 | 3 | 6 | 4 | 20:25 | 15 |
| ულმი | 13 | 4 | 2 | 7 | 17:20 | 14 |
| მაინცი | 13 | 3 | 4 | 6 | 13:19 | 13 |
| ოსნაბრუკი | 13 | 2 | 4 | 7 | 12:23 | 10 |
| კიკერსი | 13 | 1 | 6 | 6 | 7:19 | 9 |
| ქემნიცი | 13 | 2 | 3 | 8 | 12:28 | 9 |

## ესპანეთი

### XI ტური

**სარაგოსა 3:1 ბარსელონა**

1:0 ლანა (43), 2:0 ჟამელი (51), 3:0 ხოსე იგნასიო (58), 3:1 ხერარდი (90)
სარაგოსა: ხუანმი, სუნდგრენი, პაკო ხემესი, ლანა, პაბლო, მარტინ ველისკა, აკუნია, ხოსე იგნასიო, ჟამელი (იორდი 84), ხუანელე (არაგონი 79), მონტენეგრო (გარიტანო 76)
მწვრთნელი: ლუის კოსტა
ბარსელონა: არნაუ, სერხი (ხერარდი 58), აბელარდო, პუიოლი (ოვერმარსი 54), პეტი, ლუის ენრიკე, ხავი (გაბრი 80), კოკუ, სიმაო, კლუივერტი, რივალდო
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
გაფრთხილება: სერხი, სიმაო, პაკო ხემესი, ხოსე იგნასიო, სუნდგრენი, მარტინ ველისკა
30 000 მაყურებელი

**ოსასუნა 1:1 დეპორტივო**

0:1 სკალონი (1), 1:1 კრუჩაგა (16)
ოსასუნა: სანსოლი, აიტორ ოკიო, იანგუსი, მატეო, კრუჩაგა, ლეკუმბერი, ალექსი, ალფონსო, არპონი (პალასიოსი 77), არმენტანო (ტრეჩაკი 63), საბინო (ივან როსადო 86)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
დეპორტივო: მოლინა, კაპდევილა, შელდერი, ნაიბეტი, მანუელ პაბლო, ფერნანდო (მაკაი 90), ვალერონი (ვიქტორ სანჩესი 72), სკალონი, ემერსონი, მაურო სილვა, დიეგო ტრისტანი (პანდიანი 66)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: კაპდევილა, ალფონსო
17 000 მაყურებელი

**ვილიარეალი 0:1 რეალი**

0:1 ამორი (66ს.კ.)
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, უნაი, კიკე ალვარესი, კანია, ამორი, გალვანი, მარიონი (ესკუდა 68), ვიქტორი, კალეხა (კრაიოვიანუ 75), ხორხე ლოპესი (მოიზესი 68)
მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე
რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, კარანკა, რობერტო კარლოსი, მაკელელე, სავიო (მუნიტისი 59), მაკმანამანი, გუტი (კამპო 80), მორიენტესი (სოლარი 59), რაული
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: კარანკა, ამორი, მორიენტესი, უნაი, კანია, არუაბარენა
16 500 მაყურებელი

**ალავესი 1:1 ვალენსია**

1:0 ივან ალონსო (70), 1:1 კარეუ (78)
ალავესი: ერერა, ჯელი, ეგენი, კონტრა, კარმონა, ასტუდილიო, დესიო, ტომიჩი, ხავი მორენო, მაგნო (ივან ალონსო 62), კრუიფი (განიანი 86)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
ვალენსია: კანისარესი, ალბელდა, პელეგრინო, ჯუკიჩი, აიალა, ვისენტე, ბარახა (მიია 89), მენდიეტა, ანგულო (ბიორკლუნდი 81), ხუან სანჩესი (დიეგო ალონსო 68), კარეუ
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: ბარახა, პელეგრინო, დესიო, ჯუკიჩი, აიალა, კრუიფი, ხავი მორენო, ტომიჩი
13 329 მაყურებელი

**ლას პალმასი 1:0 მალიორკა**

1:0 ორლანდო (87)
ლას პალმასი: კიკოვიჩი, მოლინა, პაკუი, ოლიასი, გიარე (ორლანდო 74), ხოსიკო (ელიო 70), სემვისი, იარნი (ხორხე 42), ედუ ალონსო, ულარე, ანხელი
მწვრთნელი: სერჯიო კრესიჩი
მალიორკა: ლეო ფრანკო, ნადალი, მიგელ სოლერი, ფერნანდო ნინიო, ოლაიზოლა, იბაგასა, ენგონგა (ჩიჩი სოლერი 46), მარკოსი, ფინიდი, ეტოო (სტანკოვიჩი 75), ლუკე (კარლოსი 63)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: იბაგასა, ოლაიზოლა, ედუ ალონსო, ლეო ფრანკო, სემვისი
16 883 მაყურებელი

**სოსიედადი 4:1 ნუმანსია**

1:0 დე პაულა (2), 2:0 იდიაკესი (18), 3:0 იანკაუსკასი (30), 3:1 ოხედა (55), 4:1 იანკაუსკასი (78)
სოსიედადი: ალბერტო, ლოპეს რეკარტე, პიკაბეა, კორინო, ფუენტესი, დე პედრო (ხაბილონდო 52), არანბურუ, იანკაუსკასი, დე პაულა (ხოხლოვი 70), რუბენ ვეგა (ხ. გერერო 68), იდიაკესი
მწვრთნელი: პერიკო ალონსო
ნუმანსია: ნუნიესი, კურო მონტოია, მუნისი, კლავერო (პირი 65), პაჩეტა, მანელი (ოხედა 46), როსუ, ხოსე მანუელი, ნაგორე, რუბენ ნავარო, ინიაკი (მარინი 45)
მწვრთნელი: ფრანსისკო ერერა ლორენსო
გაფრთხილება: მუნისი, დე პაულა, იდიაკესი, რუბენ ვეგა, კურო მონტოია
22 000 მაყურებელი



სოსიედადი — ნუმანსია 4:1. მასპინძელი სერხიო კორინო (მარცხნივ) და სტუმარი პედრო ოხედა

# დელ ბოსკე ერთი წლის გახდა

**სელტა 1:1 რასინგი**

1:0 გუსტავო ლოპესი (5), 1:1 კასერესი (90პ)
სელტა: პინტო, ხუანფრანი, კასერესი, იაგო, კოირა, დორივა (ედუ 60), ჯოვანელა, კარპინი, კატანია (ნოგეროლი 60), გუსტავო ლოპესი (ტომასი 81), მაკკარტი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
რასინგი: სებალიოსი, ესტევესი (მორანი 57), სიეტესი, მელბერგი, არსენო, ტაისი, ამავისკა (ხულიო ალვარესი 61), ესპინია, ხაიმე, ბესჩასტნიხი (პრესიადო 57)
მწვრთნელი: ანდონი გოიკოეჩეა
გაფრთხილება: კოირა, დორივა, ხუანფრანი, ამავისკა, ჯოვანელა, მააკარტი, ხაიმე, ედუ, კარპინი
გაძევება: ხუანფრანი (67), ედუ (84)
20 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 2:1 ბილბაო**

1:0 პოჩეტინიო (11), 1:1 ეჩებერია (66), 2:1 სერხიო (87)
ესპანიოლი: მორა, ტოლედო, პოჩეტინიო, კრისტობალი, გალკა, დე ლუკასი (ნავასი 56), სერხიო, სოლდევილა, სერანო (მარტინ პოსე 56), ტამუდო, ივან დიასი (არტეაგა 75)
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
ბილბაო: ლაფუენტე, ფელიპე, ლარაინსარი, ლაკრუსი, ალკორტა, დელ ჰორნო (იესტე 90), ი. გერერო, ურუტია, ხ. ეჩებერია (ტიკო 90), ურსაისი, ხავი გონსალესი (ოსკარ ვალესი 77)
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩი როხო
გაფრთხილება: ლაკრუსი, დე ლუკასი, ურუტია
23 300 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 4:2 მალაგა**

1:0 ბოლო (3), 1:1 ზარატე (24), 2:1 ბოლიჩი (34), 3:1 ბრავო (77ს.კ.), 4:1 ბარტელტი (90), 4:2 აგოსტინო (90)
რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, მინგო, დე კინტანა, ბალესტეროსი, ალკასარი, მიჩელი, კევედო, პაბლო სანსი, ივან იგლესიასი, ბოლო, ბოლიჩი (შელდერი 65)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
მალაგა: კონტრერასი, ბრავო, ვალკარსე, როტეტა (სანდრო 60), ლარაინსარი, ზარატე, მოვილია, რუფეტე, რივასი, დელი ვალდესი, აგოსტინო
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: ბოლიჩი
20 000 მაყურებელი

**ოვიედო 4:1 ვალიადოლიდი**

1:0 ოლი (34), 2:0 რუბენი (57), 3:0 ლოსადა (75), 3:1 პაჩონი (85), 4:1 მიოლერი (87)
ოვიედო: ესტებანი, კეიტა, დანჟუ, მარტინოვიჩი, ბორისი (ივო 62), ამიევა, ონოპკო, ტომიჩი, რუბენი (ივან ანია 69), ლოსადა (მიოლერი 76), ოლი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
ვალიადოლიდი: ბიზარი, ტორეს გომესი, გარსია კალვო, სანტამარია, მარკოსი, ფერნანდო სალესი (პაჩონი 82), ეუსებიო (კავიედესი 67), ხესუსი, ანტონიო ლოპესი, ჩირიჩი(კამინერო 46), ალბერტო
მწვრთნელი: ფრანსისკო ფერარო
გაფრთხილება: ტომიჩი, ონოპკო, გარსია კალვო, ეუსებიო, კამინერო
21 000 მაყურებელი

კატალონიელთა აზრი ასეთია — არნაუმ, აბელარდომ, კოკუმ, სიმაომ და სერხიმ ცუდად ითამაშეს. კლუივერტს, რივალდოსა და ხერარდს არა უშავდათ, კარგად კი მხოლოდ პუიოლი და პეტი გაისარჯნენ. ჰოდა, ასეთი შედეგიც რა გასაკვირია.

სარაგოსელთა სამივე გოლი სტუმართა მცველების და მეკარის უხეში შეცდომების შედეგია. ტაიმის დასრულებამდე ორი წუთით ადრე უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა მარკო ლანამ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი თავით შეაგდო. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა აბელარდომ უხეიროდ დაუბრუნა ბურთი არნაუს, რომელსაც თავის მხრივ პაულო ჟამელმა აართვა და სხვაობა ორამდე გაზარდა. კიდევ ცოტა ხანი და სრულიად თავისუფალმა ხოსე იგნასიომ კვლავ კუთხურის ჩაწოდების მერე გაიტანა.

ამ მოგებამ „სარაგოსა" სახიფათო ზონას ააცილა, ხოლო „ბარსელონა" მისთვის ყოვლად შეუფერებელ მეცხრე ადგილზე ჩააგდო. თითქოს კატალონიელებს არცთუ ცუდად აქვთ საქმე, რადგან ლიდერთან მხოლოდ ხუთი ქულა აშორებთ, მაგრამ თამაშის ხარისხი? თანაც წაგებებსაც რომ ძალიან გაუშინაურდნენ... „ბარსელონამ" სეზონის დაწყებიდან პრიმერადივიზიონში და ჩემპიონთა ლიგაში 17 მატჩი გამართა და მათგან შვიდი წააგო, ხოლო ესპანეთში უკვე იმდენი გოლი გაუშვა, რამდენიც ბოლოადგილოსანმა „ოსასუნამ".

იონ კარეუმ „ვალენსიას" ლიდერობა შეუნარჩუნა. წინა ტურებში ნორვეგიელის გვიანმა გოლებმა „ვალენსიას" ორი თამაში მოაგებინა, თუმცა ამჯერად მხოლოდ ფრეს გამორჩა. თამაშის შემდეგ ვიტორიელები გულდაწყვეტილნი იყვნენ — გვარიან უპირატესობას ფლობდნენ და მეტოქესაც რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა. „ალავესი" ივან ალონსოს თავურით დაწინაურდნენ, რომელსაც დელფინ ჯელიმ ზუსტად ჩააწოდა, მაგრამ კარეუს საპასუხო გოლმა ბასკებს ორი ქულა დააკარგვინა.

ფრედ ითამაშა ამჟამინდელმა ჩემპიონმა და „ვალენსიას" მდევარმა „დეპორტივომაც", თან იმავე ანგარიშით და ასევე ბასკურ კლუბთან. მსგავსება ამ ორ მატჩს შორის ამით ამოიწურება, რადგან პამპლონაში მეტოქეებმა საწყის 17 წუთში გაარკვიეს ურთიერთობა და დარჩენილ დროში მოსაწყენი ფეხბურთი ითამაშეს. ლაკურუნიელთა არგენტინელის ლიონელ სკალონის სწრაფ გოლს მასპინძელთა მცველმა სესარ კრუჩაგამ უპასუხა, რომელსაც სტუმრებმა საკმაოდ დიდი სივრცე დაუტოვეს ფერნანდოსგან მიღებული პასის დასამუშავებლად და კარში დასარტყმელად.

ლიდერთა წაფორხილებით ორივე მადრიდულმა კლუბმა ისარგებლა და ახლა მესამე და მეოთხე ადგილებზე არიან.

„რაიო ვალეკანომ" შავი დღე აყარა „მალაგას" და მართალია, ორი გოლი გაუშვა, თავად ორჯერ მეტი გაიტანა. სტუმარმა არიელ ზარატემ გოლით აღნიშნა მადრიდში დაბრუნება. გავიხსენოთ, რომ 27 წლის არგენტინელი გასულ სეზონში „რეალში" თამაშობდა, რაულის და მორიენტესის არყოფნაში სასტარტო შემადგენლობაში თამაშობდა და მის გოლს „სამეფო კლუბისთვის" გამარჯვებაც მოუტანია. ამჯერად ზარატეს გოლმა „მალაგა" ვერაფრით აზეირა. სტუმრები ფრანსისკო ბრავომაც დაალალატა, რომელიც ავტოგოლის ავტორი შეიქნა, თუმცა ბრავოს შეუძლია, მშვიდად იყოს — „რაიო" ისედაც მოიგებდა.

იგივეს ვერ ვიტყვით ვილიარეალელ გილერმო ამორზე. „ვილიარეალმა" წინა ტურში „კამპ ნოუს" ბინადრები დაამარცხა, იმის წინ — „დეპორტივო" და „რეალთანაც" პირველ ტაიმს ისეთი პირი უჩანდა, თავისებური ჰეტტრიკის გახერხება შეეძლო.

შესვენების შემდეგ მასპინძლებს დაღლა დაეტყოთ — სულ უფრო და უფრო უჭირდათ სტუმართა შეტევების მოგერიება. მერე ამორის ჯერიც დადგა, რომელმაც სტივ მაკმანამანის კარის გასწვრივ ჩაწოდებული ბურთი საკუთარ კარში შეაგდო. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში არ უთამაშია ლუიშ ფიგუს, რომელიც დისკვალიფიცირებულია, ხოლო ვისენტე დელ ბოსკეს მწვრთნელად დანიშვნიდან ერთი წელი გასულა.

მოგებათა სერია შეწყვიტა „მალიორკამ". ზედიზედ ოთხი გამარჯვების შემდეგ (მათ შორის „რეალთან" და „ბარსელონასთან") კუნძულელები სხვა კუნძულელებთან — „ლას პალმასთან" დამარცხდნენ. ასეც ხდება — „მალიორკა" გამეტებით უტევდა, ბურთი კი მის კარში აღმოჩნდა. ორლანდო სუარესმა კუთხურიდან ჩაწოდების შემდეგ მაშინ გაიტანა, როცა თამაშის დასრულებამდე სულ რაღაც სამი წუთი რჩებოდა. სუარესის თავური რომ არა, „მალიორკა" ზედიზედ მეშვიდედ ითამაშებდა წაუგებლად.

უიღბლობაზე თუ მიდგა საქმე, ყველაზე ცუდი ამბავი „სელტას" შეემთხვა, ოღონდ ეს უიღბლობა ვიგოელებმა საკუთარ უდისციპლინობას უნდა დააბრალონ. გუსტავო ლოპესმა გალისიელები მეხუთე წუთზე დააწინაურა და თითქოს გამარჯვებაც იოლად უნდა მოეპოვებინათ, რადგან „რასინგს" მაინცდამაინც არ გამოუდვია თავი შეტევაში. შეხვედრის ბოლოსკენ კი ვიგოელები ცხრანი დარჩნენ და „რასინგისთვის" მასპინძელთა კართან შტურმის მოწყობა თავმოყვარეობის საქმედ იქცა. გაუმართლათ — ფერნანდო კასერესს საკუთარი კარი დაალაშქვრინეს.

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ვალენსია | 11 | 6 | 3 | 2 | 21:9 | 12 | 21 | 5 | 4 | 1 | 0 | 13:3 | 10 | 13 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:6 | 2 | 8 |
| 2 | დეპორტივო | 11 | 6 | 3 | 2 | 20:10 | 10 | 21 | 5 | 4 | 1 | 0 | 11:1 | 10 | 13 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 0 | 8 |
| 3 | რეალი | 11 | 6 | 2 | 3 | 23:14 | 9 | 20 | 5 | 4 | 0 | 1 | 14:5 | 9 | 12 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 0 | 8 |
| 4 | რაიო | 11 | 5 | 4 | 2 | 23:14 | 9 | 19 | 6 | 4 | 1 | 1 | 13:5 | 8 | 13 | 5 | 1 | 3 | 1 | 10:9 | 1 | 6 |
| 5 | ალავესი | 11 | 5 | 3 | 3 | 16:8 | 8 | 18 | 6 | 3 | 1 | 2 | 8:3 | 5 | 10 | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 3 | 8 |
| 6 | ოვიედო | 11 | 5 | 2 | 4 | 16:14 | 2 | 17 | 6 | 5 | 1 | 0 | 16:6 | 10 | 16 | 5 | 0 | 1 | 4 | 0:8 | –8 | 1 |
| 7 | სელტა | 11 | 5 | 2 | 4 | 14:13 | 1 | 17 | 6 | 4 | 2 | 0 | 10:4 | 6 | 14 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | –5 | 3 |
| 8 | მალიორკა | 11 | 5 | 2 | 4 | 12:12 | 0 | 17 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 10 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:8 | –3 | 7 |
| 9 | ბარსელონა | 11 | 5 | 1 | 5 | 18:15 | 3 | 16 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 4 | 10 | 6 | 2 | 0 | 4 | 9:10 | –1 | 6 |
| 10 | ესპანიოლი | 11 | 4 | 3 | 4 | 10:9 | 1 | 15 | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | 2 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | –1 | 5 |
| 11 | ვილიარეალი | 11 | 4 | 3 | 4 | 11:15 | –4 | 15 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:9 | –3 | 8 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | –1 | 7 |
| 12 | ლას პალმასი | 11 | 4 | 2 | 5 | 13:23 | –10 | 14 | 6 | 3 | 1 | 2 | 6:7 | –1 | 10 | 5 | 1 | 1 | 3 | 7:16 | –9 | 4 |
| 13 | სარაგოსა | 11 | 3 | 4 | 4 | 12:12 | 0 | 13 | 6 | 2 | 3 | 1 | 9:6 | 3 | 9 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | –3 | 4 |
| 14 | ვალიადოლიდი | 11 | 2 | 6 | 3 | 11:13 | –2 | 12 | 5 | 2 | 3 | 0 | 6:3 | 3 | 9 | 6 | 0 | 3 | 3 | 5:10 | –5 | 3 |
| 15 | მალაგა | 11 | 3 | 3 | 5 | 15:18 | –3 | 12 | 5 | 2 | 2 | 1 | 9:8 | 1 | 8 | 6 | 1 | 1 | 4 | 6:10 | –4 | 4 |
| 16 | ბილბაო | 11 | 3 | 3 | 5 | 11:17 | –6 | 12 | 5 | 3 | 0 | 2 | 8:8 | 0 | 9 | 6 | 0 | 3 | 3 | 3:9 | –6 | 3 |
| 17 | ნუმანსია | 11 | 3 | 2 | 6 | 13:20 | –7 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | –1 | 7 | 6 | 1 | 1 | 4 | 8:14 | –6 | 4 |
| 18 | სოსიედადი | 11 | 3 | 2 | 6 | 13:25 | –12 | 11 | 6 | 1 | 2 | 3 | 8:15 | –7 | 5 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:10 | –5 | 6 |
| 19 | რასინგი | 11 | 2 | 4 | 5 | 13:18 | –5 | 10 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 1 | 8 | 6 | 0 | 2 | 4 | 6:12 | –6 | 2 |
| 20 | ოსასუნა | 11 | 1 | 6 | 4 | 9:15 | –6 | 9 | 6 | 0 | 4 | 2 | 5:8 | –3 | 4 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:7 | –3 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ხავი მორენო (ალავესი) | 8 |
| რივალდო (ბარსელონა) | 6 |
| ხუან სანჩესი (ვალენსია) | 6 |
| გუტი (რეალი) | 6 |
| რაული (რეალი) | 6 |
| ვიქტორი (ვილიარეალი) | 6 |
| დიეგო ტრისტანი (დეპორტივო) | 6 |

### XII ტური

26 ნოემბერი
ვალიადოლიდი — სოსიედადი
ვალენსია — ოვიედო
მალაგა — ალავესი
ბილბაო — რაიო ვალეკანო
რასინგი — ესპანიოლი
დეპორტივო — სელტა
ბარსელონა — ოსასუნა
მალიორკა — ვილიარეალი
ნუმანსია — ლას პალმასი
2001 წლის 24 იანვარი
რეალი — სარაგოსა

## მეორე დივიზიონი

### XIII ტური

**ატლეტიკო 1:1 ეიბარი**
1:0 სალვა (20), 1:1 სენდოა (71)

**უნივერსიდადი 0:1 ტენერიფე**
0:1 ბარატა (20)

**ბეტისი 1:3 სევილია**
1:0 ჩაპი (46), 1:1 ტევენეტი (53), 1:2, 1:3 ოლივერა (83, 87)

**ელჩე 1:4 ხეტაფე**
0:1 მაიკელი (5), 1:1 პაკო გარსია (20), 1:2 მაიკელი (61), 1:3 ვიდალი (71), 1:4 პერეირა (85პ)

**ლევანტე 1:1 სპორტინგი**
1:0 ტომასი (55), 1:1 ჩერიშევი (81)

**ხაენი 0:0 ლეგანესი**

**კომპოსტელა 2:1 ლეიდა**
1:0 ფაბიანო (5), 2:0 ანხო (18), 2:1 ადრიანო (87ს.კ.)

**ფეროლი 0:1 სალამანკა**
0:1 პინილია (48)

**ბადახოსი 1:1 მურსია**
1:0 სანდრო (77), 1:1 გოდინო (86)

**კორდობა 2:0 ესტრემადურა**
1:0 ოსკარი (14), 2:0 ესპეხო (52)

**უელვა 1:0 ალბასეტე**
1:0 ბოდიპო (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტენერიფე | 13 | 8 | 3 | 2 | 21:6 | 27 |
| სევილია | 13 | 7 | 3 | 3 | 18:12 | 24 |
| კორდობა | 13 | 7 | 3 | 3 | 13:8 | 24 |
| სალამანკა | 13 | 6 | 3 | 4 | 13:10 | 21 |
| ხაენი | 13 | 6 | 3 | 4 | 11:11 | 21 |
| უელვა | 13 | 4 | 8 | 1 | 9:5 | 20 |
| ლევანტე | 13 | 4 | 7 | 2 | 19:14 | 19 |
| მურსია | 13 | 5 | 4 | 4 | 20:16 | 19 |
| ბეტისი | 13 | 5 | 4 | 4 | 11:10 | 19 |
| ალბასეტე | 13 | 5 | 4 | 4 | 12:12 | 19 |
| სპორტინგი | 13 | 4 | 6 | 3 | 18:14 | 18 |
| ლეგანესი | 13 | 3 | 8 | 2 | 15:13 | 17 |
| ბადახოსი | 13 | 3 | 7 | 3 | 10:12 | 16 |
| ელჩე | 13 | 4 | 4 | 5 | 16:19 | 16 |
| ხეტაფე | 13 | 4 | 4 | 5 | 15:19 | 16 |
| ეიბარი | 13 | 3 | 6 | 4 | 7:9 | 15 |
| ატლეტიკო | 13 | 3 | 5 | 5 | 12:14 | 14 |
| ესტრემადურა | 13 | 3 | 5 | 5 | 9:13 | 14 |
| კომპოსტელა | 13 | 4 | 2 | 7 | 12:20 | 14 |
| ლეიდა | 13 | 2 | 4 | 7 | 14:20 | 10 |
| ფეროლი | 13 | 2 | 3 | 8 | 12:19 | 9 |
| უნივერსიდადი | 13 | 1 | 4 | 8 | 8:19 | 7 |

დღეს ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი პირველი ტური

**A ჯგუფი**

მანჩესტერ იუნაიტედი — პანათინაიკოსი

ვალენსია — შტურმი

**B ჯგუფი**

მილანი — გალათასარაი

პსჟ — დეპორტივო

# დაივიწყეთ. დავიწყეთ!

ექტორ რაულ კუპერს ადრე უთქვამს, ამ სეზონში უეჭველად უნდა მოვიგოთ ჩემპიონთა ლიგაო. ჰოდა, თუ ასეა, ვალენსიელებს „შტურმის“ დამარცხება არ უნდა გაუჭირდეთ.

„ვალენსიამ“ პირველმა გააღწია ლიგის მეორე ეტაპზე და ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერიცაა, თუმცა ბოლო ხანებში ბედი არ სწყალობს — სამ შეხვედრაში ოდენ ორ ქულას გამორჩა. აი, კიდევ ერთი მიზეზი დღეს „შტურმის“ დამარცხებისთვის.

ვალენსიელთა კარს ისევ სანტიაგო კანისარესი დაიცავს, რომელიც მწვრთნელმა „ჰერენვენთან“ არაფრის მომცემ შეხვედრაში დაასვენა. კანისარესს კვლავაც მოუწევს მინდორზე მიროსლავ ჯუკიჩის ატანა — ცნობილია, რომ ისინი აგერ ორი წელი იქნება, უბრად არიან. ექტორ კუპერი ვეტერან, 35 წლის ჟოსელინ ანგლომასაც უპირებს სასტარტო შემადგენლობაში დაყენებას და არგენტინელ კილი გონსალესსაც, რომელიც პრიმერადივიზიონის წინა ტურში „ალავესთან“ დაასვენა.

თუმცა კუპერს ტრავმებთან დაკავშირებული პრობლემებიც აქვს, რაც მას აიძულებს, გუნდი გადაახალისოს. ამადეო კარბონი და დიდიე დეშამპი დაახლოებით სამ კვირას ვერ შეძლებენ თამაშს. მათ შემცვლელებად მწვრთნელს იოაკიმ ბიორკლუნდი და დავიდ ალბელდა ეგულება. ნახევარდაცვის ცენტრს ალბათ გაისკა მენდიეტა და რუბენ ბარახა გაამაგრებენ. მათვე დაევალებათ წინახაზელთა მომარაგება, რომელთაგან ცენტრალური ფიგურა ნორვეგიელი იონ კარეუა.

ავსტრიელთა უმთავრესი დანაკარგი მეკარე კაზიმირ სიდორჩუკია, რომელიც დაშავდა. მის ნაცვლად კარის დაცვა 33 წლის იოზეფ შიკლგრუბერს დაევალება.

„მანჩესტერ იუნაიტედს“ ზედიზედ ექვსი თამაშია, არ წაუგია, თუმცა ისიც საკითხავია, სად იქნებოდა ახლა „მანჩესტერი“, ორი კვირის წინ გიორგი დემეტრაძეს ის ცნობილი დარტყმა გოლად რომ ექცია. კიდევ აღვნიშნოთ, რომ ევროტურნირების არსებობის მომენტიდან „მანჩესტერი“ მეორედ ხვდება ბერძნულ კლუბს — პირველად თასების თასზე, 1991-92 წლების სეზონში „ათინაიკოსს“ გადაეყარა და დაამარცხა.

გუნდს დაუბრუნდა მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი, რომელიც კეიპტაუნში იყო შვილის ქორწილზე დასასწრებად. სასტარტო შემადგენლობას დაუბრუნდა რაიან გიგზიც, რომელსაც მცირედი ტრავმა აწუხებდა და ბოლო ორ შეხვედრაში მხოლოდ თამაშის მიწურულს შედიოდა შეცვლაზე. დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა პოლ სქოულზს, რომელმაც ამ მიზეზით „დინამოსთან“ მატჩი გამოტოვა. საეჭვოა, მოედანზე ვიხილოთ ოლე გუნარ სოლსკიაერი და რონი იონსენი, რომელთაც ახლახან მოუშუშებიათ ტრავმები. სამაგიეროდ, ზუსტადაა ცნობილი, რომ ენდი კოული და იაპ სტამი ვერ ითამაშებენ, რადგან მათი ტრავმები ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს.

რაც შეეხება მანჩესტერელთა საბრძოლო განწყობილებას, ამას დენის ირვინის სიტყვებიც მოწმობს, პირველ ეტაპზე ჯგუფიდან გასვლა ბოლო წუთამდე არ იყო გარკვეული და ამ ეტაპზე იგივე არ უნდა დაგვემართოსო.

„პანათინაიკოსს“ „მანჩესტერის“ ფავორიტობის აღიარება არ სურს და საქმეში აპირებს საპირისპიროს დამტკიცებას, თუმცა სხვა საკითხია, როგორ შეძლებს ამას.

ბერძნებს არ ეყოლებათ პაულუ სოუზა, რომელიც სამი-ოთხი კვირა ვერ ითამაშებს. პორტუგალიელის არყოფნაში ნახევარდაცვაში გაჩენილი ბზარის ამოვსებას ანგელოს ანასტასიადისი სასტარტო შემადგენლობაში არგენტინელი ფერნანდო გალეტოს დაყენებით აპირებს. ათენური გუნდის მეორე დიდი დანაკარგი ხორვატი დანიელ სარიჩია, რომელსაც პერუელი პერსი ოლივარესი შეცვლის. და ერთიც, ვინ გაუტანოს გოლი ფაბიენ ბარტეზს? ნიკოს ლიბეროპულოსს ბომბარდირის სახელი კი აქვს, მაგრამ რა ხანია, არ გაუტანია, ამიტომ მწვრთნელ ვეტერან კრჟიშტოფ ვარჟიხასაც ათამაშებს, რადგან მან ბოლო დროს ახალგაზრდობა და გოლის გემო გაიხსენა.

„პარი სენ ჟერმენმა“ 1996 წელს თასების თასი მოიგო, იქამდე კი ნახევარფინალში „დეპორტივოს“ სძლია.

პსჟ საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „მონაკოსთან“ დამარცხდა და ცოტა არ იყოს, უგუნებოდაა. ამას ერიკ რაბესანდრატანას დისკვალიფიკაცია და ალიუ სისეს ტრავმა ემატება. ამასთანავე საეჭვოა ნიკოლა ანელკას თამაშიც. თუ ის ვერ მომჯობინდა, ლორან ლერუა შეცვლის.

„დეპორტივოს“ ტრავმირებული ჰყავს ჯალმინია, ენრიკე რომერო, ფრანი და ალდო დუშერი, რაც ფრანგთა წისქვილზე ასხამს წყალს.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში, სადაც „მილანი“ „გალათასარაისთვის“ გასული სეზონის გახსენებას აპირებს, მასპინძლებს ალესანდრო კოსტაკურტას, ფრანჩესკო კოკოს და დემეტრიო ალბერტინის გარეშე მოუწევთ თამაში. ყოველ შემთხვევაში, მილანელი ექიმები მათ შანსებს ძალიან საეჭვოდ მიიჩნევენ.

„მილანთან“ თავისი ანგარიში აქვს თურქთა მწვრთნელ მირჩა ლუჩესკუსაც, რომელიც ცოტა ხნით „ინტერს“ წვრთნიდა, ამ ორ გუნდს კი როგორი ურთიერთობაც აქვთ, ცნობილია. თურქები დღეს ტრავმირებულ ემრე ბელოზოლლუს გარეშე ითამაშებენ.

**გიორგი დარჯანია**

# კომა კომოში

კვირას სერია C-ს მატჩი „კომოსა“ და „მოდენას“ შორის უბედური შემთხვევით დასრულდა: ერთი ფეხბურთელი უმძიმეს მდგომარეობაში ლეკოს წმინდა ანას სახელობის საავადმყოფოში მოხვდა, ხოლო მეორე — პოლიციაში.

თამაშის შემდეგ, რომელიც „კომომ“ 1:0 მოიგო, გასახდელში მოდენილი ფრანჩესკო ბერტოლოტი და კომოელი მასიმილიანო ფერინიო შელაპარაკდნენ. ფერინიომ ბერტოლოტის ხელი ჰკრა, თან ისე ძლიერად, რომ 33 წლის ბერტოლოტი წაიქცა, იატაკს თავი დაარტყა და გრძნობა დაკარგა. დაზარალებული დაუყოვნებლივ საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც თავზე ოპერაცია გაუკეთეს. ექიმის თქმით, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ ფეხბურთელი ჯერაც კომაშია.

როცა ბერტოლოტის ოპერაციას უკეთებდნენ, კომოს პოლიციაში ფერინიოს ჩვენებას იწერდნენ. მას ბრალდებაც წაუყენეს — სხეულის მძიმე დაზიანება. ფერინიოს ადვოკატი აცხადებს, რომ მისი კლიენტი გაოგნებულია და თავის საქციელს ნანობს.

## ბელგია

XIII ტური

**ანტვერპენი 1:2 ბეერსხოტი**

1:0 გუტსი (52), 1:1 ჰერმანი (61პ), 1:2 მარინოვიჩი (83)

**ჰარელბეკე 0:4 სენტ ტრუიდენი**

0:1, 0:2 სხოკერტი (30, 65), 0:3, 0:4 მბონაბუკია (80, 88)

**ბევერენი 1:1 მეხელენი**

1:0 გონალაკარი (19პ), 1:1 კამუსი (65პ)

**ანდერლეხტი 2:0 ლუვიე**

1:0 სტოიკა (14), 2:0 კოლერი (71)

**ლიერსი 1:1 სტანდარდი**

1:0 ვან მეირი (48), 1:1 გუსენსი (71)

ლიერსი: დემანი, შეყილაძე, ჰოფკენსი, ლაერემანსი, კლაესი, ლეენი, სომერსი, კავენსი, სნოექსი, პეპა (ჰიუსგემსი 76), ვან მეირი

მწვრთნელი: ვალტერ მეუსი

9 000 მაყურებელი

**გენკი 0:0 ლოკერენი**

**გენტი 1:0 მუსკრონი**

1:0 კაკლამანოსი (90)

**ვესტერლო 1:1 აალსტი**

0:1 ვან ჰაუვეგენი (30), 1:1 მახილსი (39)

აალსტი: კუიოვიჩი, ვან ჰაუვეგენი, ობენი, ფილიპოვიჩი, ტემერმანი, ვან დენ ბოში, რეიჯელი, აელბრეხტი, მიკელი, ტიბო, როჟერიო

მწვრთნელი: ვიმ დე კონინკი

5 000 მაყურებელი

**შარლერუა 0:4 ბრიუგე**

0:1 ვერჰეინი (41), 0:2 დე ბრული (48), 0:3 მენდოსა (56), 0:4 ვერმანტი (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 13 | 13 | 0 | 0 | 51:8 | 39 |
| ანდერლეხტი | 13 | 10 | 3 | 0 | 42:13 | 33 |
| სტანდარდი | 13 | 8 | 3 | 2 | 35:15 | 27 |
| შარლერუა | 13 | 8 | 0 | 5 | 22:25 | 24 |
| გენტი | 13 | 7 | 2 | 4 | 27:22 | 23 |
| მუსკრონი | 13 | 7 | 1 | 5 | 28:14 | 22 |
| ლიერსი | 13 | 6 | 2 | 5 | 23:21 | 20 |
| ბეერსხოტი | 13 | 6 | 0 | 7 | 21:21 | 18 |
| ვესტერლო | 12 | 5 | 3 | 4 | 20:21 | 18 |
| ლოკერენი | 13 | 4 | 5 | 4 | 13:20 | 17 |
| გენკი | 13 | 3 | 6 | 4 | 15:14 | 15 |
| ბევერენი | 13 | 4 | 3 | 6 | 11:26 | 15 |
| ანტვერპენი | 13 | 4 | 1 | 8 | 13:21 | 13 |
| სენტ ტრუიდენი | 13 | 3 | 3 | 7 | 15:24 | 12 |
| აალსტი | 13 | 3 | 2 | 8 | 16:33 | 11 |
| ლუვიე | 13 | 1 | 4 | 8 | 11:27 | 7 |
| ჰარელბეკე | 13 | 2 | 1 | 10 | 16:41 | 7 |
| მეხელენი | 12 | 1 | 3 | 8 | 15:28 | 6 |

## ჰოლანდია

XIV ტური

**ბრედა 0:3 აიაქსი**

0:1, 0:2 პასანენი (17, 50), 0:3 არველაძე (90)

აიაქსი: გრიმი, დე კლერი, პასანენი, კოვუ, ბერგდოლმო, იკედია (ვან დერ მეიდე 68), გალაშეკა, ვინტერი, ვან დერ ვაარტი, მახლასი (ვან დერ გუნი 62), ვამბერტო (შ. არველაძე 77)

მწვრთნელი: კო ადრიანსე

15 900 მაყურებელი

**ვალვაიკი 1:0 გრააფსხაპი**

1:0 ჟ. პეტროვიჩი (12)

**ნაიმეგენი 1:3 ფეიენოორდი**

0:1 ვისგერჰოფი (24ს.კ.), 0:2, 0:3 ემერტონი (40, 60), 1:3 ვისგერჰოფი (66)

**ტილბურგი 2:2 ტვენტე**

0:1 პაპლაცი (23), 1:1 აბდელაუი (26), 1:2 ვან დერ ლაანი (57), 2:2 ბომბარდა (71)

**სიტარდი 1:1 ალკმარი**

0:1 ბიუსკერმოლენი (40), 1:1 ჰამინგი (89)

**ჰერენვენი 1:4 პსვ ეინდჰოვენი**

0:1, 0:2, 0:3, 0:4 კეჟმანი (13, 18, 43, 80), 1:4 ნურმელა (84)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ფაბერი, ჰოფლანდი, ნიკიფოროვი, ჰაინცე, ვან ბომელი, ვოგელი, კეჟმანი (კლაუდიო 89), რამზი (რომედალი 70), ბრუგინკი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

14 300 მაყურებელი

**ვიტესი 2:1 როზენდალი**

1:0 გ. დიარა (61), 2:0 ზონგო (64), 2:1 ვან პელმონდი (90)

**როდა 2:1 უნტრეხტი**

1:0 ლავალი (57), 1:1 დომბი (67), 2:1 ვან დერ ლუერი (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტესი | 13 | 9 | 2 | 2 | 29:18 | 29 |
| ფეიენოორდი | 11 | 9 | 1 | 1 | 29:11 | 28 |
| პსვ | 12 | 8 | 3 | 1 | 21:8 | 27 |
| აიაქსი | 13 | 7 | 3 | 3 | 29:16 | 24 |
| ნაიმეგენი | 13 | 5 | 7 | 1 | 23:15 | 22 |
| ვალვაიკი | 13 | 6 | 4 | 3 | 15:10 | 22 |
| როდა | 12 | 6 | 3 | 3 | 24:19 | 21 |
| ალკმარი | 12 | 6 | 1 | 5 | 23:21 | 19 |
| ბრედა | 12 | 5 | 2 | 5 | 19:19 | 17 |
| ტვენტე | 13 | 4 | 5 | 4 | 22:23 | 17 |
| ტილბურგი | 12 | 3 | 5 | 4 | 19:19 | 14 |
| ჰერენვენი | 11 | 3 | 4 | 4 | 13:18 | 13 |
| უტრეხტი | 13 | 3 | 3 | 7 | 21:28 | 12 |
| გრონინგენი | 13 | 3 | 3 | 7 | 18:25 | 12 |
| გრააფსხაპი | 14 | 3 | 1 | 10 | 18:28 | 10 |
| სპარტა | 12 | 2 | 3 | 7 | 17:27 | 9 |
| როზენდალი | 13 | 3 | 0 | 10 | 21:35 | 9 |
| სიტარდი | 12 | 0 | 4 | 8 | 6:27 | 4 |



სელტიკი — ჰართსი 6:1. სტუმრებისთვის გოლის გატანა არც ბულგარელმა პეტროვმა (შუაში) დაიზარა

# ქართული თუ ნორმალური?

## შოტლანდია

XVI ტური

**დანდი 5:0 სენტ მირენი**

1:0, 2:0 კანიჯა (22, 52), 3:0 რაე (66), 4:0 არტერო (75), 5:0 მილნი (79)

დანდი: როკატი, სმიტი, დე მარკი, ტვიდი, მაროკო, არტერო, რაე (რომანო 82), ნემსაძე, ბონეტი, კანიჯა (სარა 77), ფალკონერი (მილნი 77)

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

6 333 მაყურებელი

**სელტიკი 6:1 ჰართსი**

0:1 კამერონი (13), 1:1 ვალგარენი (15), 2:1 მორავჩიკი (36), 3:1 ლარსონი (39), 4:1 მიალბი (44), 5:1 ლარსონი (81), 6:1 პეტროვი (82)

**დანფერმლაინი 0:0 რეინჯერსი**

**ჰიბერნიანი 0:2 აბერდინი**

0:1 სტავრუმი (61), 0:2 მაიერი (89)

**მოზერუელი 1:2 კილმარნოკი**

1:0 ბრანანი (3), 1:1 რაიტი (37), 1:2 კოკარი (87)

**სენტ ჯონსტონი 1:0 დანდი იუნ.**

1:0 პარკერი (80)

რაც მაგრები ვართო, უთქვამთ ჩვენს წინაპრებს და მართალიცაა: არჩევნებია და სანამ ჩატარდება, შედეგი მანამ ვიცით (აბა, ამერიკელებმა არჩევნების მერეც არაფერი იციან), ჩემპიონატია და მისი გამარჯვებულის დასახელება დაწყებამდეც არავის უჭირს...

ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ფხიზლად ყოფნა მაინც გვმართებს — აგერ, შოტლანდიაში წინ კიდევ ორწრენახევარია დარჩენილი და ვგონებთ, ქვეყნის ჩემპიონის სახელი უკვე ყველამ იცის: „რეინჯერსმა“ მორიგი ორი ქულა დაკარგა, „სელტიკმა“ კი მორიგი მეტოქე იმსხვერპლა და თანაქალაქელ მოქიშპესთან სხვაობა 15 ქულამდე გაზარდა.

ვითომ ეშველება „რეინჯერსის“ ჩასვრილ საქმეს? კაცმა რომ თქვას, იგივე 15 ქულის ამოღება სქოთთა ქვეყანაში არცთუ საძნელო საქმეა, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ შვედი ლარსონის გამჩერებელი ჯერჯერობით არავინ ჩანს, დიკ ადვოკაატის გუნდში კი მეტად არაჯანსაღი ვითარება სუფევს.

აი ახლაც, ბოლო ტურის წინ, ვარჯიშზე „რეინჯერსის“ ორი ფეხბურთელი, რუსი ანდრეი კანჩელსკისი და ჰოლანდიელი ფერნანდო რიკსენი, ერთმანეთს ისე წაეკიდნენ, ძლივს გააშველეს. ჩხუბისთავად კლუბმა ანდრეი გამოაცხადა და ორი კვირის ხელფასი დაუქვითა, ეს კი ისე გაბრაზდა, გუშინ სარეზერვოში თამაში იუარა.

და ეს ამბავი პირველი სულაც არაა. როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, „რეინჯერსის“ გასახდელში ყველაფერს ჰოლანდიელ ლეგიონერთა „ჯგუფი“ განაგებს. სწორედ მათ ჩამოართვეს კაპიტნობა იტალიელ ლორენცო ამორუზოს და რიკსენის თავზე ხელის გადასმაც მათი დამსახურებაა.

შედეგი? „რეინჯერსი“ დანფერმლაინშიც ველარ იგებს და მეოთხე ადგილზეა. „სელტიკი“ კი ბობოქრობს. სხვა რაღა დარჩენია — უეფას თასიც განზე დარჩა და მთელი ყურადღება პრემიერლიგაზე აქვს გადატანილი. ამ ტურში მარტინ ონილის გუნდმა დედაქალაქის „ჰართსი“ გაანადგურა და ცხადია, თავი ჰენრიკ ლარსონმაც გამოიჩინა.. ახლა შვედი საუკეთესო ბომბარდირთა სიაში მეორე ადგილზე მყოფ ბილი დოდს (8 გოლი)... ცხრა ბურთით უსწრებს.

საოცარია, მაგრამ ლიდერს ამ ტურში არც ნემსაძეს „დანდი“ ჩამორჩა და მანაც ხუთი ბურთით მოუგო მეტოქეს. ჩვენებურს ამჯერად სტუმრის კარი არ აულია, თუმცა თითქმის ყველა შეტევა მისი წამოწყებული ყოფილა.

**გიგა ძოგახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 16 | 14 | 2 | 0 | 42:14 | 44 |
| ჰიბერნიანი | 16 | 11 | 3 | 2 | 30:11 | 36 |
| კილმარნოკი | 16 | 9 | 3 | 4 | 22:15 | 30 |
| რეინჯერსი | 15 | 9 | 2 | 4 | 31:20 | 29 |
| დანდი | 16 | 6 | 4 | 6 | 23:15 | 22 |
| ჰართსი | 16 | 6 | 4 | 6 | 25:27 | 22 |
| სტ. ჯონსტონი | 16 | 5 | 5 | 6 | 16:24 | 20 |
| მოზერუელი | 16 | 5 | 3 | 8 | 19:23 | 18 |
| დანფერმლაინი | 16 | 4 | 5 | 7 | 12:19 | 17 |
| აბერდინი | 15 | 3 | 6 | 6 | 14:20 | 15 |
| სენტ მირენი | 16 | 3 | 1 | 12 | 11:32 | 10 |
| დანდი იუნ. | 16 | 0 | 2 | 14 | 8:33 | 2 |

# იმათ მართად არიან

ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ორშაბათს ბუდაპეშტში ჩავიდა და საავადმყოფში მყოფი ფერენც პუშკაში მოინახულა. შეგახსენებთ, რომ დიდი უნგრელი ათეროსკლეროზითაა დაავადებული.

ზეპ ბლატერმა იმავე საავადმყოფოში, პუშკაშის გვერდით პალატაშიც შეიხედა, სადაც უნგრეთის დიდი გუნდის ცენტრალური თავდამსხმელი ნანდორ ჰიდეგკუტი მოხვდა ფილტვების დაავადებით. გავიხსენოთ, რომ 1953 წელს, როცა უნგრეთმა „უემბლიზე“ ინგლისს 6:3 მოუგო, პუშკაშმა დუბლი შეასრულა, ხოლო ჰიდეგკუტიმ — ჰეთ-თრიქი.

„ძალიან ამაღელვებელი შეხვედრა იყო — თქვა საავადმყოფოდან გამოსულმა ბლატერმა — მე ორივეს თამაში მახსოვს 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში — ისინი უდიდესი ფეხბურთელები იყვნენ.“ ზეპ ბლატერმა საკუთარი პოლიგლოტობაც აღნიშნა, პუშკაშს ესპანურად ვესაუბრე, ჰიდეგკუტის კი იტალიურადო. ჰიდეგკუტი ერთხანს „ფიორენტინას“ წვრთნიდა და იტალიურიც იქ ისწავლა, ხოლო პუშკაშის ესპანურ ოდისეაზე უამრავი რამ თქმულა.

დიდი ფეხბურთელების მონახულებამდე ფიფას პრეზიდენტი უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბინს და სპორტის მინისტრ ტამაშ დოიჩს შეხვდა და აღუთქვა, 2008 წელს ევროპის ჩემპიონატის თქვენს ქვეყანაში ჩატარებას დავუჭერ მხარსო.

# ბოლომ აჯობა პირველს



მონაკო — პარი სენ ჟერმენი 2:0. ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნილმა მარკო სიმონემ და მისმა „მონაკომ" ჩემპიონატს მიხედეს

## საფრანგეთი

XVI ტური

**ოსერი 1:2 სტრასბური**
1:0 ფადიგა (17), 1:1 პაასი (66), 1:2 ლუინდულა (79)

**ბორდო 3:0 რენი**
1:0 როში (4), 2:0, 3:0 პაულეტა (57, 63)

**მონაკო 2:0 პარი სენ ჟერმენი**
1:0 ჯეტუ (5), 2:0 ნონდა (25)

**ლიონი 0:1 ლილი**
0:1 ლანდრენი (72)

**გენგამი 1:0 ბასტია**
1:0 გიო (31)

**ლანსი 0:0 სენტ ეტიენი**

**ნანტი 4:0 ტრუა**
1:0 მონტერუბიო (9), 2:0 და როშა (18), 3:0 მონტერუბიო (31პ), 4:0 მოლდოვანი (41)

**ტულუზი 2:0 სედანი**
1:0 კასინი (20), 2:0 ბონილია (64)

**მარსელი 4:1 მეცი**
1:0 ბელმადი (15), 1:1 მეირო (20), 2:1, 3:1 ლერუა (45, 63), 4:1 ადრიანო (73)

„ლანსს", „ლილს", „ბასტიას", „პარი სენ ჟერმენსა" და „სედანს" „ბორდომ" მე-16 ტურში „რენიც" მიაყოლა და საფრანგეთის ჩემპიონატის პიგით მეექვსე ლიდერი გახდა.

აქამდე პირველ ადგილზე მყოფი „სედანი" ჟირონდელებს ერთი ქულით ჩამორჩება მას შემდეგ, რაც მაჩანჩალა „ტულუზთან" დამარცხდა, მესამე ადგილზე კი პირველ დივიზიონში წლეულს აღზევებული „ლილი" მოკალათდა.

მეშვიდე ტურში შინ „გენგამთან" წაგებამ „ბორდო" გასავარდნთა სიაში ჩაწერა, მაგრამ ელი ბოპის შეგირდებმა იქიდან მოყოლებული ქვა ქვაზე აღარ დატოვეს, შვიდი თამაში მოიგეს, ორი ფრედ დაასრულეს და ლიდერებიც გახდნენ. მათ გამოცოცხლებას უდავოდ „დეპორტივოდან" გადაბარგებულმა პორტუგალიელმა ფორვარდმა პაულეტამაც შეუწყო ხელი. მან „არსენალში" წასული ვილტორდი მშვენივრად შეცვალა და ახლა ლასლანდთან ერთად საფრანგეთის მეკარეების რისხვაა. პაულეტას ანგარიშზე უკვე 9 გოლია და იგი ბომბარდირთა დავაში პარიზელ რობერს მხოლოდ ორი გოლით ჩამორჩება. თანაც მასზე ხუთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული, რადგან პირინეის მთები მხოლოდ სექტემბერში გადალახა.

„ისევე როგორც შარშან რენში (0:5), დღესაც საზიზღრად ვითამაშეთ და რომ არა ტულუზელთა უზუსტობა, გაცილებით დიდი ანგარიშით წავაგებდით" — განაცხადა „სედანის" კარის დარაჯმა ნიკოლა საშიმ. ამ ჩავარდნის მიუხედავად, ჯერ მაინც ნაადრევია კრიზისზე საუბარი და მთავარი მწვრთნელის, ალექს დიუპონის აზრით, მისი გუნდი პირველი წრის ჩემპიონი მაინც გახდება. ახდება თუ არა დიუპონის სიტყვები, კვირას ვნახავთ, როცა „სედანი" „ბორდოს" უმასპინძლებს.

ბოლო ორ ტურში წაგების შემდეგ „ლილმა" ისევ თქვა თავისი სიტყვა: ლიონში გაიმარჯვა და სტუმრად მოგებულთა რაოდენობა სამამდე გაზარდა. მასპინძლების თამაშის შემხედვარე კი იფიქრებდი, რომ ჟაკ სანტინის გაწვრთნილებს ორ ფრონტზე ბრძოლა საკმაოდ უჭირთ. „ლიონი" ჩემპიონთა ლიგაში უძლიერესი შემადგენლობით თამაშობს ხოლმე, შინაურ ჩემპიონატში კი ძალა აღარ ჰყოფნის. ფაქტი გნებავთ? ბრაზილიელმა სონი ანდერსონმა პენალტი ვერ გამოიყენა. „შინ დაკარგული ამდენი ქულა უკვე ნერვებისმომშლელია" — თქვა სანტინიმ და მიუნხენში „ბაიერნთან" თამაშისთვის მზადება დაიწყო.

ფრანგთა მეორე წარმომადგენელი ჩემპიონთა ლიგაში, პსჟ-ც არაა უკეთეს დღეში. დედაქალაქელებმა ბოლო ოთხ ტურში მხოლოდ ერთი ქულის ალება მოახერხეს და „დეპორტივოს" მასპინძლობამდე დასასვენებლად ნამდვილად არ ეცლებათ. ლიგიდან გამოვარდნილმა „მონაკომ" კი ზედიზედ სამი წაგების მერე მშვენიერი მატჩი ჩაატარა და სამი ქულაც დამსახურებულად მიითვალა. როგორც იქნა, მოიგო „მარსელმაც", რომელიც, ამის მიუხედავად, მისმა ბრაზილიელმა მწვრთნელმა აბელ ბრაგამ მაინც დატოვა. გადამდგარი ბრაგას პოსტი მარსელელებმა ლუის ფერნანდესს შესთავაზეს, მაგრამ „ატლეტიკის" ყოფილმა თავკაცმა ორდღიანი ფიქრის შემდეგ უარი განაცხადა. ვინ დათანხმდება „ველოდრომზე" მუშაობას, ალბათ, უახლოეს დღეებში შევიტყობთ.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 16 | 8 | 5 | 3 | 25:14 | 29 |
| სედანი | 16 | 8 | 4 | 4 | 23:16 | 28 |
| ლილი | 16 | 7 | 5 | 4 | 17:11 | 26 |
| პსჟ | 16 | 7 | 4 | 5 | 28:22 | 25 |
| გენგამი | 16 | 7 | 4 | 5 | 19:19 | 25 |
| ნანტი | 15 | 7 | 3 | 5 | 25:19 | 24 |
| ტრუა | 16 | 6 | 5 | 5 | 20:23 | 23 |
| მონაკო | 16 | 6 | 4 | 6 | 21:19 | 22 |
| ლანსი | 16 | 5 | 6 | 5 | 17:15 | 21 |
| სენტ ეტიენი | 16 | 5 | 6 | 5 | 24:23 | 21 |
| ბასტია | 15 | 6 | 3 | 6 | 15:17 | 21 |
| ლიონი | 15 | 4 | 8 | 3 | 17:14 | 20 |
| რენი | 16 | 5 | 4 | 7 | 16:17 | 19 |
| ოსერი | 16 | 5 | 4 | 7 | 16:19 | 19 |
| მეცი | 16 | 5 | 4 | 7 | 14:21 | 19 |
| მარსელი | 16 | 5 | 3 | 8 | 17:20 | 18 |
| სტრასბური | 16 | 4 | 3 | 9 | 14:33 | 15 |
| ტულუზი | 15 | 2 | 5 | 8 | 13:19 | 11 |

### II დივიზიონი

მე-20 ტური. აიაჩო — ანჟერი 3:1; ბოვე — ლე ავრი 1:1; კაენი — მონპელიე 0:0; კრეტეი — ვასკეალი 2:0; ლავალი — ნანსი 0:0; მარტიგი — ლე მანი 3:3; ნიცა — გენიონი 1:2; ნიმი — ლორიანი 1:2; ნიორი — კანი 4:1; შატორუ — სოშო 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლორიანი | 20 | 11 | 7 | 2 | 29:17 | 40 |
| სოშო | 20 | 11 | 6 | 3 | 36:15 | 39 |
| ნიორი | 20 | 11 | 5 | 4 | 34:17 | 38 |
| მონპელიე | 20 | 10 | 8 | 2 | 29:16 | 38 |
| ლავალი | 20 | 10 | 5 | 5 | 23:15 | 35 |
| შატორუ | 20 | 8 | 8 | 4 | 26:19 | 32 |
| ნანსი | 20 | 8 | 6 | 6 | 23:14 | 30 |
| კრეტეი | 20 | 7 | 7 | 6 | 21:19 | 28 |
| ლე ავრი | 20 | 6 | 9 | 5 | 24:20 | 27 |
| ნიმი | 20 | 7 | 6 | 7 | 26:27 | 27 |
| კაენი | 20 | 6 | 7 | 7 | 21:27 | 25 |
| ლე მანი | 20 | 4 | 10 | 6 | 21:22 | 22 |
| მარტიგი | 20 | 4 | 10 | 6 | 19:27 | 22 |
| გენიონი | 20 | 5 | 7 | 8 | 17:27 | 22 |
| ნიცა | 20 | 6 | 3 | 11 | 20:31 | 21 |
| ვასკეალი | 20 | 4 | 7 | 9 | 17:22 | 19 |
| ბოვე | 20 | 3 | 10 | 7 | 17:24 | 19 |
| აიაჩო | 20 | 5 | 4 | 11 | 14:26 | 19 |
| კანი | 20 | 3 | 6 | 11 | 24:38 | 15 |
| ანჟერი | 20 | 2 | 7 | 11 | 17:35 | 13 |

## შვეიცარია

XIX ტური

**ციურიხი 1:3 სიონი**
0:1 ენილტონი (38), 1:1 ყაველაშვილი (75), 1:2 სარნი (80), 1:3 ტუმი (90)
ციურიხი: პასკოლო, კვენტინი, ფიშერი, დელ სინიორე (შელდმანი 46), პალასი, შელინგა (აკალე 81), ჯამარაული, ჯანინი (შასო 46), ყაველაშვილი, ბარტლეტი, ბიულმანი

**არაუ 2:0 ქსამაქსი**
1:0 დიდი (17), 2:0 ვიდერკერი (82)
არაუ: ბენიტო, ბადერი, ეგიმანი, პავლიჩევიჩი, ფიხტერი, ჰამზიჩი, სკრჟიპჩაკი, ბაუდრი (ხომერიკი 63), ბალდასარი, დიდი, ვიდერკერი

**ლუგანო 2:0 გრასჰოპერი**
1:0 ბასტიდა (14 პ), 2:0 გიმენეზი (15)

**სენტ გალენი 4:0 ბაზელი**
1:0 ნიქსონი (24), 2:0 მიულერი (45), 3:0 ამოა (68), 4:0 ნიქსონი (75)

**სერვეტი 2:0 ივერდონი**
1:0 პეტროვი 37), 2:0 ლონფატი (90)

**ლოზანა 1:2 ლუცერნი**
0:1 ფრაი (12), 1:1 კუცბა (17), 1:2 ვისი (64 პ)

**მიხეილ** ყაველაშვილს შეეძლო, „ციურიხი" — „სიონის" მატჩის გმირი გამხდარიყო, მაგრამ შანსი ხელიდან გაუშვა. შედეგად, მასპინძლები 1:3 დამარცხდნენ და ახლა ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ლევან ხომერიკის „არაუს" კონკურენტები არიან.

ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ „ციურიხმა" წააგო. არადა, „სიონთან" შეხვედრაში ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ თამაშმა მასპინძელ ქომაგებს იმედები გაუცრუა. „სიონმა" გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის გუნდი აშკარად დაჩაგრა.

ციურიხელებს მატჩის გადარჩენის იმედი 75-ე წუთზე ჩაესახათ, როცა შასოს ჩაწოდებულს ყაველაშვილი დაუხვდა და თავით წონასწორობა აღადგინა. ცოტა ხანში ქართველ ფორვარდს ისევ შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ ახლო მანძილიდან მიზანმა უმტყუნა. მალე სარნიმ სტუმრები ხელმეორედ დააწინაურა. მსაჯის მიერ წამატებულ დროში ტუმმა მესამედაც დაამწუხრა მასპინძლები, თუმცა მანამდე შასომ ვერ გაათანაბრა. ჯამარაული, როგორც ჩანს, თამაშის იმტაზე ვერ იყო.

ვიდრე „ციურიხი" „სიონთან" აგებდა, „არაუმ" შინ აუტსაიდერი „ქსამაქსი" დაანგრია, ოღონდ ეს ამბავი ტაბლოს მაინცდამაინც არ დასტყობია. არაუელებმა მეტოქეს ორი გოლი აკმარეს, თუმცა მომენტი იმდენი ჰქონდათ, ორი ამდენი კიდევ უნდა გაეტანათ. „ქსამაქსმა" თამაში ცხრა კაცით დაასრულა. უხეშობისთვის ჯერ სანემ მიიღო მეორე ყვითელი ბარათი (49-ე წუთზე), მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე კი ბარეამ. ხომერიკი 63-ე წუთზე გამოჩნდა, თუმც თავის გუნდს დიდად ვერ შეეწია.

სენსაციური მარცხი იწვნია შინ „ლოზანამ". ყველას რომ ეგონა, მასპინძლები „ლუცერნთან" სამ ქულას ჩაიწერდნენ და ფინალური ეტაპის საგზურს, ფაქტობრივად, გაინაღდებდნენ, პირიქით მოხდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუგანო | 19 | 11 | 4 | 4 | 30:14 | 37 |
| სენტ გალენი | 19 | 10 | 6 | 3 | 34:14 | 36 |
| გრასჰოპერი | 19 | 10 | 2 | 7 | 40:21 | 32 |
| ბაზელი | 19 | 9 | 4 | 6 | 36:29 | 31 |
| სიონი | 19 | 8 | 5 | 6 | 24:29 | 29 |
| სერვეტი | 19 | 7 | 6 | 6 | 29:24 | 27 |
| ლოზანა | 19 | 8 | 2 | 9 | 31:32 | 26 |
| ციურიხი | 19 | 6 | 7 | 6 | 30:24 | 25 |
| არაუ | 19 | 6 | 5 | 8 | 25:32 | 23 |
| ივერდონი | 19 | 5 | 4 | 10 | 23:32 | 19 |
| ლუცერნი | 19 | 5 | 3 | 11 | 26:44 | 18 |
| ქსამაქსი | 19 | 4 | 2 | 13 | 17:50 | 14 |

## დანია

მე-17 ტური. ბრონდბიუ — ოლბორგი 2:0; ჰადერსლევი — ოდენსე 4:2; ჰერფიოლგე — მიდტიულანდი 0:2; სილკებორგი — ლიუნგბიუ 3:1; ვიბორგი — ორჰუსი 4:2, აკადემისკი — კოპენჰაგენი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 17 | 10 | 3 | 4 | 44:20 | 33 |
| მიდტიულანდი | 17 | 8 | 6 | 3 | 28:20 | 30 |
| სილკებორგი | 17 | 7 | 8 | 2 | 25:22 | 29 |
| ვიბორგი | 17 | 8 | 4 | 5 | 26:15 | 28 |
| ლიუნგბიუ | 17 | 9 | 1 | 7 | 28:31 | 28 |
| კოპენჰაგენი | 17 | 7 | 6 | 4 | 26:16 | 27 |
| ოდენსე | 17 | 8 | 2 | 7 | 27:20 | 26 |
| ოლბორგი | 17 | 6 | 4 | 7 | 25:28 | 22 |
| ორჰუსი | 17 | 6 | 2 | 9 | 26:34 | 20 |
| აკადემისკი | 17 | 3 | 7 | 7 | 23:27 | 16 |
| ჰერფიოლგე | 17 | 3 | 5 | 9 | 20:35 | 14 |
| ჰადერსლევი | 17 | 1 | 4 | 12 | 18:48 | 7 |

## პორტუგალია

XII ტური

**კამპომაიორენსე 1:1 ბრაგა**
1:0 დეტინიუ სანტუში (13), 1:1 ედმილსონი (84)

**მარიტიმუ 1:1 ფერეირა**
1:0 ილიევი (24), 1:1 დიასი (66)

**ალვერკა 3:1 ამადორა**
1:0 რუი ბორგესი (27), 1:1 ჯალმა სანტუში (31), 2:1 რამირესი (37), 3:1 მანტორასი (52)

**ჟილ ვისენტე 2:0 ლეირია**
1:0, 2:0 პიერი (76, 88)

**სალგეირუში 0:1 ბეირა მარი**
0:1 რიკარდუ სოუზა (78)

**სპორტინგი 0:0 ბოავიშტა**

**ავეში 0:1 პორტუ**
0:1 ალოიზიო (88)

**გიმარაეში 0:4 ბენფიკა**
0:1 ჩანო (39), 0:2, 0:3, 0:4 ჟოაუ ტომასი (60, 84, 90)

**ფარენსე 3:1 ბელენენსეში**
1:0 ნადერი (18), 2:0 ჯურჯევიჩი (27), 2:1 გუგა სანტუში (64), 3:1 ნადერი (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 12 | 10 | 1 | 1 | 30:7 | 31 |
| სპორტინგი | 12 | 8 | 2 | 2 | 23:10 | 26 |
| ბრაგა | 12 | 7 | 3 | 2 | 21:14 | 24 |
| ბოავიშტა | 12 | 6 | 5 | 1 | 22:10 | 23 |
| ბელენენსეში | 12 | 6 | 4 | 2 | 15:10 | 22 |
| ბენფიკა | 12 | 6 | 3 | 3 | 18:12 | 21 |
| სალგეირუში | 12 | 7 | 0 | 5 | 15:16 | 21 |
| ფერეირა | 12 | 5 | 3 | 4 | 19:12 | 18 |
| ფარენსე | 12 | 5 | 3 | 4 | 16:14 | 18 |
| მარიტიმუ | 12 | 5 | 2 | 5 | 12:10 | 17 |
| ლეირია | 12 | 3 | 5 | 4 | 11:19 | 14 |
| გიმარაეში | 12 | 3 | 3 | 6 | 17:23 | 12 |
| ალვერკა | 12 | 3 | 3 | 6 | 14:21 | 12 |
| ბეირა მარი | 12 | 3 | 3 | 6 | 12:19 | 12 |
| კამპომაიორ. | 12 | 1 | 6 | 5 | 8:20 | 9 |
| ავეში | 12 | 2 | 2 | 8 | 14:24 | 8 |
| ჟილ ვისენტე | 12 | 1 | 3 | 8 | 7:18 | 6 |
| ამადორა | 12 | 1 | 1 | 10 | 9:24 | 4 |

## საბერძნეთი

მე-7 ტური. ოლიმპიაკოსი — პანაჰაიკი 3:0; არისი — ეთნიკოსი 2:0; ირაკლისი — ოფი 3:0; ქსანტი — პანილიაკოსი 2:0; პაოკ — პანათინაიკოსი 2:2; პანიონიოსი — ეთნიკოსი 4:3; იანინა — იონიკოსი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 7 | 5 | 2 | 0 | 22:5 | 17 |
| ქსანტი | 7 | 4 | 3 | 0 | 8:3 | 15 |
| ირაკლისი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:4 | 14 |
| არისი | 7 | 4 | 1 | 2 | 12:7 | 13 |
| პანათინაიკოსი | 7 | 3 | 4 | 0 | 10:5 | 13 |
| აეკ | 7 | 4 | 1 | 2 | 13:10 | 13 |
| იონიკოსი | 7 | 3 | 2 | 2 | 12:10 | 11 |
| ეთნიკოსი | 7 | 3 | 2 | 2 | 13:16 | 11 |
| პაოკ | 7 | 2 | 4 | 1 | 11:10 | 10 |
| პანიონიოსი | 7 | 1 | 4 | 2 | 7:10 | 7 |
| კალამატა | 7 | 1 | 3 | 3 | 9:12 | 6 |
| ათინაიკოსი | 7 | 2 | 0 | 5 | 7:14 | 6 |
| იანინა | 7 | 1 | 2 | 4 | 9:12 | 5 |
| პანაჰაიკი | 7 | 1 | 1 | 5 | 8:15 | 4 |
| პანილიაკოსი | 7 | 0 | 3 | 4 | 2:11 | 3 |
| ოფი | 7 | 0 | 2 | 5 | 4:13 | 2 |

## თურქეთი

მე-13 ტური. ფენერბაჩე — ტრაბზონი 5:2; დენიზლი — გენჩლერბირლიგი 0:0; ანთალია — ბურსა 2:1; იოზგათი — სამსუნი 0:0; ადანა — გალათასარაი 1:2; ანკარაგიუჯიუ — გაზიანთეფი 1:1; რიზე — ერზურუმი 4:1; იეთფა — ისთანბული 0:2; ბეშიქთაში — ქოჯაელი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 13 | 10 | 1 | 2 | 32:17 | 31 |
| გალათასარაი | 12 | 9 | 1 | 2 | 32:10 | 28 |
| ფენერბაჩე | 13 | 9 | 1 | 3 | 33:17 | 28 |
| გაზიანთეფი | 13 | 8 | 4 | 1 | 28:14 | 28 |
| ტრაბზონი | 13 | 7 | 3 | 3 | 27:16 | 24 |
| ისთანბული | 13 | 6 | 4 | 3 | 18:15 | 22 |
| გენჩლერბირ. | 13 | 6 | 3 | 4 | 15:14 | 21 |
| სამსუნი | 13 | 5 | 4 | 4 | 19:17 | 19 |
| ანთალია | 12 | 5 | 4 | 3 | 16:15 | 19 |
| ანკარაგიუჯიუ | 13 | 5 | 4 | 4 | 19:21 | 19 |
| იოზგათი | 13 | 4 | 4 | 5 | 17:16 | 16 |
| დენიზლი | 13 | 4 | 3 | 6 | 16:25 | 15 |
| რიზე | 13 | 3 | 4 | 6 | 13:15 | 13 |
| ადანა | 13 | 2 | 5 | 6 | 19:24 | 11 |
| ბურსა | 13 | 2 | 3 | 8 | 13:30 | 9 |
| ერზურუმი | 13 | 2 | 2 | 9 | 14:31 | 8 |
| ქოჯაელი | 13 | 0 | 4 | 9 | 8:24 | 4 |
| იეთფა | 13 | 0 | 4 | 9 | 15:33 | 4 |

## პოლონეთი

მე-15 ტური. ზაგლებე — ვისლა 4:2; გროცლინი — რუხი 0:2; ოდრა — პოლონია 2:0; რაძიონკოვი — პლოცკი 2:1; პოგონი — სტომილი 1:0; გურნიკი — კატოვიცე 0:0; ვიძევი — შლიონსკი 0:3; ლეგია — ამიცა 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 15 | 11 | 2 | 2 | 41:13 | 35 |
| პოგონი | 15 | 11 | 2 | 2 | 22:10 | 35 |
| ლეგია | 15 | 8 | 6 | 1 | 25:11 | 30 |
| ზაგლებე | 15 | 8 | 1 | 6 | 24:19 | 25 |
| ამიცა | 15 | 7 | 3 | 5 | 29:2[illegible] | 24 |
| პოლონია | 15 | 7 | 3 | 5 | 19:15 | 24 |
| სტომილი | 15 | 5 | 4 | 6 | 12:18 | 19 |
| ოდრა | 15 | 5 | 3 | 7 | 14:23 | 18 |
| კატოვიცე | 15 | 3 | 8 | 4 | 10:9 | 17 |
| გროცლინი | 15 | 4 | 5 | 6 | 14:19 | 17 |
| შლიონსკი | 15 | 4 | 4 | 7 | 17:22 | 16 |
| ვიძევი | 15 | 4 | 4 | 7 | 21:29 | 16 |
| რაძიონკოვი | 15 | 5 | 1 | 9 | 15:24 | 16 |
| რუხი | 15 | 4 | 3 | 8 | 16:24 | 15 |
| გურნიკი | 15 | 3 | 4 | 8 | 12:18 | 13 |
| პლოცკი | 15 | 3 | 3 | 9 | 16:30 | 12 |

## რუსეთი

თასი. მერვედფინალი

**სპარტაკი 4:0 ლადა (II)**

*მეოთხედფინალის წილისყრა*

ანჟი (მახაჩკალა) — ტორპედო (მოსკოვი); არსენალი (ტულა) (II) — კრილია სოვეტოვი (სამარა); სპარტაკი (მოსკოვი) — სოკოლი (სარატოვი) (II); ამკარი (პერმი) (II) — ლოკომოტივი (მოსკოვი)

*მატჩები გაიმართება 2001 წლის აპრილში*

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისელმა** ფორვარდმა ენდი კოულმა ოპერაცია გაიკეთა და „მანჩესტერ იუნაიტედს", სავარაუდოდ, იანვარშილა შეუერთდება. „ქირურგიულმა ჩარევამ წარმატებით ჩაიარა. ათ დღეში სიარულს შევძლებ, იანვრის მეორე ნახევრიდან კი თამაშს დავიწყებ" — განაცხადა თავდამსხმელმა. კოულზე ადრე, დეკემბერში, ალექს ფერგიუსონი იაპ სტამის დაბრუნებას ელის. ჰოლანდიელმა მცველმა ოპერაცია ორი თვის წინ გაიკეთა.

**არგენტინიდან იტალიაში დაბრუნებული ხუან სებასტიან ვერონი „ლაციოს" ექიმმა ადრეა კამპიმ გასინჯა და განაცხადა, რომ ფეხბურთელი დაახლოებით ერთ თვეს ვერ ითამაშებს. ვერონი ჩილეს წინააღმდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში დაშავდა.**

**ხორვატული** „დინამოს" მწვრთნელი მარიან ვლაკი თანამდებობიდან გადადგა მას შემდეგ, რაც ზაგრებულმა კლუბმა შინ 0:4 წააგო და ლიდერ „ოსიეკს" 7 ქულით ჩამორჩა. „გუნდის თამაში ვერ გავაუმჯობესე, ამიტომ წასვლა ვარჩიე" — განაცხადა ვლაკმა. „დინამო" შარშან ზედიზედ მეხუთედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

**ინგლისელი რობ მაკდონალდი „გრააფსხაპის" მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს. გუნდმა ამ უქმეებზეც წააგო და გასავარდნ ზონას მიუახლოვდა. 41 წლის მაკდონალდმა ჰოლანდიური კლუბი შარშან ჩაიბარა. აღსანიშნავია, რომ ეს მისი სამწვრთნელო დებიუტი გახლდათ. კონტრაქტის პირობით, ინგლისელს „გრააფსხაპში" სეზონის ბოლომდე უნდა ემუშავა.**

**გერმანიის** ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველი თომას შტრუნცი, შესაძლოა, „კიოლნში" გადავიდეს. 32 წლის ფეხბურთელს მიუნხენური კლუბი უშვებს და მაღალ სატრანსფერო თანხასაც არ ითხოვს. „კიოლნის" ხელმძღვანელებს უკვე ვესაუბრე. მათ კარგი გუნდი ჰყავთ. ალბათ, მალე შევუერთდები კიდეც" — განაცხადა შტრუნცმა.

**არგენტინელი ფორვარდის მარტინ პალერმოს ყიდვა „ვალენსიას" სურს, თუმცა „ბოკა ხუნიორსის" ფეხბურთელს იტალიური კლუბებიც, კერძოდ, „ინტერი", „პარმა" და „ფიორენტინა" ეპატიჟებიან. არის მიწვევები ესპანეთიდანაც. პალერმომ, ვინც ბოლო 14 მატჩში 10 გოლი გაიტანა, მადრიდის „რეალის" წინააღმდეგ საკონტინენტთაშორისო თასზეც ითამაშებს. ეს შეხვედრა 28 ნოემბერს ტოკიოში გაიმართება.**

**პორტუგალიელმა** მეკარემ ვიტორ ბაიამ მუხლის ოპერაცია გაიკეთა და დაახლოებით სამ თვეს ვერ ითამაშებს. ნაკრების 31 წლის კარის დარაჯი ზაფხულში „ბარსელონამ" „პორტუში" გაანათხოვრა.

## სპორტული ლატარია "CROCO"

## ხუთშაბათს, 23 ნოემბერს კროკო ჩვეული განრიგით იმუშავებს

ინგლისი. I დივიზიონი

21 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 001 | ვულვერჰემპტონი-გრიმსბი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.45 | 002 | ბარნლი-ნორვიჩი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.45 | 003 | შეფილდი-ფულემი | 3,6 | 3,1 | 1,9 |

ინგლისი. II დივიზიონი

21 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 004 | რექსემი-კემბრიჯი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

22 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 005 | როვერსი-მილუოლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 006 | სტოკი-ბრენტფორდი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

ინგლისი. III დივიზიონი

21 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 007 | პლიმუთი-კიდერმინსტერი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

22 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 008 | კარდიფი-ლინკოლნი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

იტალია. სერია **B**

23 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 009 | ჯენოა-ტორინო | 2,2 | 2,6 | 3,5 |

ჩეხეთი

22 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 010 | სინოტი-სპარტა | 4,4 | 3,2 | 1,65 |

დანია. თასის 1/8 ფინალი

22 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 011 | ვიბორგი-ოდენსე | 2,0 | 3,2 | 3,3 |

პოლონეთი. თასის 1/8 ფინალი

22 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 012 | ოდრა-პოლონია | 3,5 | 3,5 | 1,5 |
| 15.00 | 013 | შლიონსკი-ლეგია | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 15.00 | 014 | პლოცკი-რაძიონკოვი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

ჩემპიონთა ლიგა. 1-ლი ტური

21 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 501 | მანჩესტერი-პანათინაიკოსი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 23.45 | 502 | ვალენსია-შტურმი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 23.45 | 503 | მილანი-გალათასარაი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 23.45 | 504 | პსჟ-დეპორტივო | 2,2 | 2,9 | 3,2 |

22 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 505 | სპარტაკი-არსენალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 506 | ბაიერნი-ლიონი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 507 | ანდერლეხტი-ლაციო | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 23.45 | 508 | ლიდსი-რეალი | 2,5 | 2,9 | 2,6 |

უეფას თასი. 1-ლი მატჩები

21 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 509 | ჰერტა-ინტერი | 2,5 | 2,9 | 2,6 |

23 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 510 | ლოკომოტივი-რაიო ვალეკანო | 2,1 | 3,0 | 3,2 |
| 20.30 | 511 | ოსიეკი-სლავია | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 20.30 | 512 | პარმა-მიუნხენ 1860 | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 21.30 | 513 | შახტარი-სელტა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.15 | 514 | ლევერკუზენი-აეკ | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 22.15 | 515 | ნანტი-ლოზანა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 22.30 | 516 | პსვ-პაოკ | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 23.00 | 517 | ფეიენოორდი-შტუტგარტი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.15 | 518 | ოლიმპიაკოსი-ლივერპული | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.30 | 519 | ალავესი-რუსენბორგი | 1,6 | 3,4 | 4,7 |
| 23.30 | 520 | ბრიუგე-ბარსელონა | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 23.45 | 521 | რომა-ჰამბურგი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 24.00 | 522 | ბორდო-ვერდერი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 00.15 | 523 | ესპანიოლი-პორტუ | 1,9 | 2,9 | 4,0 |

უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა

21 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 701 | ჰერტა | -2,8 | ინტერი | -1,3 |

23 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 702 | ლოკომოტივი | -2,8 | რ.ვალეკანო | -1,25 |
| 20.30 | 703 | ოსიეკი | -2,3 | სლავია | -1,35 |
| 20.30 | 704 | პარმა | -1,15 | მიუნხენ 1860 | -4,0 |
| 21.30 | 705 | შახტარი | -7,5 | სელტა | -1,05 |
| 22.15 | 706 | ლევერკუზენი | -1,2 | აეკ | -3,5 |
| 22.15 | 707 | ნანტი | -1,2 | ლოზანა | -3,5 |
| 22.30 | 708 | პსვ | -1,25 | პაოკ | -3,1 |
| 23.00 | 709 | ფეიენოორდი | -1,9 | შტუტგარტი | -1,55 |
| 23.15 | 710 | ოლიმპიაკოსი | -5,0 | ლივერპული | -1,1 |
| 23.30 | 711 | ალავესი | -1,3 | რუსენბორგი | -2,5 |
| 23.30 | 712 | ბრიუგე | -5,0 | ბარსელონა | -1,1 |
| 23.45 | 713 | რომა | -1,15 | ჰამბურგი | -4,0 |
| 24.00 | 714 | ბორდო | -1,7 | ვერდერი | -1,7 |
| 00.15 | 715 | ესპანიოლი | -1,7 | პორტუ | -1,7 |

კალათბურთი

21 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 801 | ინდიანა-ჰიუსტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 04.00 | 802 | ვაშინგტონი-პორტლენდი | 2,8 | 12,0 | 1,25 |
| 04.30 | 803 | კლივლენდი-დეტროიტი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.00 | 804 | დალასი-სიეტლი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 05.00 | 805 | ორლანდო-ნიუ იორკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 07.30 | 806 | გოლდენ სტეიტი-ჩიკაგო | 1,25 | 12,0 | 2,8 |

22 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 807 | ბოსტონი-ჰიუსტონი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 04.30 | 808 | ატლანტა-ნიუ იორკი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 04.30 | 809 | შარლოტი-ფილადელფია | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 04.30 | 810 | მაიამი-კლივლენდი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 05.00 | 811 | მილუოკი-პორტლენდი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 05.00 | 812 | მინესოტა-ვანკუვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.30 | 813 | სან ანტონიო-სიეტლი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 06.00 | 814 | ფინიქსი-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 06.00 | 815 | იუტა-დენვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 07.30 | 816 | ლეიკერსი-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 07.30 | 817 | საკრამენტო-ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 7,5 |

23 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 818 | ინდიანა-ტორონტო | 1,35 | 12,0 | 2,5 |

ჰოკეი

21 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 901 | ოტავა-ბოსტონი | 1,4 | 4,0 | 3,8 |
| 04.00 | 902 | რეინჯერსი-ტორონტო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 903 | მონრეალი-ფლორიდა | 1,75 | 4,0 | 2,5 |
| 05.00 | 904 | სენტ ლუისი-ვანკუვერი | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 06.30 | 905 | ფინიქსი-ჩიკაგო | 1,5 | 4,0 | 3,2 |

22 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 906 | ბუფალო-ფილადელფია | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.00 | 907 | ვაშინგტონი-ვანკუვერი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 908 | ტორონტო-ედმონტონი | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 04.30 | 909 | აილენდერსი-რეინჯერსი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 910 | პიტსბურგი-კაროლინა | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 04.30 | 911 | ტამპა ბეი-ატლანტა | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.30 | 912 | დეტროიტი-ბოსტონი | 1,4 | 4,0 | 3,8 |
| 05.00 | 913 | ნეშვილი-დალასი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 05.00 | 914 | მინესოტა-კალგარი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 06.00 | 915 | კოლორადო-კოლუმბუსი | 1,3 | 4,0 | 5,0 |
| 07.30 | 916 | ანაჰაიმი-ნიუ ჯერსი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 07.30 | 917 | სან ხოსე-ჩიკაგო | 1,5 | 4,0 | 3,2 |

23 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 918 | ოტავა-ედმონტონი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 04.00 | 919 | ატლანტა-მონრეალი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 05.30 | 920 | ლოს ანჯელესი-ნიუ ჯერსი | 1,9 | 4,0 | 2,3 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


## ქუთაისში

**ამუშავდა «კროკოს» განახლებული ბიურო ძველ მისამართზე**

პუშკინის №16 (ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში)

## ბათუმში

**კვლავ გაიხსნა «კროკოს» ბიურო ახალ მისამართზე:**

მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) №21. ტელ. 7 30 75

# გაკონტროლებული საკონტროლო

გოჩა ოქროპირიძის ფოტო



მაკაბელი დავით სარიშვილი (მარჯვნივ) და ლაშა ლოსაბერიძე

## 8 ტური

20 ნოემბერი. ვერის ბაღი

**მაკაბი 74:103 სტუ**

**20:25, 15:23, 19:25, 20:30**

**მაკაბი:** წოწელია (15), ი. შანიძე (21), სარიშვილი (16), ტუჯანი (15), დაჩუმი (5); ანდღულაძე, აკოლაშვილი (2), კრიხელი

**სტუ:** სულაძე (2), ხოშტარია (21), ლოსაბერიძე (7), ჩუბინიძე (14), მინაშვილი (19); ტულუში (9), ლაფანაშვილი (2), ოთიურიძე (12), დავითულიანი (15), მიქაძე (2)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით მაჭავარიანი

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**გიორგი ბიკაშვილი**

**მერვე ტურში** უშუქობის გამო არშემდგარი „მაკაბი" — სტუ გუშინ გაიმართა და ამით მეათე ეროვნულის პირველ წრეს წერტილიც დაესვა. ამჯერად თელასმა პატივი სცა ქართულ კალათბურთს და გუნდებიც განათებულ დარბაზში წარსდგნენ ერთმანეთის წინაშე, თუმც ენერგოკრიზისმა თავისი კვალი დაატყო ტაბლოს, რომელიც გვარიანად „ურევდა" და დროის გასაკონტროლებლად სამდივნომ წამზომი მოიშველია.

შაბათს, 25 ნოემბერს, სტუ და „მაკაბი" ამჯერად უკვე მეორე წრეში შეებმებიან. ასე რომ, გუშინ, ფაქტობრივად, კბილი მოუსინჯეს ამ გუნდებმა ერთმანეთს. გამარჯვებული მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებდა სატურნირო მდგომარეობას, წაგებული კი რევანშზე ზრუნვას შეუდგებოდა.

„მაკაბიმ" მომხვდურს ზონური დაცვა შეაგება, რამაც სტუდენტები აიძულა, გარედან ეთამაშათ და სულაძის ორქულიანისა და ხოშტარიას სამქულიანის შემდეგ სტუ 5:0 დაწინაურდა. „მაკაბი" მალევე გამოერკვა, დაცვითი თამაში შეათანხმა და შეტევებსაც ერთიორად ორგანიზებული სახე მისცა. სარიშვილსა და წოწელიას კამერუნელმა დაჩუმიმაც ხელი რომ შეაშველა, ახლა უკვე სტუ აღმოჩნდა მდევრის როლში — 5:7.

ამის მერე მატჩი ქულა-ქულაში გაგრძელდა. საკუთარი შეგირდების თამაშით უკმაყოფილო ნუგზარ ჭეიშვილმა სტუდენტთა შემადგენლობაში ცვლილება შეიტანა, ლოსაბერიძის ნაცვლად მოედანზე ოთიურიძე შეუშვა, რაც იმაზეც მიგვინიშნებდა, რომ სტუ ფარის დაპყრობას ისახავდა მიზნად. საფრთხე კი სულ სხვა მხრიდან შეექმნა „მაკაბის", ჩინებულად ათამაშდა სტუ-ს მსროლელი ირაკლი ხოშტარია, რომელმაც ჯერ თავისი გუნდის ოთხქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა, შემდეგ კი მინაშვილი და მოედანზე მალევე დაბრუნებული ლოსაბერიძე დროული და უზუსტესი პასებით ხელსაყრელ პოზიციაში დატოვა. პირველი მეოთხედი სტუ-ს ხუთქულიანი უპირატესობით რომ დასრულდა, მთლიანად ხოშტარიას დამსახურება იყო.

მეორე მეოთხედის ლამის ნახევარი ისე გაილია, რომ ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა თუ არ ჩავთვლით სტუდენტთა მიერ განხორციელებულ კარგ კომბინაციას, რომელშიც მოედანზე მყოფმა ყველა სტუ-ელმა მიიღო მონაწილეობა და საბოლოოდ მინაშვილის ჩაგდებულით დასრულდა. 7 ქულით დაწინაურებულ სტუ-ს უკან მხოლოდ ის ხევდა, რომ ძალიან მალე დაუგროვდა ოთხი გუნდური ჯარიმა, რის შედეგადაც მაკაბელთ საჯარიმოს ხაზიდან ეძლეოდათ წამოწევის შანსი. მალე ტუჯანმა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა (33:32), თუმც ტაიმის მიწურულს კიდევ ერთხელ აფეთქდა სტუ, რომლის წინამძღოლობა კვლავაც ხოშტარიამ ითავა. ირაკლის ბოლო წამზე ჩაგდებულით სხვაობა 13-ქულიანი გახდა და სტუდენტობაც იმედიანად გაეშურა შესვენებაზე.

მეორე ტაიმში გვარიანად წახდა თამაში. მოედანზე მთავარი მოქმედი გმირები მსაჯები გახდნენ, რომლებიც მეტოქეთა უხეშობის ალსაკვეთად წამდაუწუმ სასტვენს იშველიებდნენ. სტუმ დაშვებული შეცდომები კარგად ვერ გააანალიზა და კვლავაც მალე დაუგროვდა ოთხი გუნდური ჯარიმა, რითაც „მაკაბიმ" ისარგებლა, მცირე მონაკვეთი 10:1 მოიგო და სხვაობა შვიდ ქულამდე შეამცირა — 47:53. აი, მერე კი თვალში საცემი გახდა სტუ-ს უპირატესობა, რაც იმათაც იყო განპირობებული, რომ „მაკაბის" მაღლებმა — ტუჯანიმ, დაჩუმიმ და სარიშვილმა ოთხ-ოთხი პერსონალური მიიღეს. „მაკაბის", ბუნებრივია, დაცვაში აგრესია მოაკლდა, რამაც სტუდენტ ზურაბ ჩუბინიძეს შეასხა ფრთები და მანაც ფარქვეშიდან იწყო მეტოქის დაწიოკება.

მესამე მეოთხედის ბოლო სამ წუთში „ჩუბამ" თერთმეტი ქულა მოინაგრა და მისი გუნდიც 19 ქულით მოსწყდა მოწინააღმდეგეს, რის შემდეგაც „მაკაბიმ" ბრძოლაზე ხელი აიღო...

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სანახაობა, კარტერი, რეკორდი

17 ნოემბერი

**ფილადელფია 94:73 მაიამი**

**ფილადელფია:** აივერსონი (19)
**მაიამი:** გრანტი (16 ქულა, 11 მოხსნა)

**ინდიანა 90:92 გოლდენ სტეიტი**

**ინდიანა:** მილერი (30)
**გოლდენ სტეიტი:** ჯემისონი (28), დამპიე (20), ჰიუზი (19)

**ბოსტონი 106:99 ატლანტა**

**ბოსტონი:** პირსი (25), უოლკერი (22)
**ატლანტა:** ჯეკსონი (20)

**შარლოტი 89:96 დეტროიტი**

**შარლოტი:** მეშბერნი (21 ქულა, 12 მოხსნა)
**დეტროიტი:** სტეკჰაუზი (25)

**მინესოტა 99:94 სან ანტონიო**

(ძირითადი დრო 84:84)

**მინესოტა:** გარნეტი (32 ქულა, 12 მოხსნა), პილერი (21), ბილაფსი (16 ქულა, 13 პასი)
**სან ანტონიო:** დანკანი (22 ქულა, 12 მოხსნა), პორტერი (16)

**მილუოკი 89:76 კლივლენდი**

**მილუოკი:** ალენი (23), რობინსონი (21)
**კლივლენდი:** მიურეი (19)

**ფინიქსი 85:90 ნიუ იორკი**

**ფინიქსი:** რობინსონი (23), მარიონი (20 ქულა, 15 მოხსნა), კიდი (18 ქულა, 12 მოხსნა, 10 პასი)
**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (21), სპრიუელი (19)

**სიეტლი 95:99 დალასი**

**სიეტლი:** პეიტონი (22), ლუისი (19), ბეიკერი (18)
**დალასი:** ნოვიცკი (28 ქულა, 14 მოხსნა), ფინლი (26)

„ფილადელფია სიქსერზის" მეტოქეთა მწვრთნელები დღესდღეობით იმაზე არ ფიქრობენ, როგორ გააჩერონ ალენ აივერსონი. მათ გაცილებით სერიოზული პრობლემა აწუხებთ და მას მთლიანად „ფილადელფია" ჰქვია. ვერ ვიტყვით, რომ აივერსონი უკანა პლანზე გადაიწია, მაგრამ მან აშკარად უკლო ქულების დაგროვებას. ხუთწლიანი კარიერის განმავლობაში ალენს ასეთი დაბალი შედეგიანობა არ ჰქონია. იგი საშუალოდ მატჩში 20 ქულაზე ოდნავ მეტს აგდებს, ამაში განსაკუთრებული არაფერია, ასეთი მექულე ასოციაციაში 20 მაინც იქნება, მაგრამ აივერსონის მიერ კონკრეტულ მატჩში მოპოვებული ქულათა რაოდენობა ნაკლებად განსაზღვრავს მისი გუნდის შედეგიანობას, რომელიც ჯერჯერობით ერთფეროვანია, „ფილადელფია" მხოლოდ იგებს. 17 ნოემბერს „სიქსერზმა" მორიგი მეტოქე იმსხვერპლა. „დღეს მე ველური ოცნებებისთვის არა მცხელა, ბევრს არ ვაგდებ და ეს არ მალევბს — ამბობს აივერსონი — რა მნიშვნელობა აქვს ჩემი 40 ქულით მოვიგებთ, თუ სნოუს ან ლინჩის 15 ქულის წყალობით, მთავარია, მოვიგოთ. სტარტზე 9 მოგება, ვფიქრობ ურიგო შედეგი არ უნდა იყოს." როგორც ჩანს, მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა შეძლო ჭირვეული შეგირდის მორჯულება. აივერსონი თავმდაბლად ლაპარაკსაც მიეჩვია — მისი გუნდი სამ ათეულ წელზე მეტია არსებობს და სეზონი ასე არასოდეს დაუწყია. დღეს „ფილადელფია" ლიგაში ერთადერთი დაუმარცხებელია.

უძლეველთან თამაში „მაიამის" ურიგოდ არ დაუწყია. სტუმართა შორის საუკეთესომ, ბრაიან გრანტმა „სიქსერზს" პირველ ტაიმში 16 ქულა ჩაუგდო და თავის გუნდს ნახევარი 4 ქულით მოაგებინა. აქ სტუმრებს გამარჯვების იმედი გაუღვივდათ, მაგრამ უმოწყალო მასპინძლები სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ. „ფილადელფიამ" დაცვით მარწუხებს მოუჭირა, თეო რეთლიფმა გრანტს ქულა აღარ ჩააგდებინა და მეორე ტაიმში „მაიამიმ" სულ 26 დააგროვა, ზუსტად ორჯერ ნაკლები, ვიდრე „ფილადელფიამ".

ფინიქსელი ჯეისონ კიდისგან, სამმაგი დუბლი არავის უკვირს. 17 ნოემბერს „ნიუ იორკთან" მან მორიგი, რიგით 34-ე შეასრულა. კიდს ქულების, მოხსნების და პასების მოგროვებასთან ერთად სხვისთვის ბურთის წართმევაც (ჩაჭრა) კარგად შეუძლია, მაგრამ იმ დღეს მხოლოდ მას ართმევდნენ. კიდმა 14-ჯერ დაკარგა ბურთი, რაც ძალიან ბევრია მოთამაშისთვის, რომელსაც ნბა-ს უძლიერესი გამთამაშებლის პრეტენზია აქვს. ამასთან ეს ლიგის ყველა დროის ანტირეკორდის განმეორებაა, რომელიც 22 წლის წინ ვინმე ჯონ დრიუს დაუმყარებია. კიდის ქარაფშუტულ თამაშს ისიც დაერთო, რომ „ფინიქსის" მეორე ლიდერმა შონ მარიონმა და მეექვსე მოთამაშემ როდნი როჯერსმა (14 ქულა), ბოლო მეოთხედის დასაწყისში მეექვსე პერსონალური მიიღეს და მათმა გუნდმა „ნიუ იორკთან" შეწყვიტა შვიდმატჩიანი მოგებების სერია.

ასევე შვიდმატჩიანი, მხოლოდ წაგებების სერია დაასრულა „გოლდენ სტეიტმა" და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს ამ უხეირო გუნდმა ვიცე-ჩემპიონ „ინდიანასთან" მოახერხა. მასპინძელი „ინდიანა" მესამე მეოთხედში 13 ქულას აგებდა, რეჯი მილერის თავგამოდების შედეგად მეოთხე მეოთხედის ბოლოსთვის შეძლო ანგარიშის გათანაბრება — 84:84. მეტი კი ველარ შეძლეს ვიცე-ჩემპიონებმა.

18 ნოემბერი

**ვაშინგტონი 109:89 ბოსტონი**

**ვაშინგტონი:** ჰოვარდი (21), რიჩმონდი (19), ჰამილტონი (19)
**ბოსტონი:** უოლკერი (26 ქულა, 10 მოხსნა), პირსი (17)

**ტორონტო 111:102 მილუოკი**

**ტორონტო:** კარტერი (48 ქულა, 10 მოხსნა), დევისი (17 ქულა, 19 მოხსნა)
**მილუოკი:** ალენი (29), რობინსონი (25 ქულა, 13 მოხსნა)

**ატლანტა 84:94 მინესოტა**

**ატლანტა:** ჯეკსონი (21), ჰენდერსონი (19)
**მინესოტა:** გარნეტი (25 ქულა, 11 მოხსნა), შჩერბიაკი (17), ბილაფსი (17)

**მაიამი 86:80 პორტლენდი**

**მაიამი:** გრანტი (24 ქულა, 13 მოხსნა), ჰაუსი (23)
**პორტლენდი:** ვოლესი (20 ქულა, 11 მოხსნა), სმიტი (19)

**ნიუ ჯერსი 97:92 ინდიანა**

**ნიუ ჯერსი:** მარბერი (20 ქულა, 10 პასი), მარტინი (15 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება)
**ინდიანა:** მილერი (31), ონილი (23 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება)

**ჰიუსტონი 94:89 ფინიქსი**

**ჰიუსტონი:** ფრენსისი (25), ოლაჯუონი (19 ქულა, 10 მოხსნა)
**ფინიქსი:** რობინსონი (23), მარიონი (20 ქულა, 17 მოხსნა)

**დენვერი 87:86 ლეიკერსი**

**დენვერი:** მაკდაიესი (28 ქულა, 18 მოხსნა)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (32), გრანტი (18 ქულა, 12 მოხსნა)

**იუტა 109:64 ჩიკაგო**

**იუტა:** მელოუნი (26 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი)
**ჩიკაგო:** ბრენდი (23)

**ვანკუვერი 88:91 დალასი**

**ვანკუვერი:** ჰარინგტონი (23), დიკერსონი (18)
**დალასი:** ნოვიცკი (20 ქულა, 10 მოხსნა), დევისი (20)

**კლიპერსი 83:86 სიეტლი**

**კლიპერსი:** ოდომი (27 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი)
**სიეტლი:** პეიტონი (25), იუინგი (16 ქულა, 10 მოხსნა

ვინს კარტერმა 48 ქულა ჩააგდო და მისმა „ტორონტომ" „მილუოკის" აჯობა. ეს შეხვედრა ერთობ თვალსასეირო გამოდგა, რადგან მასში ორი შოუმენი — კარტერი და მილუოკელი რეი ალენი — მონაწილეობდა. შოუ შედგა, მატჩის სანახავად მოსული ოცი ათასი კანადელი შედეგითაც და სანახაობითაც კმაყოფილი დარჩა. კარტერმა ჩვეულად ბევრი ბურთი ტენა და საჯარიმოებიც ბლომად ყარა, 18 შესაძლებლობიდან 17 გამოიყენა და საბოლოოდ იმდენ ქულას მოუყარა თავი, რამდენიც სეზონში არავის მოუგროვებია. ამ ორმოცდარვა ქულის წყალობით, კარტერმა ლიგის ბომბარდირთა სიის პირველ საფეხურიდან გადმოაგდო სტივენ მარბერი და მის ადგილზე თავად მოკლათდა.

კარტერს სიდნეის ოლიმპიადის ნაკრებში მისი თანაგუნდელი რეი ალენი მეურვეობდა და მშვენივრად ჩანს, როგორ გაართვა საქმეს თავი. ალენმა მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე ჩატენა და 98:98 გაათანაბრა, სამაგიეროდ, მომდევნო ორწუთიან მონაკვეთში კარტერმა ექვსი ქულა გაახერხა, ეს მონაკვეთი თავის გუნდს 10:0 მოაგებინა და ყველაფერი ამ მცირე მონაკვეთში გადაწყდა. რეი ალენმა ნამატჩევს აღიარა, კარტერი ჩემზე მაგარიაო. სამაგიეროდ, ალენის და „მილუოკის" დამრიგებელს ჯორჯ კარლს გაუჭირდა მარცხთან შეგუება და კარტერს კბილი გაჰკრა — არ უარვყოფ კარტერის „წყალობით" დავმარცხდით, მაგრამ მაგ ბიჭმა დღეს უამრავი შეცდომა დაუშვა და საერთოდ დიდ კალათბურთელობამდე ბევრი უკლიაო.

მას პასუხი კარეტრის თანაგუნდელმა „რეპტორზის" კაპიტანმა ჩარლზ ოკლიმ გასცა: „იქნებ ბოდიშიც მოვიხადოთ, რომ ჩვენ ასეთი მოთამაშე გვყავს, სხვას კი — არა. თუ ვინსი ცუდი კალათბურთელია, მაშინ საკითხავია, ვინ თამაშობს „მილუოკიში"?

ჩემპიონ „ლოს ანჯელეს ლეიკერსს" აკლდა წინა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, ქუსლმტკივანი შაკილ ონილი და დენვერში ჩასული მის გარეშეც კარგად გრძნობდა თავს. ლიდერობა ოქრო ბიჭმა კობი ბრაიანტმა ითავა და რიგიანადაც. ჩემპიონს თითქმის არაფერი უჭირდა, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე ექვსი-შვიდი წუთით ადრე სტუმრები აირივნენ და ლიდერობა მეტოქეს გადაულოცეს. მატჩის დამთავრებამდე 1,20 წუთით ადრე მასპინძელმა ჯეიმს ფოუზიმ ორი საჯარიმო ჩააგდო და 87:86 გახადა. მართალია, მასპინძლებმა დარჩენილ დროში ვერ ჩააგდეს, მაგრამ არც მეტოქეს ჩააგდებინეს და ჩემპიონი მორიგი მარცხისთვის გაიწირა.

სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშა მაიამელმა ბრაიან გრანტმა, ამის სტიმულიც ჰქონდა — „მაიამი" მის ყოფილ გუნდს „პორტლენდს" მასპინძლობდა და იგი საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო. ამ დაძაბულ შეხვედრაში გრანტმა რკინის ნერვები გამოაჩინა ყოფილ გუნდს მატჩის ბოლო ნახევარ წუთში ორი მნიშვნელოვანი ბურთი ჩაუგდო და გამარჯვება „ჰითს" მოუტანა.

19 ნოემბერი

**ორლანდო 102:110 პორტლენდი**

(ძირითადი დრო 98:98)

**ორლანდო:** ამაჩი (27), მაკგრეიდი (24)
**პორტლენდი:** ვოლესი (37), ველსი (26)

**დეტროიტი 96:105 შარლოტი**

**დეტროიტი:** სტეკჰაუზი (22)
**შარლოტი:** დევისი (25 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი, 7 ჩაჭრა), კემბელი (19 ქულა, 12 მოხსნა)

**ნიუ იორკი 88:71 გოლდენ სტეიტი**

**ნიუ იორკი:** სპრიუელი (22)
**გოლდენ სტეიტი:** ჰიუზი (17)

**ლეიკერსი 104:96 ჩიკაგო**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (22 ქულა, 12 მოხსნა)
**ჩიკაგო:** მერსერი (27), ბრენდი (17 ქულა, 15 მოხსნა)

„მაიამის" ჯავრი „პორტლენდმა" მის თანაშტატელ (ფლორიდა) „ორლანდოზე" იყარა და მისსავე მოედანზე წააქცია. მასპინძლებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანეს, იქ კი ღირებული ვერაფერი გააკეთეს და ზედიზედ მესამედ დამარცხდნენ.

**ირაკლი ფირცხალავა**

საქართველოს ჩემპიონატი. IX ტური

# კამათი კამათელი არ არის: დუშაშის ნაცვლად ტექნიკური დაგიჯდება

18 ნოემბერი. ვერის ბალი

**მაკაბი 86:72 სსუ**

22:19, 26:16, 13:23, 25:14

**მაკაბი:** წოწელია (26), ტუჯანი (8), სარიშვილი (4), შანიძე (18), დაჩუმი (10); ანდღულაძე (16), აკოლაშვილი, ქოქოსაძე (2), მჭედლიშვილი, მანველიშვილი (2), ფიცხელაური

**სსუ:** ბ. ბერიშვილი (30), სორდია (10), ლაცუზბაია (4), ვ. ქვილითაია (7), ბ. ქვილითაია (2); ძიძიგური (14), გ. ჟღენტი, კანკია (5)

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, დავით ანდრიაძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

18 ნოემბერი. ვერის ბალი

**სტუ 73:68 აზოტი**

18:16, 21:18, 13:18, 21:16,

**სტუ:** ხოშტარია (17), ტულუში (4), ლოსაბერიძე (19), ოთიურიძე (2), მინაშვილი (15); სულაძე, დავითულიანი (4), მიქაძე (7), ჩუბინიძე (5)

**აზოტი:** ა. ჟღენტი (16), გაბისონია (3), კოკოლიშვილი (8), ბაბიაშვილი (30), ბერუაშვილი (6); წიკლაური, ტურაშვილი (5), ჩაჩუა

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

18 ნოემბერი. ვერის ბალი

**დინამო 100:77 თსუ**

31:20, 25:15, 20:23, 24:19

**დინამო:** თორთლაძე (29), ბადრიძე (20), კეიდია (13), კონჯარია (8), არაქელიანი (2); ჩავლეიშვილი (6), ნინოშვილი, ნინიაშვილი (14), შენგელია (8)

**თსუ:** დ. ბერიშვილი (10), ი. ბერიშვილი (2), მაისურაძე (18), მარკოიშვილი (11), არსიაშვილი (5); ხეცურიანი (4), ვეფხვაძე (2), მაჭარაძე (4), ახალკაცი (21), ზამთარაძე

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**როლანდ ლაბუჩიძე**

**უშუქობით** გაწამებულ მეათე ეროვნულის ორგანიზატორებს პირველი წრის დასკვნით ტურში დენის პრობლემა არ ჰქონდათ. კალათბურთელებმაც არ დაიზარეს და კარგი სანახაობა აჩუქეს ვერის ბალში შეკრებილ გულშემატკივრებს.

დავიწყოთ „დინამო“ — თსუ-ს მატჩით, სადაც სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე მყოფმა ლევან მოსეშვილის გაწვრთნილებმა სულ ბდღვირი ადინეს ამბიციამოჭარბებულ და ლიდერთა შორის მყოფ თსუ-ს. მატჩის უდავო გმირი დავით თორთლაძე იყო, რომელსაც თითქმის ყველაფერი გამოსდიოდა. სანამ „დინამო“ წინ გაიჭრებოდა, „თორთლამ“ სამქულიანებით აიკლო მეტოქის კალათი, შემდეგ კი ჩაჭრებით თამაშის ხალისს უკარგავდა მოწინააღმდეგეს და მისი უზუსტესი პასებიდან „დინამოს“ ცენტრებს ნახევარიც რომ გამოეყენებინათ, ანგარიშში სხვაობა ბევრად უფრო დიდი იქნებოდა. სტუდენტებიდან ვინ აღარ მეურვეობდა თორთლაძეს, მაგრამ არავინ გაიკარა, ერთი კაცი მისი დამჭერი არ იყო, ხოლო თუ მეორეს მიაშველებდნენ, აქ „დინამოს“ მეორე უკანახაზელ ზურაბ ბადრიძეს ეხსნებოდა ხელ-ფეხი. რომ არა თორთლაძის სასწაულები, მატჩის გმირი ბადრიძე იქნებოდა. ეს ყმაწვილი, რომელიც „დინამოს“ საკალათბურთო სკოლის აღზრდილია და ჯერ 18 წელი კი არ შესრულებია, მშვენივრად აზღვევდა თორთლაძეს, კარგად ირჩევდა პოზიციებს და თავის უფროს კოლეგასთან ერთად ლომის წილი დაიდო თსუ-ს დამარცხებაში. „დინამოს“ მიერ მოგროვილი 100 ქულიდან 29 თორთლაძემ გააკეთა, ხოლო 20 ბადრიძემ.

ახლა კი მივყვეთ მატჩის მსვლელობას, რომელსაც დასაწყისშივე ეტყობოდა, რომ თსუ იოლი გამარჯვების იმედად ვერ იქნებოდა. უკვე მეორე წუთისთვის 9:2 იყო „დინამოს“ სასარგებლოდ. საუკეთესო გახლდათ თორთლაძე, რომელმაც მარტო პირველ მეოთხედში 14 ქულა გააკეთა, მისი უზუსტესი პასებით კი მეტოქის ფართან ეულად დარჩენილ კეიდიას და კონჯარიას ისღა რჩებოდათ, ბურთი კალათში მოეთავსებინათ. დინამოელთა რიგებში ერთადერთი სუსტი წერტილი სომეხი ლეგიონერი კარენ არაქელიანი გახლდათ, რომელსაც ხშირად ენაცვლებოდა თორნიკე ნინიაშვილი. და რას აკეთებდა ამ დროს თსუ? იბრძოდა მთელი მონდომებით მაგრამ... სხვებზე უკეთ ახალკაცი ირჯებოდა, რომელიც იოლად ჯაბნიდა სომეხ კოლეგას. აზარტში შესული „დინამო“ ქულას ქულაზე აგროვებდა, აშკარა იყო, რომ თსუ-ს უჭირდა, ზამთარაძე კი წუთშესვენების აღებასა და თამაშში კორექტივების შეტანას აგვიანებდა. პირველი წუთშესვენება თსუ-მ მაშინ ითხოვა, როდესაც პირველი მეოთხედის დამთავრებამდე 1,20 წუთი რჩებოდა, ხოლო ანგარიში 26:18 იყო „დინამოს“ სასარგებლოდ. განახლდა მატჩი და თორთლაძემ შორიდან სამი ქულით გაზარდა თანაგუნდელთა უპირატესობა — 29:18. დარჩენილ დროში ნინიაშვილის ორ ქულას ხეცურიანმა ანალოგიურითვე უპასუხა.

მეორე მეოთხედში სასტარტო ხუთეულიდან მხოლოდ ცენტრები — არაქელიანი, ნინიაშვილი და შენგელია ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. კეიდია და კონჯარია კი საუკეთესო პარტნიორობას უწევდნენ თორთლაძეს და ბადრიძეს. იყო მომენტი, როდესაც 23 ქულითაც კი უგებდა „დინამო“ მეტოქეს — 56:33. უიმედო სიტუაციაში მყოფი თსუ კი ამაოდ ეძებდა გამოსავალს.



სტუ — აზოტი. ირაკლი ხოშტარია აზოტელთა კალათს უტევს

შესვენების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. ამჯერად სტუდენტები გახდნენ მოედანზე ტონის მიმცემნი. ეტყობა, 15-წუთიან შესვენებაზე ზამთარაძემ სათანადოდ დამოძღვრა შეგირდები. თსუ-მ სუსტი წერტილი მოუძებნა „დინამოს“ და აქცენტი ცენტრზე გააკეთა, ვეფხვაძე ლანდივით აედევნა თორთლაძეს, როგორც იქნა, ახალკაცს მაჭარაძეც წამოეშველა და მესამე მეოთხედის ოთხწუთიანი მონაკვეთი 12:0 მოიგო თსუ-მ. ეს იყო და ეს: მეურვეებისგან შევიწროებული თორთლაძე ამჯერად საჯარიმოებით აგროვებდა ქულებს, ბადრიძე კი შორეული სროლებითა და ფარის ქვეშ შესვლებით ბომბავდა მეტოქის კალათს. ერთადერთი, რაც თსუ-მ მოახერხა, ეს მესამე მეოთხედის მოგება (23:20) გახლდათ. მთლიანობაში კი მაინც მდევრის როლში დარჩა.

რუსთავის გუნდი სრული შემადგენლობით წარსდგა მეტოქის წინაშე, სტუ-ს კი კვლავ არ ჰყავდა ტრავმირებული კორძაძე და მოისწრაფიშვილი, რაც შეეხება დავითულიანს, ტრავმის შემდეგ იგი ჯერაც არ იყო სასურველ ფორმაში.

4:0 დაწინაურებულ სტუ-ს „აზოტი“ მალე წამოეწია და მე-5 წუთზე არჩილ ჟღენტის სამქულიანით წინ გასვლაც მოახერხა, მაგრამ სტუ არ აპირებდა უპირატესობის დათმობას. სტუმრებს მოსვენებას არ აძლევდნენ ლოსაბერიძე და მინაშვილი, რომელთაც თბილისელთა ლიდერი ირაკლი ხოშტარია უხვად ამარაგებდა ბურთებით.

გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე პირველი მეოთხედის დამთავრებამდე 4 წამით ადრე ბურთს წიკლაური დაეუფლა, ესროლა, მაგრამ არაზუსტად, დამატებაზე კი კოკოლიშვილმა ივარგა და „აზოტი“ წინ გაიჭრა — 16:14. აქ წუთშესვენება აიღეს სტუდენტებმა და შეეცადნენ შეტევისთვის დარჩენილ 4 წამში ჩატეულიყვნენ. ბოლო წამზე უნაკლოდ ისროლა ხოშტარიამ და მეოთხედი თანაგუნდელებს მოაგებინა — 18:16. პირველი მეოთხედის მოგებაში სტუ-ს ხოშტარიაც ვერ უშველიდა, რომ არა მანამდე მიხეილ ბერუაშვილის ლამის ტრადიციულად ქცეული ტექნიკური ჯარიმა. ვინც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს თვალს ადევნებს, უეჭველად მიხვდებოდა, თუ რისთვის დაჯარიმდა აზოტელი, რა თქმა უნდა, მსაჯ ზაზა მაჩალაძესთან კამათისთვის.

მეორე მეოთხედში მაჩალაძემ ტექნიკური ჯარიმით სტუ-ს მთავარი მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი დასაჯა. ჭეიშვილი მართალი იყო, როდესაც აღნიშნავდა „აზოტი“ შეტევისათვის განკუთვნილ დროში ვერ ჩაეტიაო, მაგრამ სტუდენტების მოძღვარს სამსაჯო მაგიდასთან რიხით მისვლა არ აპატიეს.

მეორე მეოთხედიც ანალოგიური სცენარით წარიმართა. გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე მატჩის ერთ მონაკვეთში სტუ 7 ქულით — 28:21 მოსწყდა მეტოქეს. ცოტაც და სტუ-ს უპირატესობა აშკარა გახდებოდა, მაგრამ აქ თავი გამოიდო აზოტელმა ზვიად ბაბიაშვილმა, რომელმაც ერთმანეთის მიყოლებით გაკეთებული 9 ქულით ანგარიშში სხვაობა ქულამდე დაიყვანა — 30:31. სტუ-მ მეორე მეოთხედის დასკვნითი ნაწილიც კარგად ჩაატარა და ლაშა ლოსაბერიძის აქტიურობის წყალობით დიდ შესვენებაზე ხუთქულიანი უპირატესობით წავიდა — 39:34.



დინამო — თსუ. გულიგერ ახალკაცი (ბურთით) დინამოელების, კარენ არაქელიანის (№10) და ირაკლი კონჯარიის გარემოცვაში

მესამე მეოთხედში ჭეიშვილი იძულებული გახდა, დავითულიანი გაეყვანა მოედანზე, რადგან ჟღენტს თამაში წაუვიდა, რაც ანგარიშშიც გამოიხატა. „აზოტს“ ამჯერადაც ქულა აშორებდა მეტოქემდე. სიტუაციას ამწვავებდა ისიც, რომ მეოთხე ჯარიმა მიიღო სტუდენტთაგან საუკეთესო ირაკლი ხოშტარიამ. მესამე მეოთხედის დამთავრებამდე 15 წამით ადრე როგორც იქნა, „აზოტმა“ გაათანაბრა. ეს კოკოლიშვილის სამქულიანი სროლის შემდეგ მოხდა — 52:52. რუსთავის გუნდს წინ გასვლაც შეეძლო, მაგრამ ბოლო წამზე ჟღენტს სამქულიანი გაუცუდდა.

შეხვედრის დამთავრებამდე 3,12 წუთით ადრე „აზოტმა“ დიდი დანაკლისი განიცადა: ხუთი ჯარიმით მოედანი მიხეილ ბერუაშვილმა დატოვა. რუსთაველთა საბედნიეროდ, მათ ჰყავთ ზვიად ბაბიაშვილი, რომელიც ფორვარდი კი არის, მაგრამ თუ გაუჭირდა, ცენტრშიც კარგად თამაშობს. ასე იყო ამჯერადაც, სწორედ ბაბიაშვილის დამსახურებაა, რომ შეხვედრის ბოლო წუთამდე მატჩის ბედი გაურკვეველი იყო.

„აზოტმა“ ბოლოს შეხვედრის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე გაათანაბრა ტურაშვილის სამქულიანით — 66:66. 20 წამის შემდეგ სტუ ტულუშმა დააწინაურა 68:66. ზუსტად ერთი წუთის განმავლობაში ანგარიში აღარ შეცვლილა.

ტულუში მეხუთე ჯარიმის გამო მოედნიდან გავიდა. საფინალო სირენამდე 35 წამით ადრე ტურაშვილმა ითამაშა უყურადღებოდ. მას ლოსაბერიძე წამოეპარა და ბურთი აართვა. ჟღენტს ისღა დარჩენოდა, მეტოქე აკრძალული ხერხით შეეჩერებინა. განზრახ ჯარიმა, ლოსაბერიძემ ბურთი ჩააგდო და იგი კვლავ სტუ-ს დარჩა. ტაბლოზე 29 წამია, წინ კი სტუ-ა — 69:66. შემდეგ დავითულიანი ქულით ზრდის უპირატესობას — 70:66. „აზოტის“ შეტევას ჟღენტი აგვირგვინებს — 70:68 და რჩება 16 წამი.

ამჯერადაც ჟღენტი ჯარიმდება და ისევ ლოსაბერიძესთან — 72:68 სტუ-ს სასარგებლოდ. საპასუხო შეტევისას ჟღენტს სამქულიანი გაუცუდდა. მინაშვილმა კი საჯარიმოდან ჩაგდებული ქულით მატჩს წერტილი დაუსვა — 73:68. რევანში შედგა და მე-9 ეროვნულის ნახევარფინალში დამარცხებისათვის სტუ-მ ცოტა გული მოიოხა.

წინაღდით უკრაინის დედაქალაქ კიევიდან დაბრუნებულ „მაკაბის“, სადაც იგი ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა, მედგრად დაუხვდა უიმედო აუტსაიდერი სსუ. გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე პირველი მეოთხედის ბოლოს „მაკაბის“ ცოტა ბედმაც გაუღიმა და ათწუთეული სამქულიანი უპირატესობით — 22:19 დაასრულა. თბილისელთაგან საუკეთესო წოწელია იყო, დანარჩენები კი უფერულად გამოიყურებოდნენ.

როდესაც იოლ გამარჯვებაში დარწმუნებული „მაკაბი“ სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა, შესვენების შემდეგ უფრო მონდომებით ათამაშდა. წოწელიას აფრიკელმა ლეგიონერებმა აუბეს მხარი, შავკანიან კალათბურთელებს არც შანიძე ჩამორჩა და „მაკაბის“ გულშემატკივრები ცოტა დამშვიდნენ.

პირველი ტაიმის ცამეტქულიანი უპირატესობით მომგებმა „მაკაბიმ“ ნაადრევად ირწმუნა გამარჯვება და ისევ მოდუნდა. ფარი ძიძიგურმა დაიპყრო, საშუალო და შორი მანძილიდან კი სორდია და ბერიშვილი ბომბავდნენ მეტოქის კალათს. განსაკუთრებით გამოირჩა ძიძიგური, რომელმაც დაფარებებსა და მოხსნებთან ერთად შედეგიანი თამაშითაც ისახელა თავი. იყო მომენტი, როდესაც სტუდენტები ორ ქულამდე — 56:58 მიუახლოვდნენ მეტოქეს, მაგრამ გამოუცდელობის გამო მეტის გაკეთება ვერ შეძლეს. სამაგიეროდ, მწვრთნელიან-კალათბურთელიანად „მაკაბი“ გვარიანად ანერვიულეს.

დასკვნით მეოთხედში შანიძისა და წოწელიას აქტიურობამ საბოლოოდ გატეხა სსუ. „მაკაბიმ“ დაგეგმილი 2 ქულა მიითვალა, ხოლო სსუ-მ ზედიზედ მერვე წაგებით პირველი წრე მოგების გარეშე დაასრულა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 8 | 8 | 0 | 823:539 | 16 |
| სტუ-ჯეოსელი | 8 | 6 | 2 | 771:691 | 14 |
| აზოტი | 8 | 6 | 2 | 634:527 | 14 |
| მაკაბი | 8 | 4 | 4 | 706:679 | 12 |
| თსუ | 8 | 4 | 4 | 713:732 | 12 |
| შევარდენი | 8 | 4 | 4 | 641:683 | 11 |
| ვითა-სტუ 2 | 8 | 2 | 6 | 644:791 | 10 |
| დინამო | 8 | 2 | 6 | 671:745 | 10 |
| სსუ | 8 | 0 | 8 | 564:780 | 8 |

შევარდენს დაკლებული აქვს 1 ქულა

# მარატ პირველის წარბი და ნაკერი



მარტინა ჰინგისი



მარატ საფინი

**ნიუ იორკი. აშშ. „ჩეიზის მსოფლიოს ჩემპიონატი“. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 2 მილიონი $**

**მეოთხედფინალი: მონიკა სელეში (3, აშშ) — ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:4; ელენა დემენტიევა (რუსეთი) — კიმ კლაისტერსი (ბელგია) 6:4, 2:6, 6:4**

**ნახევარფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ანა კურნიკოვა (7, რუსეთი) 7:6 (7:2), 6:2**

ისტორია განმეორდა: ისევე, როგორც კარიერის ყველა წინა მნიშვნელოვან მატჩში, ანა კურნიკოვას ამჯერადაც მარტინა ჰინგისმა გადაუჭრა გზა. 1997 წლის უიმბლდონის ნახევარფინალის, ამელია აილენდისა და მოსკოვის მილიონდოლარიანი ტურნირების ფინალების მსგავსად, 19 წლის რუსს ისევ საკუთარმა მეწყვილემ და კოლეგათაგან საუკეთესო მეგობარმა აგემა მარცხის სიმწარე და საშუალება არ მისცა, ავი ენები ჩაეჩუმებინა.

მთელი ერთი სეტის მანძილზე კურნიკოვა არაფრით ჩამორჩებოდა მსოფლიოს პირველ ჩოგანს, შეცდომებსაც ჩვეულზე ნაკლებს უშვებდა და ხანგრძლივ გათამაშებებსაც არაერთხელ იგებდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, გადამწყვეტ მომენტებში შვეიცარიელი შეუვალი იყო: 4:5-ზე მეტოქეს მოწოდება აართვა და ანგარიში გაათანაბრა, ტაი-ბრეიკზე კი 2:2-ზე ზედიზედ 5 ქულა მიითვალა. გამწარებულ რუსს მეორე ხელში წინააღმდეგობის გაწევა აღარც უცდია.

„მარტინასთან თამაში უსაშველოდ ძნელია. საკმარისია, დავწინაურდე, მაშინვე სულ სხვა, უფრო მაღალ დონეზე იწყებს გარჯას და დაძაბულობის ჟამს არასოდეს ცდება. ჰო, ტიტული წლეულსაც ვერ მოვიგე, მაგრამ შესამჩნევად მოვუმატე. სეზონი ასე მაღლა, კლასიფიკაციის მერვე ადგილზე არასოდეს დამისრულებია“ — ისევ თავის მართლება მოუხდა ჟურნალისტების წინ კურნიკოვას.

**სელეში — დემენტიევა 6:1, 7:6 (7:4)**

კურნიკოვასი არ იყოს, კიდევ ერთმა 19 წლის უტიტულო ქერა რუსმა, ელენა დემენტიევამაც ნახევარფინალში დაასრულა ასპარეზობა. სეზონის აღმოჩენამ პატარაობის კერპ მონიკა სელეშს ვერაფერი დააკლო და საგაისოდ თამაშის ელემენტებზე მუშაობის გარდა იმასაც დაჰპირდა, ინგლისურს უკეთ ვისწავლი, პრესკონფერენციებზე ასე უხერხულად ვგრძნობ თავსო.

**ფინალი: ჰინგისი — სელეში 6:7 (5:7), 6:4, 6:4.**

სამგზის ჩემპიონი მონიკა სელეში სეზონის დამაგვირგვინებელ პირველობაზე კარიერაში უკანასკნელად ასპარეზობდა. გაისად ტურნირი „მედისონ სკვერ გარდენიდან“ მიუნხენში გადააქვთ, გერმანიაში კი მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს 1993 წლიდან არ უასპარეზია, მას მერე, რაც შტეფი გრაფის შერეკილმა ფანატმა ზურგში დანა ჩაარტყა, მერე კი მართლმსაჯულებას დაუსჯელად გადაურჩა.

რა თქმა უნდა, „ჩეიზთან“ გამოთხოვება მონიკას შთამბეჭდავ სტილში სურდა, თუმცა ამის იმედი ნაკლებად ჰქონდა: ფეხის ტრავმის გამო სექტემბრიდან მოყოლებული არსად ეთამაშა და ვარჯიშიც კი ტურნირის დაწყებამდე სამიოდ დღით ადრე განეახლებინა.

დიდი ამბიციები არ ამოძრავებდა სელეშს ფინალის წინაც. მარტინა ჰინგისთან ბოლო ორ შეხვედრაში ოთხიდან სამი სეტი მშრალად წააგო და უბრალოდ, თანამემამულეთა წინაშე (თუ აშშ-ის პასპორტის მქონე იუგოსლაველთათვის ამერიკელებზე ამის თქმა შეიძლება) თავის ასე შერცხვენა არ უნდოდა.

მონიკას შიში უსაფუძვლო გამოდგა. პროგრამა-მინიმუმს — თითოეულ სეტში ერთი გეიმის მოგებას მან ისე კარგად გაართვა თავი, მთავარი ჯილდოსა და ნახევარი მილიონი დოლარის მოპოვებას სულ რამდენიმე ქულა დააკლდა.

საერთოდ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი მეტად თვალსასეირო საცქერი გამოდგა. მძიმეწონოსანი მოკრივეების მსგავსად, მოთამაშეები თავიდანვე ცხოველური გააფთრებით ეკვეთნენ ერთიმეორეს, მტკივნეული დარტყმა დარტყმას მოსდევდა, გათამაშებებს შორის ორივე სულს ძლივს ითქვამდა, მაგრამ რამდენიმე წამიც და ისევ ხელების გამალებული ქნევა და კორტის ერთი კიდიდან მეორეში სირბილი გრძელდებოდა.

„რამდენჯერმე ვიგრძენი, რომ ზურგით კედელს მივეყრდენი, მეტის თავი აღარ მქონდა, მაგრამ გამარჯვების სურვილი იმდენად დიდი იყო, ამ კედლის დანგრევა მინდოდა“ — განაცხადა მოგვიანებით სელეშმა.

„სულ ველოდი, რომ მონიკა დაიღლებოდა და უფრო ცუდად ათამაშდებოდა, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, ასე არ მოხდა. რამდენჯერმე ლამის მოგების იმედიც დავკარგე, გასავათებული ვიყავი და უკანასკნელი ძალებით დავრბოდი“ — აღიარა ჰინგისმა.

რამდენჯერაც დაწინაურდა მარტინა გადამწყვეტ ხელში, იმდენჯერ მოახერხა სელეშმა ანგარიშის გათანაბრება. მხოლოდ 5:4-ზე, მატჩის დაწყებიდან ორსაათნახევრისა და ორი მატჩ-პოინტის ხელიდან გაშვების შემდეგ შეძლო მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა გამარჯვების ნიშნად ხელების შემართვა, მერე კი კორტის პირას დედის, მელანი მოლიტორის წინ ცრემლად დაიღვარა.

„დედაჩემმა მითხრა, კარგო, ბავშვივით ნუ იქცევიო, ძალიან ავღელდი, მინდოდა ხალხისთვის დამემტკიცებინა, რომ პირველ ჩოგნობას ვიმსახურებ და თუ წლეულს დიდი სლემის ტურნირი ვერ მოვიგე, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ერთი მხრივ, კარგია, რომ ამდენი ვირბინე, წონაში ისე დავიკლებდი, საღამოს მადიანად გეახლებით საჭმელს და დიეტაზე ფიქრი არ დამჭირდება“.

**პარიზი. საფრანგეთი — მასტერსის სერია. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 3 მილიონი $**

**მეოთხედფინალი: გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 6:3, 6:4; მარატ საფინი (2, რუსეთი) — ალექს კორეჩა (8, ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:3; ხუან კარლოს ფერერო (12, ესპანეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:4, 6:7 (10:12), 7:5, მარკ ფილიპუსისი (13, ავსტრალია) — დევიდ პრინოზილი (გერმანია) 4:6, 6:4, 7:6 (7:3).**

**ნახევარფინალი: ფილიპუსისი — კუერტენი 7:6 (7:5), 7:6 (13:11); საფინი — ფერერო 6:2, 6:2.**

**ფინალი: საფინი — ფილიპუსისი 3:6, 7:6 (9:7), 6:4, 3:6, 7:6 (10:8).**

ასრულდა ის, რაზეც აშშ-ის ღია პირველობის გამარჯვებული მარატ საფინი აგერ უკვე რამდენიმე კვირაა, ოცნებობდა: 20 წლის რუსმა ჯონ მაკინროის რეკორდი (21 წელი და 15 დღე) დაამხო და ისტორიაში მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა პირველი ჩოგანი გახდა (ჩემპიონთა რბოლა 2000-ის ლიდერობაში არ აგერიოთ).

ძველი სტილის კლასიფიკაციაში პიტ სამპრასის გადასასწრებად საფინს პარიზის ტურნირის ფინალში გასვლაც ჰყოფნიდა, თუმც ის ამით არ დაკმაყოფილდა და კვირას სეზონის მეშვიდე ტიტულიც მოიგო. მეტისმეტად მონდომებულმა რუსმა ფილიპუსისთან შეხვედრაში გვარიანი შიშიც ჭამა. მესამე სეტში ბურთს გამოდევნებული წაიქცა, ჩოგანს თავი დაარტყა და სისხლი თქრიალით წამოუვიდა.

რამდენიმეწუთიანი შესვენების შემდეგ, როდესაც რუსს ორი ექიმი წამლობდა, ის კორტს სახვევდადებული დაუბრუნდა, სამსაათნახევრიანი მატჩი მაინც გამარჯვებამდე მიიყვანა და პრესკონფერენციაზე ლექსიკონი ორი ახალი ინგლისური სიტყვით — წარბით და ნაკერით — შეივსო, საბანკო ანგარიში კი 434 ათასი დოლარით.

**ავთანდილ სვანიძე**



# ფინიშში, ფინიშთან, ფინიშამდე



REUTERS

„LG ფლატრონი“ — პირველი და გახარებული

**ბოსტონში** პისტოლეტის (თუ სხვა რამ სასროლის) გავარდნიდან 32 დღე-ღამეში, 22 საათში, 13 წუთსა და 37 წამში „LG ფლატრონმა“ ბუენოს აირესის ნავსადგურში მოწყობილი ფინიში გადალახა. გასავათებულმა ზღვაოსნებმა, რომლებიც თავისი სახელის „BT ჩელენჯზე“ განსადიდებლად სახელოვანმა ფირმა „LG“-მ დაიქირავა, სიხარული უცებ გამოხატეს და მონატრებულ ნაპირზე ფეხი იმ დიდებული შეგრძნებით შედგეს, რომ საერთო ჩათვლის პირველი ადგილიც ორი ეტაპის შემდეგ თითქმის განაღდებული აქვთ: საუთჰემპტონიდან ბოსტონამდე მათი გამსწრებნი, „BP“ და „ქუადსტოუნი“ ცხრილის სადღაც შუაგულის იქით მოცურავდნენ და არც ფინიშზე აპირებდნენ ფრთების შესხმას. ასეც მოხდა — მეორემ ნაპირს „სპირიტ ოფ ჰონკონგმა“ მიაშურა (მთელი 15 საათის შემდეგ), მესამედ კი ნავსადგურში მდგომმა მოსეირეებმა „ლოჯიკე“ იხილეს, ესეც ჰონკონგელებზე კარგა 6 საათით გვიან. „ლოჯიკეს“ ფეხდაფეხ „კომპაკი“ მიჰყვა და თითქმის მაშინვე „ოლიმპიკ გრუპი“ გამოჩნდა. მხოლოდ შემდეგნი იყვნენ წინა ეტაპის მომგებნი „ქუადსტოუნი“ და მეორეზე გასული „BP“. „ნორვიჩ იუნიონმა“ აუტსაიდერობა რომ სხვას ჩააბარა, არ იკმარა და მეტი მოინდომა, მაგრამ ვერ იხეირა, დარჩა მეთერთმეტე.

„ლოჯიკეს“ გოგო-ბიჭებს წარმატება (მესამე ადგილი) ფინიშის შემდეგ ოდნავ ჩამწარდათ, როცა „BT ჩელენჯის“ საერთაშორისო ჟიურიმ ძრავის უკანონო გამოყენებისათვის მათ 2 ქულა წაართვა. დარღვევა პირველ ეტაპზე მომხდარა. ზოგადად, იახტებს ძრავის ჩართვა კრიტიკულ სიტუაციებში შეუძლიათ, მაგრამ შემდგომ რბოლის გაგრძელება თუ უნდათ, ჩართვის ადგილს უნდა დაუბრუნდნენ, ძრავა ჩააქრონ და იალქნები გაშალონ. ასე არ მოიქცა „ლოჯიკე“ და ახლა საერთო ჩათვლაში „სპირიტ ოფ ჰონკონგთან“ ერთად მეხუთე ადგილს კი არ იყოფს, მეექვსეზეა მარტო დარჩენილი.

ჩრდილოეთით „ტაიმს კლიპერის“ მონაწილენი უკვე დაწალიკდნენ, რახან „ბაჰამის არხში“ მიცურავენ. ასე ჰქვია ატლანტიკის მონაკვეთს ბაჰამებს, ფლორიდასა და კუბას შორის ვიდრე ჰავანამდე. ტაქტიკური ბრძოლის მნიშვნელობამ იკლო, ახლა ძირითადი აქცენტი სისწრაფეზე კეთდება. ლიდერები კიდევ უფრო გამოიკვეთნენ. „პლიმუთმა“ კუბის ნაპირი პირველმა იხილა და შესაბამისად, მის ახლოს მოთევზავე ჰემინგუეის მოხუცის კოლეგებიც. „პორტსმუთი“ და „ლონდონი“ ბაჰამების უკიდურეს სამხრეთში, დიდი ინაგუას კუნძულთან არიან და დედაქალაქელები მერამდენე დღეა ვერაფრით ახერხებენ იმ თითებზე ჩამოსათვლელი მილების მოსპობას, ინგლისის სამხრეთ ზღვისპირელებთან რომ აშორებთ. ფინიშზე მათი დუელი ყველაზე საინტერესოდ გვეჩვენება. „ბრისტოლმა“ „გლაზგო“ წინ არ გაუშვა და ტაქტიკური მიქარვის საკომპენსაციოდ „ექსსამხრეთელთა“ ერთ იახტას მაინც უსწრებს. და ბოლოს: აქედანვე ითქმის, ბოლო ორი ადგილი ვისიც იქნება, „ჯერსი“ და „ლივერპული“ ისე ძლიერ ჩამორჩნენ. ორთაგან კუნძულები ჯერ წინ არიან, მაგრამ უიკენდებზე მერსისაიდელთა 9,3 კვანძით ქროლამ მათი აუტსაიდერობა საეჭვო გახადა.

ხოლო ატლანტის ოკეანის ზედ შუაგულზე დედამიწის ირგვლივ ცალად მოხეტიალეთა რეგატა მიცურავს. იახტებმა გაიარეს მწვანე კონცხის არქიპელაგი და ჩრდილო-აღმოსავლეთ პასატს მინდობილნი დიდი სიჩქარით მიცურავენ სამხრეთით, ინდოეთის ოკეანეში გასასვლელად.

**დავით გულუა**

BT Global Challenge
The world's toughest yacht race

**რეგატა «BT გლობალ ჩელენჯი»**

II ეტაპი. ბოსტონი — ბუენოს აირესი
საბოლოო შედეგები

| | |
|---|---|
| 1. „LG ფლატრონ“ | 15 ქულა |
| 2. „სპირიტ ოფ ჰონკონგ“ | 14 |
| 3. „ლოჯიკე“ | 13 |
| 4. „კომპაქი“ | 12 |
| 5. „ოლიმპიკ გრუპ“ | 11 |
| 6. „ქუადსტოუნ“ | 10 |
| 7. BP | 9 |
| 8. „ვერიტას“ | 8 |
| 9. „აილ ოფ მენ“ | 7 |
| 10. „ტიიმ სპირიტ“ | 6 |
| 11. „ნორვიჩ იუნიონ“ | 5 |
| 12. „სერკო“ | 4 |

BT Global Challenge
The world's toughest yacht race

**რეგატა «BT გლობალ ჩელენჯი»**

საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. „LG ფლატრონ“ | 28 ქულა |
| 2. „ქუადსტოუნ“ | 25 |
| 3. „კომპაქი“ | 24 |
| 4. BP | 23 |
| 5. „სპირიტ ოფ ჰონკონგ“ | 22 |
| 6. „ლოჯიკე“ | 20 |
| 7. „ვერიტას“ | 19 |
| 8. „აილ ოფ მენ“ | 17 |
| 9. „ოლიმპიკ გრუპ“ | 15 |
| 10. „ტიიმ სპირიტ“ | 12 |
| 11. „სერკო“ | 11 |
| 12. „ნორვიჩ იუნიონ“ | 10 |

VENDÉE GLOBE 2000 2001 LES SABLES D'OLONNE

**რეგატა «ვენდი გლობი»**

20 ნოემბრის ვითარება
პირველი ხუთეული

1. მიშელ დესჟოაიე (PRB, საფრანგეთი) 21198 საზღვაო მილი ფინიშამდე;
2. ივ პარლე („აქუიტან ინოვასიონს“, საფრანგეთი) +32;
3. როლან ჟურდენი („სილ“, საფრანგეთი) +43;
4. მარკ ტირსლენი („აქტივ ვეარ“, საფრანგეთი) +53;
5. ტიერი დიუბუა („სოლიდაირეს“, საფრანგეთი) +60;

THE TIMES Clipper 2000

**რეგატა «ტაიმს კლიპერ 2000»**

II ეტაპი. ვილამურა — ჰავანა
20 ნოემბრის ვითარება

| | | |
|---|---|---|
| 1. „პლიმუთი“ | 477 | 0 |
| 2. „პორტსმუთი“ | 510 | 33 |
| 3. „ლონდონი“ | 515 | 38 |
| 4. „ლიდსი“ | 558 | 81 |
| 5. „ბრისტოლი“ | 628 | 151 |
| 6. „გლაზგო“ | 675 | 198 |
| 7. „ჯერსი“ | 810 | 333 |
| 8. „ლივერპული“ | 834 | 357 |

*მეორე სვეტში მოცემულია მანძილი ფინიშამდე (საზღვაო მილებში), მესამეში — დაშორება ლიდერთან.*

## რაგბი

# რეპეტიცია წაგებით

**ნოემბრის** ბოლოს იწყება შვიდკაცას მსოფლიო სერია, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას. „ბორჯღალოსნები" ხუთ ტურნირზე იასპარეზებენ — დუბაიში, დურბანში, ლონდონში, ჰონკონგსა და პარიზში. პირველი შეჯიბრი 23-24 ნოემბერს დუბაიში გაიმართება.

არაბეთის გაერთიანებული საემიროებში ჩვენებურები ტურნირის ორგანიზატორებმა მეცხრე ნომრად განთესეს და წილისყრის შედეგად მეტოქეებად ახალი ზელანდია, ინგლისი და მასპინძლები არგუნეს. საქართველოს ნაკრებმა შარშან ანალოგიურ ტურნირზე ითამაშა და ნახევარფინალს უწია. ამჯერად ჩვენი მორაგბეები საკმაოდ რთულ ჯგუფში მოხვდნენ და ვინძლო შარშანდელი შედეგის გამეორება ვერ შეძლონ, მაგრამ „ბორჯღალოსნების" ბოლოდროინდელ პროგრესს თუ გავითვალისწინებთ, შეუძლებელი არაფერია. მით უმეტეს, რომ ამ უქმეებზე საქართველოს შვიდკაცა ნაკრებმა სამხრეთ აფრიკაში, მსოფლიო სერიისთვის მოსამზადებელ ტურნირზე მოსინჯა ძალა და თუ საზეიროს ვერაფერს მიაღწია, ეს იმიტომ, რომ „ბორჯღალოსნების" მთავარმა მწვრთნელმა, ფრანგმა კლოდ სორელმა ექსპერიმენტულ შემადგენლობას უხმო და გამოცდილი მორაგბეების გვერდით ახალბედებს მისცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა. ქართველები მეოთხე ჯგუფში მოხვდნენ, რომელშიც ჩვენს გარდა სამოას, მასპინძელი სამხრეთ აფრიკისა და მაროკოს გუნდებმა მოიყარეს თავი. პირველ მატჩში გათამაშების ფავორიტმა სამოას გუნდმა ჩვენები მშრალად დაამარცხა — 29:0. ვერც მეორე შეხვედრაში გაიხარეს ქართველებმა, „ქურციკებთან" ჭიდილში მორიგი მარცხი იგემეს — 0:22 და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ. სამაგიეროდ, მოკრძალებული მაროკო მინიმალური სხვაობით დაჯაბნეს და მეცხრე ადგილის მოპოვების შანსი შეინარჩუნეს, აქ კი ინგლისელი „ლომების" 10:7 ძლევის შემდეგ პორტუგალიასთან 12:29 წააგეს და ათეულს მიღმა აღმოჩნდნენ. თუმცა ეს ტურნირი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსამზადებელი იყო და საგანგაშო არაფერია, ჩვენი ნაკრების ნამდვილი ძალა მსოფლიო სერიაზე გამოჩნდება. ტურნირი კი ახალზელანდიელთა გამარჯვებით დასრულდა. „შავებმა" ფინალში ფიჯის სოლიდურ გუნდს სძლიეს. ახლა კი გაგაცნობთ იმ მორაგბეების ვინაობას, რომლებმაც სამხრეთ აფრიკაში გამართულ ტურნირზე ითამაშეს: ვასილ აბაშიძე, ირაკლი აბუსერიძე, ირაკლი გიორგაძე, ოთარ ელოშვილი, პალიკო ჯიმშელაძე, ბესო ხამაშურიძე, ვასილ კაცაძე, ბადრი ხეხელაშვილი, ილია ზედგენიძე, ირაკლი მაჩხანელი, გიორგი ტრაპაიძე და თედო ზიბზიბაძე.

**ბაჩო სვანიძე**

# არმიას წესრიგი უყვარს

**ქართულ** სარაგბო თემს ახალი ჩემპიონი ეყოლება. ერთი პრეტენდენტი უკვე ცნობილია: თბილისის „ტუ-ყოჩებმა" 15 ნოემბერს ბათუმში გამართულ ნახევარფინალურ მატჩში ადგილობრივ „დათვებს" 13:8 მოუგეს და ფინალში გააღწიეს. თუ ვინ იქნება მისი მეცილე, ამას მეორე ნახევარფინალურ მატჩი, „ლოკომოტივი-1" — ასკ გაარკვევს ეს მატჩი, წესით 16 ნოემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ არმიული კლუბის ხელმძღვანელობამ მისი გადადება მოითხოვა, ვინაიდან „ასკ"-ს სამი მობურთალი, საქართველოს ეროვნული და შვიდკაცა ნაკრებების წევრები — ირაკლი აბუსერიძე, ვასიკო აბაშიძე და ბადრი ხეხელაშვილი, საშვიდკაცო მსოფლიოს სერიაზე ნაკრებში არიან გამოძახებულნი. „ასკ"-ს ხელმძღვანელობამაც მნიშვნელოვანი მატჩის ჩატარება წამყვანი მორაგბეების გარეშე არ ისურვა და საქართველოს რაგბის კავშირის წესდება მოიშველია, რომელშიც მითითებულია, რომ თუ გუნდის სამი ან მეტი მორაგბე ნაკრებშია მიწვეული, მაშინ კლუბს უფლება აქვს, შეხვედრის გადადება მოითხოვოს. ამრიგად, თბილისური დერბი მაშინ შედგება, როდესაც „ბორჯღალოსნები" მშობლიურ კლუბს დაუბრუნდებიან, თუმც არა გვგონია, მოღონიერებულმა ასკ-მ ჩემპიონობისკენ მავალ რელსებზე შემდგარი მძლავრი „ლოკომოტივი 1" დაამუხრუჭოს. მაგრამ ცდა ხომ ბედის მონახევრეა, ასე რომ, ვნახოთ...

# საჩუქარი ბობოლებს

**ვიდრე** საქართველოს ნაკრები ტონგასა და რუმინეთის დარი გუნდების დამარცხებას ამაოდ ცდილობს და მსოფლიოს თასზე ასპარეზობას ნატრობს, ბობოლა სარაგბო ქვეყნების გუნდები ამ დიდ ტურნირზე ყოველგვარი შესარჩევი ეტაპის გარეშე დაუშვეს. შეგახსენებთ, რომ მომავალი მსოფლიო თასი გათამაშება 2003 წელს ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში გაიმართება. რაგბის საერთაშორისო საბჭომ თადარიგი აქედანვე დაიჭირა და საზოგადოებას იმ რვა გუნდის ვინაობა ამცნო, რომლებიც თასის ფინალურ ეტაპზე ავტომატურად დაიშვებიან. ეს პატივი ავსტრალიას, ახალ ზელანდიას, საფრანგეთს, სამხრეთ აფრიკას, ინგლისს, შოტლანდიას, უელსს და არგენტინის ნაკრებებს ერგოთ, ვინაიდან შარშან გამართულ მსოფლიოს თასზე ამ რვა გუნდმა მეოთხედფინალს უწია. IRB-მაც …ფა დაუფასა და პრივილეგიები მიანიჭა. გუნდების ამგვარი განთესვა კვლავ გაგრძელდება, მომავალ მსოფლიო თასზე თავგამოჩენილი რვა საუკეთესო ნაკრები 2007 წელს გასამართ ტურნირზე ანალოგიური პრივილეგიით ისარგებლებს.

„ეს გადაწყვეტილება იმიტომ მივიღეთ, რომ შესარჩევი ეტაპის მატჩების უმეტესობა საკმაოდ უფერული და არაფრისმომცემი გამოდგა, თანაც გუნდებს შორის კლასში სხვაობაც გავითვალისწინეთ. წინა მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპის ერთ-ერთ მატჩში ინგლისმა ჰოლანდიის ნაკრები 110-0 დაამარცხა. ამგვარი შეხვედრები რაგბის დონის განვითარებას ხელს ნამდვილად ვერ შეუწყობს. ჩვენც ვცდილობთ, ერთმანეთს თანაბარი კლასის გუნდები შევახვედროთ და კლასით გამორჩეულნი უკონკურსოდ დავუშვათ მსოფლიო თასზე" — განაცხადა IRB-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა. რამდენად გაამართლებს რაგბის საერთაშორისო საბჭოს გეგმა, ამას მომავალი გვიჩვენებს, დარჩენილი თორმეტი საგზური კი ასე განაწილდა: ევროპას ოთხი ადგილი, ოკეანეთსა და ამერიკის კონტინენტს ორ-ორი, აფრიკასა და აზიას — თითო-თითო.

ამათ „იღბლიანთა" ორი წამომადგენელი დაემატებათ. სიტუაციაში უკეთ გასარკვევად შორს არ წავალთ და საქართველოს მაგალითს მოვიყვანთ. გეხსომებათ, „ბორჯღალოსნებმა" შარშანდელი მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპი ვერ დაძლიეს, მაშინ ჩვენს მორაგბეებს რუმინეთის დამარცხება ესაჭიროებოდათ, მაგრამ დუბლინში გამართულ მატჩში, რუმინელებმა იძალეს და საგზურიც მოიპოვეს, საქართველოს ნაკრებს კი ჩვენსავით შესარჩევ ეტაპში დამარცხებული ოკეანეთის წარმომადგენელთან, ტონგას ძლიერ გუნდთან მოუწია ჭიდილმა. თუ როგორ დამთავრდა ორრაუნდიანი ბრძოლა, ყველას კარგად მოეხსენება, საქართველოს ნაკრები ტურნირის მიღმა აღმოჩნდა, უელსში კი ტონგელები გაემგზავრნენ. სწორედ ასეთ შეხვედრებში გამოვლინდება ის ორი გუნდი, რომელიც შესარჩევ ტურნირში წარუმატებელი თამაშის შემდეგ „ნუგეშის ფინალში" მსოფლიო თასზე ასპარეზობის უფლებას მოიპოვებს.

## მთის თხილამურობა

# კოსტელიჩმა ნაადრევად გაიმარჯვა



იენიკა კოსტელიჩი

**ხუთშაბათს** შვეიცარიელმა სონია ნეფმა მსოფლიო თასის გიგანტური სლალომის ეტაპი მოიგო, მაგრამ იუტას შტატის პარკ სიტის სამთოსათხილამურო სარბიელზე სპორტსმენთა და ქომაგთა ჟრიამული სამ დღეს კიდევ გაგრძელდა. გიგანტური სლალომი კაცებსაც უნდა გაემართათ და ორივე სქესისთვის სლალომის ეტაპებიც დაგეგმილი იყო. შესაბამისად, ქვემოთ სამ გამარჯვებულზე ვიტყვით.

ხორვატმა იენიკა კოსტელიჩმა ისეთი დაბრუნება მოიწყო, უკეთესს ვერ ინატრებდა. შარშან 17 წლისა იყო და სლალომის ორი ეტაპი გასაკვირად მოიგო. ხალხმა თქვა, ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა და ეგ არისო, მაგრამ სანტ მორიცში უწყინარად რომ ვარჯიშობდა, მუხლი მოიტეხა და შვეიცარიიდან სამშობლოში საკაცით ჩაიყვანეს. ტკივილმა, თაბაშირით სიარულმა და თხილამურობის შორიდან ცქერამ თითქმის წელიწადს გასტანა, მერე კი კოსტელიჩმა ვარჯიში დაიწყო, ოქტომბერში გიგანტური სლალომის ეტაპზე მე-12 ადგილი დაიკავა და პარასკევის სლალომი 1,73 (!) წამით მოიგო. ხორვატმა ამგვარად გამარჯვება კინაღამ არ დაიჯერა, მაგრამ სხვა გზა რომ არ დარჩა, შეატყუპა ხელები და იქნებ ილოცა კიდეც, მერე კი ჟურნალისტებს უთხრა, ასე მოგებას არ ველოდი, მუხლი ცოტა ახლაც მტკივა და ფორმაში ჩადგომას ნელ-ნელა ვაპირებდი, ვატყობ გრაფიკს გავუსწარიო. გერმანელი მარტინა ერტლი პირველი ვერ გახდა, მაგრამ მომდევნო ადგილმაც დიდად გაახარა და ახლა საერთო ჩათვლის ცხრილს ბევრად დამაჯერებლად ლიდერობს. „ასე კარგად სეზონი არასოდეს დამიწყია" — აღნიშნა 27 წლის მოთხილამურემ, ხოლო ფრანგმა კრისტელ საიონიმ მესამე ადგილი დაიკავა და თავხედურად განაცხადა, მსოფლიო თასის მოგებას ვაპირებო. საიონს ჩამორჩა სლალომის თასის მოქმედი პატრონი, სლოვენი სპელა პრეტნარი. იგი მეოთხე იყო.

კაცებში ივარგეს მორიდებულ ადამიანად ცნობილმა მიხაელ ფონ გრუნინგენმა შვეიცარიიდან და ავსტრიელმა ჰაინც შილხეგერმა. პირველს გიგანტური სლალომი დარჩა, მეორეს — უბრალო. გრუნინგენმა არ მიბაძა თანამემამულე სონია ნეფის საქციელს და ძველი და გრძელი თხილამურებით სრიალზე ერთხელ და სამუდამოდ თქვა უარი, ახლებურად აღჭურვილმა ორჯერვე უშეცდომოდ გაიარა ციცაბო ფერდობზე მოწყობილი ტრასა და სხვა თუ არაფერი, თვით ჰერმან მაიერი მოიტოვა უკან. „ჰერმინატორი" მეოთხე იყო. „ვერ წარმოიდგენთ, ეს გამარჯვება ჩემთვის რამდენს ნიშნავს — თქვა კმაყოფილმა ფონ გრუნინგენმა — ახლების ჩაცმისთანავე ეტაპის მოგება ფანტასტიკური რამ არის და ყველამ სულით და გულით მომილოცა, ავსტრიის ნაკრების მწვრთნელებმაც კი".

ერთი კაციც გამოჩნდა რიგიანად პარკ სიტიში, ნორვეგიელი ლასე კიუსი, ერთადერთი, ვინც ჰერმინატორს თავისი ზეობის ხანაში მსოფლიოს თასი წაჰგვარა. შარშანდელ სეზონში კიუსმა მხოლოდ ექვსი ეტაპი ისრიალა და მერე ჯანმრთელობა შეერყა. ახლა ისევ ფორმაშია და მაიერს თასისთვის ცხარედ შეტოქებას უპირებს.

შილხეგერმა სლალომში ცნობილი ხალხი დაჩაგრა; სამაგალითოდ ნორვეგიელ კეტილ ანდრე აამოდტსა და ავსტრიელ მარიო მატს ვასახელებთ. ესენი ფავორიტებად ითვლებოდნენ.

**დავით გულუა**

**ქალები**

სლალომი. 1. იენიკა კოსტელიჩი (ხორვატია) 1:29,24; 2. მარტინა ერტლი (გერმანია) 1:30,97; 3. კრისტელ საიონი (საფრანგეთი) 1:31,02; 4. სპელა პრეტნარი (სლოვენია) 1:31,27; 5. კარინ კოლერი (ავსტრია) 1:31,48.

**საერთო ჩათვლა**

1. ერტლი 216; 2. ანია პერსონი (შვედეთი) 133; 3. კოსტელიჩი 132; 4. ბრიგიტე ობერმოზერი (ავსტრია) 125; 5. სონია ნეფი (შვეიცარია) 116.

**კაცები**

გიგანტური სლალომი. 1. მიხაელ ფონ გრუნინგენი (შვეიცარია) 2:32,93; 2. ლასე კიუსი (ნორვეგია) 2:33,47; 3. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 2:33,50; 4. ერიკ სკლოპი (აშშ) 2:33,63; 5. კრისტიან მაიერი (ავსტრია) 2:33,69;

სლალომი. 1. ჰაინც შილხეგერი (ავსტრია) 1:46,88; 2. მარიო მატი (ავსტრია) 1:47,37; 3. კეტილ ანდრე აამოდტი (ნორვეგია) 1:48,15; 4. ჰანს პეტერ ბურაასი (ნორვეგია) 1:48,63; 5. ურს იმბოდენი (შვეიცარია) 1:48,83.

**საერთო ჩათვლა**

1. ფონ გრუნინგენი 168; 2. ჰ. მაიერი 160; 3. შილხეგერი 152; 4. კიუსი 106; 5. აამოდტი 104.

## ჰოკეი

17 ნოემბერი

ვაშინგტონი — მონრეალი 4:3
2:0 2:1 0:2

კოლუმბუსი — ფლორიდა 0:3
0:1 0:1 0:1

ბუფალო — მინესოტა 3:1
0:1 0:0 3:0

დეტროიტი — დალასი 0:1
0:0 0:0 0:1

ტორონტო — ტამპა 2:2
1:0 0:1 1:1 0:0

ატლანტა — ფილადელფია 2:3
1:2 0:0 1:0 0:1

ედმონტონი — ჩიკაგო 3:3
1:0 1:2 1:1 0:0

ვანკუვერი — რეინჯერსი 4:3
0:1 3:0 1:2

18 ნოემბერი

ნიუ ჯერსი — კაროლინა 3:2
2:1 0:1 0:0 1:0

ფილადელფია — ვაშინგტონი 5:3
1:1 2:1 2:1

ლოს ანჯელესი — კოლორადო 6:4
1:3 4:1 1:0

ბოსტონი — მინესოტა 1:6
0:1 1:2 0:3

მონრეალი — ტორონტო 1:6
1:2 0:3 0:1

ოტავა — ფლორიდა 5:2
2:2 1:0 2:0

პიტსბურგი — ატლანტა 3:1
1:0 0:1 2:0

ნეშვილი — დეტროიტი 3:2
2:2 1:0 0:0

სენტ ლუისი — ბუფალო 4:1
1:0 2:0 1:1

ფინიქსი — ანაჰაიმი 2:6
1:2 0:2 1:2

სან ხოსე — აილენდერსი 5:3
1:2 2:1 2:0

კალგარი — რეინჯერსი 4:5
0:2 2:1 2:1 0:1

19 ნოემბერი

კოლუმბუსი — ვანკუვერი 1:6
0:0 1:3 0:3

ანაჰაიმი — აილენდერსი 2:1
1:1 1:0 0:0

ედმონტონი — კალგარი 2:0
0:0 2:0 0:0



ბრძოლა ცხვირწინ: აქეთ ხალხი, იქით ანაჰაიმელი ნიკლას ჰაგლიდი (29) და აილენდერსელი ბრედ ისბისტერი

## ხელბურთი

# ლიგაში მოსახდენი მოხდა

**შაბათ-კვირას** ხელბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურის მატჩები გაიმართა.

განთესილი, ანუ რეიტინგით უფრო მაღლა მდგომი გუნდები შინ თამაშობდნენ და არც ერთი მოულოდნელი შედეგი არ დაფიქსირებულა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე შეხვედრაში სტუმართა მედგარ გაბრძოლებას, რითაც იმას მიაღწიეს, რომ თავისთვის საპატიო, ერთ-ორ ბურთიანი სხვაობით დამარცხდნენ.

გაუჭირდა უმთავრეს ფავორიტ „პორტლენდ სან-ანტონიოს" — ევროპის საკლუბო ჩემპიონი შინ მხოლოდ სამგოლიანი უპირატესობით გამარჯვებას დასჯერდა. ესპანურ გუნდში ამჯერადაც ბელარუსი მიხაილ ლაკიმოვიჩი იყო ყველაზე შედეგიანი, მისმა შვიდმა ტყორცნამ მიაღწია მიზანს.

A ჯგუფი: „პივოვარნა" (სლოვენია) - „რედბერგსლიდსი" (შვედეთი) - 37:17; „ბადელი" (ხორვატია) - „ანკარა" (თურქეთი) - 27:26.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პივოვარნა | 2 | 0 | 0 | 69:42 | 4 |
| ბადელი | 2 | 0 | 0 | 52:49 | 4 |
| ანკარა | 0 | 0 | 2 | 51:59 | 0 |
| რედბერგსლიდსი | 0 | 0 | 2 | 40:62 | 0 |

B ჯგუფი: „დუნაფერი" (უნგრეთი) - „მონპელიე" (საფრანგეთი) - 27:25; „ბარსელონა" (ესპანეთი) - „გდანსკი" (პოლონეთი) - 31:22.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 2 | 0 | 0 | 52:46 | 4 |
| ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 56:47 | 3 |
| მონპელიე | 0 | 1 | 1 | 50:52 | 1 |
| გდანსკი | 0 | 0 | 2 | 43:56 | 0 |

C ჯგუფი: „გოგ გუდმე" (დანია) - „პალამანო" (იტალია) - 28:24; „კილი" (გერმანია) - „ბრაგა" (პორტუგალია) - 30:17.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კილი | 1 | 1 | 0 | 58:45 | 3 |
| გოგ გუდმე | 1 | 0 | 1 | 53:50 | 2 |
| ბრაგა | 1 | 0 | 1 | 43:55 | 2 |
| პალამანო | 0 | 1 | 1 | 52:56 | 1 |

D ჯგუფი: „პორტლენდ სან-ანტონიო" (ესპანეთი) - „ლოვჩენი" (იუგოსლავია) - 25:22; „რუნარ სანდეფიორდი" (ნორვეგია) - „ბანიკი" (ჩეხეთი) - 27:25.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პორტლენდი | 2 | 0 | 0 | 58:52 | 4 |
| ლოვჩენი | 1 | 0 | 1 | 47:47 | 2 |
| სანდეფიორდი | 1 | 0 | 1 | 49:50 | 2 |
| ბანიკი | 0 | 0 | 2 | 55:60 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სატოსი რა ბრალია...

ფორმულა 3-ის მაკაოს 47-ე გრან პრიზე უბედური შემთხვევა მოხდა. ჰოლანდიელმა პილოტმა ფრანს ვერშუურმა საჭე დროულად ვერ მოატრიალა, თავისი „რენო“ ხალხში შეაგდო და ჩინელი ტურისტი იმსხვერპლა.

ფოტოზე კი იაპონელი ტაკუმა სატოს „ჰონდას“ ხედავთ, რომელიც ჰოლანდიელის შეცდომის გამო ბარიერს შეასკდა.



# ელენა პასპორტს გვაჩვენებს

„სარბიელის“ მეთექვსმეტე გვერდი მეორე დღეა, მსოფლიოს ოცდამეექვსე ჩოგნის, ელენა დოკიჩის მესამე სამშობლოდან მეორეში დაბრუნებას აკვირდება და ამიტომ უპირველესად ამას გაცნობებთ: იუგოსლავიის ხელისუფლებამ მას თხოვნა დაუკმაყოფილა — მოქალაქეობა უბოძა.

ახლა კი შეგახსენებთ: დოკიჩი ოჯახითურთ 1991 წელს ხორვატიიდან სერბეთში გაიქცა, იქიდან 1994 წელს ავსტრალიაში გადაბარგდა, ახლა კი ისევ სერბეთს დაუბრუნდა, რათა ევროპულ ტურნირებში თამაშის დროს ბელგრადში იცხოვროს.

ცნობისთვის: დოკიჩი გიჟი არ გეგონოთ, ავსტრალიური პასპორტიც დაიტოვა.

# მართალი ბღავილი



ამერიკული ფეხბურთის მისურის გუნდის მწვრთნელმა, ლარი სმიტმა „კანზას სტეიტთან“ შეხვედრის მეოთხე მეოთხედში აი, ასე დაიბღავლა და ასისტენტს, ბილი კუბიტსა (მარცხნივ) და მსაჯს, სტოკ კოჩს შორის ჩაიარა. როგორც მერე გაირკვა, სწორად მოქცეულა, რადგან მისმა ბიჭებმა 24:28 წააგეს, ხოლო კლუბის დირექტორმა, მაიკ ალდენმა ის თანამდებობიდან გაათავისუფლა.

# ორი რა კაცი ფოიეში

ვარშავაში ეს ამბავი მაშინ მოხდა, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებს ჯერ კიდევ არ ჰყავდა პრეზიდენტი, იტალიაში „ლაციო“ „მილანს“ 1:1-ს ეთამაშებოდა, ხოლო საქართველოში მოსახლეობამ 24 საათიანი დენი მოითხოვა, 17-ს დაპირდნენ და 6 მისცეს.

და სწორედ იმ დღეს ვარშავის სასტუმრო „ვიქტორიას“ ფოიეში დინჯი ნაბიჯით ორი მამაკაცი შევიდა. უფრო მხცოვანს მარცხენა ხელი შარვლის ჯიბეში ჩაედო. მას ხუან ანტონიო სამარანჩი ჰქვიაა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გახლავთ. შედარებით ახალგაზრდა, ევროპული კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი მუქ კოსტუმში გამოწყობილიყო. ისინი სოკ-ის 29-ე გენერალური ასამბლეის შემდგომი პრეს-კონფერენციის გამო დარბაზისკენ მიემართებოდნენ.



REUTERS

# ამოცანა

თუკი საფრანგეთის ჩემპიონატის მე-16 ტურში „მონაკომ“ „პარი სენ ჟერმენს“ 2:0 მოუგო, ხოლო სტადიონზე თავისი გუნდის საქომაგოდ მონაკოს პრინცი რაინერი და პრინცესა კაროლინას ქალიშვილი (მართლა?) შარლოტი მიბრძანდნენ, რამდენია ალბათობა იმისა, რომ აი, თქვენ მათ ადგილზე შეიძლებოდა დაბადებულიყავით, ისინი კი თქვენსაზე?



REUTERS

# წყალში მიდის კატერი



ფოტოს შინაარსი: ღღღღღღღღღღღ... და დუბაიში წყლის ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის საბოლოო ეტაპზე იტალიელმა ფრანჩესკო კანტანდომ ამერიკელ სკოტ გილმენს აჯობა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge